


ქართული  
ხალხური

# უელოვები



კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო  
თინა შიოშვილმა

ბათუმი  
1994

902. 7 (09)  
შ (678)

კრებული შეიცავს ქართულ ხალხურ შელოცვებს იგი დახმარებას გაუწევს როგორც ეროვნული ზეპირსიტყვიერებითა და ეთნოგრაფიით, ასევე ხალხური მედიცინით დაინტერესებულთ, რამეთუ შელოცვებში უხეად მოიპოვება დაავადებათა სამკურნალო რეცეპტურა და პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი.

**ნიგნი გამოსცა ასლან აბაშიძის ფონდმა**

**რედაქტორები: აზიზ ახვლედიანი,  
ზურაბ თანდლიაშვილი**

**მხატვარი ზურაბ ხაბაძე**

© აპარის შირნალ-გაზეთების გამომცემლობა

## შემდგენლისაგან

შელოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული და თავისთავადი ჟანრია. ზის წარმოშობას საფუძვლად უდევს სიტყვის მაგიური ძალის რწმენა, რომელსაც უმეტესწილად თან ახლავს გარკვეული საწესო მოქმედება.


ქართულ ფოლკლორისტიკაში შელოცვის შესახებ არსებობს საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები (მ. ჩიქოვანი, თ. ოქროშიძე, ქს. სიხარულიძე, ჭ. ბარდაველიძე, ი. გაგულაშვილი, თ. შიოშვილი და სხვ.), მაგრამ ამ ჟანრის ნაწარმოებთა სრულყოფილი კრებული დღემდე არ გამოცემულა, თუმცა მათ შეკრებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია დღემდე ზეპირ ბრუნვაში არსებულ ქართულ ხალხურ სამკურნალო და სამეურნეო შელოცვათა ვარიანტები.

კრებულში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მასალა, რომელთა ნაწილი დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივებში, ნაწილი გამოქვეყნებულია პ. უშიკაშვილის, ს. მაკალათიას, ე. ვირსალაძის, ქს. სიხარულიძის, ჭ. ნოლაიძელისა და სხვათა მიერ, ნაწილი კი ჩვენ მიერ არის მოპოვებული სავლელ უშაობის დროს.


შემდგენელი უდიდესი მადლიერებით მიიღებს საქმიან შენიშვნებსა და რჩევებს.

თინა შიოშვილი



# სამკურნალო შეღობვა





# შეშინებულისა

1

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

შეულოცამ შეშინებულისას, გალახულისას,  
ავი ქარისას, ავი ანგელოზისას, უქმურისას.<sup>1</sup>

გასკდა შავი კლდე, თან გამოიყვა შავი ცხენი.

შავ ცხენზე იჯდა შავი კაცი.

ელგა უნაგირი შავი, ჰქონდა ლაგამი შავი,

ხელთ ეჭირა შავი მათრახი.

მოდის, მოყოყოჩაობს, მოტოტოჩაობს,

კალსა მაანათებს შავსა,

კბილსა მაღრეიას შავსა.

წინ შაფხვდა მიქელ-გაბრიელი, წმინდა გიორგი:

— სად მიხვალ, შაო კაცო,

სად მიყოყოჩაობი, სად მიტოტოჩაობი?

სად მიანათებ თვალსა შავსა,

სად მიღრეჩამ კბილსა შავსა?

— უფალო, უფალო მიქელ-თეარგაბრიელო,  
მივდივარ ადამ ძესა გულის ასაფრიალებლად,  
ხორცის ასათქვრიალებლად, სისხლის სასმელად,  
ძვალის სახერელად, ტვინის საწოვრად.

— გამობრუნდი, გამოიფე ჩემსა ლოცვასა,

თორე აგიტეხ სნებასა!

გიგდებ ბადეს შავი აბრეშუმისას,

დაგცემ შეტარა დანასა,

გაგიხვე მუცელ ბეღლისასა,

მოგთხრი თვალსა ჭიქისასა,

---

<sup>1</sup> გარდა შეშინებულისა, ეს შელოცვა სრულდება აგრეთვე ჩამოთვლილ დაავადებათა დროს.

მოგჭრი ფრჩხილსა გაზმისასა!  
დაეანთებ ცეცხლსა, დაეაყრი რვილი შეშასა,  
გოგირდსა და ქალმნი ჯღანსა.  
დაეწვამ, დაგხრუკამ, შენაო და უკეთურო,  
ადამიანი შამშინებელო!  
ისეთ ალაგ გადაგაგდებ,  
შენაო და უკეთურო,  
უდაბურ მთასა, კლდესა,  
არც გესმოდეი ძალი ყეფა,  
არცა მამლისა ყივილი,  
არცა ადამიანის ხმაური!  
— მაცალე, მაცალე, გამოებრუნდები,  
გამოყვები შენსა ლოცვასა!  
ნუ ამიტებ სნებასა,  
ნუ მიგდებ ბადეს შავი აბრეშუმისას,  
ნუ დამცემ შევტარა დანასა,  
ნუ გამიხვე მუცელ ბედლისასა,  
ნუ მამთხრი თვალსა ჭიქისასა,  
ნუ დაანთებ ცეცხლსა, ნუ დააყრი რვილი შეშასა,  
გოგირდსა და ქალმნი ჯღანსა!  
ნუ დამწვამ, ნუ დამხრუკამ,  
ნუ გადამაგდებ მთასა, კლდესა!  
გამოებრუნდები, გამოყვები შენსა ლოცვასა!  
— წმინდა გიორგი კერასა ამობდა აღსარებასა,  
თფუ, ეშმაკო, დეეხსენი,  
არ არი შენსა ნებასა!  
იორდანეი ნათლულია,  
ნათლიღებაი დაიწრებია,  
მამა იხურამ, ძე აცვია,  
ხალათ სარტყელი არტყია.  
ღმერთო, დაიწერე პირჯვარი!  
.....! ქრისტიანია, ქრისტესია,  
ქრისტე ამისია.  
დაწვება, დეეძინება,

---

1 იტყვიან ავადმყოფის სახელს.





პირ ვარდი დევსვენება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი  
სულ თავით დევსვენება.  
სამას სამოცდასამო წმინდა გიორგო,  
შენ შაკარ და შაბეჭდე ადამ ძის შამშინებელი!  
გადააგდე დაბურულ მთასა, კლდესა, ღრესა!  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

(შელოცვა სრულდება შავტარა დანითა და ნახშირით ახალ მთვარეზე  
შელოცვის დაბთავრების შემდეგ აეადმყოფს შუბლზე უკვარს გამოუსახავს.  
ნახშირით, დანას კი ღამით თავიქვეშ ამოუდებენ).

## 2

სახელო სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.  
შენ ქრისტესი ხარ, ქრისტე შენია,  
ქრისტეს ბეჭდით დაბეჭდილი ხარ.  
მამა გაცვია და ძე გარტყია  
და სული წმინდა გარს გახვევია!  
შიგ ბრძანდებიან: მათე, მარკოზი და ივანე,  
ბრძანებენ და ღაღაღობენ:  
– გვასვი, გვაჭამე, მოგვართვი რამე!  
ვაი, ვაი ალასაო, ქალსა მარიამსაო.  
ტყემლის უღელ გამოსჭრიდით, დაადებდით ბანსაო,  
არნადისა ტარსაო წაუყრიდეთ კარსაო.  
უქამური მოდიოდა საღამოთა ჟამსაო.  
შეხვდა დედა მარიამი და ჰკითხა:  
– სად მიდიხარ, უქამურო,  
ამ საღამოს ჟამსაო?  
– შაშინებული . . . . ის<sup>1</sup> ტანშია  
სისხლი უნდა ვსო, ხორცი უნდა ვჭამო,  
რბილი უნდა ვჭამო და ძაან ვაწეალო!  
ძილი ვუმწარო, ტვინი უქანო!  
– არა, შე წყევულო!  
ნუ შესულხარ . . . . ის<sup>2</sup> ტანში,  
თორე მოვდივარ შავტარა დანითა,

1, 2 იტყვიან აეადმყოფის სახელს.

დაგეუნამ დუმასავეითა!  
ისეთ ალაგას წაგიღებ,  
არც გესმოდეს ძაღლი ყეფა,  
არცა .ადამიანი ხმა!  
დაწვები, დაგეძინება,  
პირჯვარი დაგეწერება.  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი  
სულ თავით დაგესვენება.  
ჯვარი გწყალობს ჯვარცმული,  
ჯვარი პატიოსანი!  
გწყალობს წმინდა გიორგი,  
ვერას გაცდენს მაცდური!  
იონანე ღამისა მძინებელი კაცისა.  
შენ გძინავს და ქრისტე გფარავს.  
ეს ადგილი წმინდა არის,  
წმინდისაგან წმინდა არის!  
ეზოს – ჯვარი, კარს – ბეჭედი,  
შენ დაფწერე შენი ჯვარი!  
ცდა ჩემი, ნება ღვთისა.  
ღმერთო, შენ არგე და აწამლე  
ჩემი ლოცვა ამასა!

### 3

პირველად მამლი ყივილსა  
სამჯერ ხსენება ღვთისაო.  
გულო, დაბრძანდი ალაგას,  
ბრძანება არი ღვთისაო!  
რა დეღამ შეგაშინა,  
რა მამამ შეგაშინა,  
რა მგელმა შეგაშინა . . . . .<sup>1</sup>  
ცულის პირით მონაჭერი  
ცულს თუ ტარად დეეგება,

---

<sup>1</sup> უნდა ჩამოითვალოს ყველა ნაფიროსი და ფრინველის სახელი.

ეს ჩემი ლოცვა-წამლობა  
ამ ქალს წამლად დევცხება!

(შემლოცველი გრძელ ნაჭერში ჩაარჭობს ნემსს, ზედ დაადებს ნახშირს, სამჯერ გადაახვევს, კენას ხელში დაიკავებს და ისე შეულოცავს სამჯერ).

4

სახელი სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა გულის შეშინებულისა.

მოო, გულო, შინა, გულო; რამა შეგაშინა?

გულო, ჩემმა ლოცვამ მოგარჩინა!

გულო, გულთან მოი,

სისხლო, ძარღვთან მოი!

დაწობი, დაგ შება,

პირჯვარი დაგწერება,

ცრახტიანი ანგელოზები

სასთუმალს დაგესვენება.

ჯვარი გწყალობს ჯვარცმული,

ვერას გაწყენს მაცდური!

გწყალობს წმინდა გიორგი,

ჯვარი პატიოსანი!

დეიტაევი, გაკურნე,

სამას სამოცდახუთო წმინდა ბარბაღე!

იკურნალო, გაკურნე,

აშორე ყოველივე შეშინება!

კაი ფეხი მიე, კაი ხორცი მიე,

ზრდა-მატება მიეცი ამ ბალანეს,

კარგად ამყოფე, გამჩენავო ღმერთო!

როგორც რკინას თავის მოჭრილი

თავის ტარად არგია,

ისე, ღმერთო, ჩემი ლოცვა

ამ ბალანეს არგია!

(შელოცვა სრულდება გულზე ხელის დადებით).

ვასანეთიდან მოედივარ,  
მე ვიტყვი აღსარებასა.

ემშაკო, შენ კი დაგვეხსენ,  
არა ვართ შენსა ნებასა!

ქრისტე ჩვენია, ქრისტესი ჩვენა ვართ,  
ნათლისმცემლის მონათვლასა,  
ნათელლებას დაესწრებივართ.

ემშაკები ქრებიან, დევები იფანტებიან, ქაჯები იხოცებიან!

ზეცით მოვიდა ელია, სული დადგება ძრიელი.

შენამც შეგეწევიან სამნი თოლნი ღთისანი:

მარკოზისა, ნათლისმცემლისა,  
ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა!  
პეტრე-პავლე პურსა სჭამდეს  
იორდანეს ყანაზედა.

– პეტრე, რად არა სჭამ პურსაო?

– პური მეკრა გულსაო.

– გაღუარდება, გაგორდება,

როგორც ცერცი ტყისაო.

ღღე მავალმა შაგაშინაო,

ღამე მავალმა შაგაშინაო,

ცის ნამმა შაგაშინაო,

ცის მასკელაემა შაგაშინაო,

ხმამალმა შაგაშინაო,

ხმადაბალმა შაგაშინაო,

თეთრფერვანმა შაგაშინაო,

შაეგერიმანმა შაგაშინაო?

ქორი შაჯდა ქანდარასა,

შენი გული – ალაგასა.

სპილოს გულიმც გექნება,

როსტომისა მხარბეჭიო.

წამალი შენ გაუხე, წმინდაო გირგოლო, ინდოეთით მოსულო!

ღმერთო, შენ დასწერე ჯვარიო . . . . .

(შელოცვის დროს შავ თაფსაფარს გამონასკვავენ, კვანძიდან ერთ მტკაველს

1 იტყვიან ავაღმყოფის სახელს.

გადაზომავენ და ნემსს გაუყრიან. ამბობენ, თუ ავაღმყოფი შევინებულა, ნემსი  
წინ წავაო).

6

სახელო სახელითა ძითა, ხვითა და უძრავი დედამიწითა.  
ლოცვა ჩემი და რგება ღვთისა:  
რამ შეგაშინა, შვილო, რამ შეგაშინა,  
შინაურმა შეგაშინა თუ გარეულმა შეგაშინა,  
ორფეხმა შეგაშინა თუ ოთხფეხმა შეგაშინა?  
სალამო ხანს მოდიოდა უჟამური, უებარი, სამდელი<sup>1</sup> და საზარელი.  
წინ ქრისტე ღმერთი დაუხვდა:

სად მახვალ, უჟამური, უებარი, სამდელი და საზარელი?  
— მივლივარ, შეს გაჩენილისა სისხლის სასმელად,  
ძკლას გასაჭრად. ტყანისა და ხორცის სათქვეფად.  
არა, მამამ, ძემ და სულთა წმინდამ,  
ვერ შეჩუალ სიმ გაჩენილისას,  
ვერც სისხლსა სვამ, ვერც ძვალს გასტეხ,  
ვერც ტყისსა და ხორცს ასთქვეფ!  
ავიღებ შეატარა დანასა, თავს დაგცემ!  
გაგიჭრი მუცელ ბედლისასა, თვალ ამოგჭრი გიშრისასა,  
მკლავ დაგსხამ ლიფრისასა!  
მიგუწ-მოგუწამ, ჩაგდებ რილისა<sup>2</sup> ქვაბშია,  
დავადგამ ზარფუშსა, მიგცემ წყალსა და კლდესა!  
არ გესმოდეს ძალი ყეფა, არსაით მამლი ყივილი!  
მოხუოდა შავი წყალი,  
მას მოსდევდა შავი გველი.  
გადაგვარ შავი მათრახი,  
შემეგესხა თვალში წყალი.  
გაეალ მურგურავანსა,<sup>4</sup>  
გაეაბამ აბრეშუმის ბადეს,  
წყალს მივცემ ცრუსა და მანენსა,  
უბრალოდ მალეტებელსა და შენსა შამშჩნებელსა!  
გამოდი, გამოიფე ჩემსა ლოცვასა,

1 ღელი.  
2 არვის.  
3 სახურავი.  
4 წყალი.

თორე ავიღებ შავტარა დანასა,  
თავს დაგცემ, ბოლოს გამოვა.  
შენსა შემშინებელსა კარით მეხი, ბანით ცეცხლი,  
თვალში ნაცარი, გულში ლახვარი!  
ერთი მუჭა მახათი გულში გამოახლართე!  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

## 7

სახელი სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა, ამინ!  
ძაღლმა შეგაშინა, მაინც შეშინებული ხარ,  
კაცმა შეგაშინა, მაინც შეშინებული ხარ. -  
გზაი ნაგზეულსა, წყალი ნაწყეურსა,  
წისქვილი საწისქვილესა, ქორი საქონდარასა, გული საგულლესა.  
გულო, დადექ საგულესა,  
ნუ წასულხარ სამგუნესა,  
შეგიკერაე საგულესა!  
აბძანდი, გულო, დაბძანდი, გულო,  
უკულმა გადაბრუნდი, გულო,  
წაღმა გადმობრუნდი, გულო!  
ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი,  
ბრძანება თქვენი!

## 8

სახელითა ღვთისითა, მამისა, ძისითა, სულითა წმინდითა.  
გულო, ნულარ გეშინია,  
სულო, ნულარ გეშინია,  
ხორცო, ნულარ გეშინია,  
ფერო, ნულარ გეშინია!  
.. გულო, მოდი საგულეს,  
სულო, მოდი სასულეს,  
ფერო, მოდი საფერეს,  
ხორცო, მოდი სახორცეს,  
ძარღვო, მოდი საძარღვეს,

---

1 ამ სიტყვებს ხაზგარეშე გვიმეორებენ.

ძვალო, მოდი საძვალეს,  
მბილო, მოდი სამბილეს,  
გულო, მოდი საგულებს,  
ნურას წახვალ სამგონეს!  
გარეთ ტურა-მგელი შეგჭამს.  
მე ვარ შენი დედა, მამა.  
რკინისა კარი მკილია,  
ზარბაზანი თავს მადგია.  
თეთრი ქორი – ქანდარას,  
დედალი – საბუდარას.  
გულო, მოდი საგულებს,  
ნურსა წახვალ სამგონეს!

(შელოცვის დროს შემლოცველს ცალ ხელში უჭირავს შეშინებული  
სარტყელი, მეორე ხელი კი მის გულზე უდევს. შელოცვას იმეორებენ სამჯერ)

## 9

შეშინებულო სულოო,  
შეშინებულო გულოო,  
შეშინებულო ფეროო,  
შეშინებულო ხორცოო!  
სისხლში იყო, გამოდი,  
ხორცში იყო, გამოდი,  
გამოდი და გამოგორდი,  
გამოდი, გამოეყარე!  
გამოგორდი კვერცხივითა,  
გამომკერი ნემსივითა.  
ჰა, უფალო, ძალი შენი,  
გადაეღე თვალი შენი,  
მოუხდინე ლოცვა ჩემი!  
ლოცვა ჩემი და სარგებელი შენი,  
ლოცვა ჩემი და მოსახდენი შენი!

## 10

სამნი ვიყავით, სამნი ძმანი,  
კვალსა ვემებდი ნადირისასა.



კვალი ვერ ენახეთ ნადირისანი,  
მახე დაუგუგეთ კანაფისანი,  
შიგ გაბმულიყვნენ თმა ელვისანი.  
ელვი, ელვის ყვავილო,  
ნუ მოუშლი შუქსა მზისასა,  
სირგელივეს მთვარისასა!  
შეშინებულის ლოცვა ეს არი.  
შაე კლდეს გამოვთხრით, შაე ქვას აელოკავთ,  
წავალთ უდაბნოს, ტყეს მოვეფარებით,  
არას ვერჩით შეშინებულსა.  
(შელოცვას სამჯერ იმეორებენ).

11

სამნი ძმანი ვიყავით, გექონდა სამების ძალა.  
დავდიოდით მთაშია, დავეძებდით ნადირსა.  
ვერ ვიპოვეთ ნადირი, ვპოვეთ შემშინებელი,  
შეგკარ-შეგვოჭეთ რკინეულ ბადე-კანაფითა.  
მოიტანეს ოქროს კოკა, შიგ ჩააგდეს წყეული ეშმაკი.  
ჩაეაგდეთ წყალსა მდინარესა,  
გავატანეთ ქვენა ქარსა, ზენა სირსა.  
ქვას ეცეს, კლდეს ეცეს შენი შემშინებელი!  
დასწყევლოს, დალახეროს 363 წმინდა გიორგიმ!

12

მონღენილო დედიანო,  
მონღენილო მამიანო.  
თეთრი ქორი — ქანდარასა,  
შავი ვარია — საბუდარსა.  
წყალი — ნაწყევლსა, გზა — ნაგზაურსა.  
გულო, მოდი საგულესა, შენი გული-აქანასა.  
შიშო, უშველე! შიშო, უშველე! შიშო, უშველე!  
არული კუდიანსა, ჯვარი აქაურობასა!  
ფუ ეშმაკს, ფუ ეშმაკს, ფუ ეშმაკს!  
შიშო, უშველე! შიშო, უშველე! შიშო, უშველე!

13

სახელო სახელისაო,  
სახელო სამჯერ ღვთისაო.  
შეგილოცავ შიშისასა.  
გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი შავი მოკაზმულობითა:  
შავი უნაგირი, შავი უზანგი,  
შავი თოქალთო, შავი მოსახვევი,  
შავი აღვირი, შავი მათრახი.  
დასწყევლოს ღმერთმა, გაიპაროს დილასაო!

14 ლ

აშინაო, მაშინაო,  
გულო, რამ შეგაშინაო?  
ფერო, რამ შეგაშინაო?  
ქორი იჯდა ქანდარასა,  
დედალი – საბუდარასა.  
გულო, დაბძანდი!  
იერუსალემს წირვა იყო,  
სამჯერ მომისმენია,  
მე არ შემშინებია,  
გულო, შენ რამ შეგაშინა?  
ნუ გეშინია, გულო,  
ნუ გეშინია, სულო,  
ნუ გეშინია, ხორცო,  
ნუ გეშინია, ფერო!  
რაჟამსაცა შეშინებული ხარ,  
გამოქარდი ქარივით,  
გამოწყალდი წყალივით.  
ქარს გაჭყევი ქრიალეს,  
წყალს გაჭყევი მდინარეს.  
ნურც აცხელებ, ნურც აციებ,  
ამ . . . .ს<sup>1</sup> გაეყარე,  
სხვა . . .ს<sup>2</sup> შეეყარე.

---

1, 2 იტვიან ავაღმოფის სახელს.

კატამ შეგაშინა, ძაღლმა შეგაშინა,  
დაყვირებაზე შეგეშინდა,  
დაძინებაზე შეგეშინდა,  
მაინც შეშინებული ხარ.  
გამოქარდი ქარივით,  
გამოწყალდი წყალივით.  
ქარს გაჰყევი ქრიალეს,  
წყალს გაჰყევი მდინარეს.  
ნურც აცხელებ, ნურც აციებ,  
ამ . . . . .ს<sup>1</sup> გაეყარე,  
სხვა . . . . .ს<sup>2</sup> შეეყარე!

15 ლ

აშინა, მაშინა, გულო, რამ შეგაშინა?  
სულო, რამ შეგაშინა?  
დღით შეშინებული ხარ,  
ღამით შეშინებული ხარ.  
ორფეხმა შეგაშინა, ოთხფეხმა შეგაშინა?  
რა და რა სულიერმა შეგაშინა?  
მაინც შეშინებული ხარ.  
ავილებ ბარსა და ნიჩაბსა,  
მივცემ ქარსა და ნიავსა  
შენი გლაზა სულითა და გულით შემომხედავს!  
აეარდა ფურცელი, დაასკდა მუცელი,  
გეიარა ჭიშკარი, დეესია ჭილყვავი,  
გეიარა ეზო, მოსტყდა თემო!  
მოდის ნაქაჯი ბებერი,  
მოახრჭიალებს კბილებსა.  
თვალსა მოვთხრი მხედრისასა,  
კბილსა მოვთხრი სპილოსასა!  
გადაკერაუ სიძსა რვალიანისასა!  
ისე სკდებოდეს, ისე თხშებოდეს  
შენი ავი სულითა და გულით შემომხედავი!

(შელოცვის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს სამჯერ შესამკენ ჭიქიდან

1, 2 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

16

აშინაო, მაშინაო,  
გულო, რამ შეგაშინაო?  
ღედამ შეგაშინაო,  
მამამ შეგაშინაო?  
შეშინებულო გულო, გამოდი,  
შეშინებულო სულო, გამოდი,  
გამოდი, გამოიცალე,  
გამოყევი ჩემსა ლოცვასა,  
ბრძანება არი ღვთისაო!  
თუ არ გამოდი ნებიტა,  
მე გამოგდევნი ძალიტა!  
სულო, ნუ გეშინია,  
გულო, ნუ გეშინია,  
ხორცო, ნუ გეშინია!  
გამოქარდი ქარივითა,  
გამოწყალდი წყალივითა!  
თუ არ გამოდი ნებიტა,  
მე გამოგდევნი ძალიტა!  
გამოდი, გამოეცალე,  
ამ . . . . .<sup>1</sup> გამოეცალე,  
სხვა . . . . .<sup>2</sup> შეეყარე!  
იქ არის თქვენი . . . . .,  
იქ არის თქვენი შვილი,  
იქ არის თქვენი ძირი.  
დატირიან, დაგეძებენ,  
უთავსაკრო, ულეჩაქო,  
უწინდო და უპაჭიჭო.  
ცხვარი და ძროხა დაუკლავთ,  
თავ-ფეხი თქვენთვის შეუნახიათ.  
ადრე მიხვალთ, შეგინახვენ,  
გვიან მიხვალთ, შეგიჭამენ.

---

1, 2, 3 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

გამოდი, გამოეცალე,  
გამოყევი ლოცვას ჩემსას!  
თუ არ გამოდი ნებითა,  
მე გამოგდევნი ძალითა!  
თქვენი დედა იხარებს,  
თქვენი მამა იხარებს,  
თქვენი შვილი იხარებს.  
გამოქარდი ქარივითა,  
გამოწყალდი წყალივითა!  
თუ არ გამოდი ნებითა,  
მე გამოგდევნი ძალითა!

## 17

აშინაო, მაშინაო,  
გულო, რამ შეგაშინაო?  
დღე შეშინებული ხარ,  
ღამე შეშინებული ხარ,  
ორშაბათს შეშინებული ხარ,  
სამშაბათს შეშინებული ხარ,  
ოთხშაბათს შეშინებული ხარ,  
ხუთშაბათს შეშინებული ხარ,  
პარასკევს შეშინებული ხარ,  
შაბათს შეშინებული ხარ,  
კვირეს შეშინებული ხარ,  
კვირეს შენი არ ითქვა.  
კვირეს ნუ გეშინია,  
ორშაბათს ნუ გეშინია,  
სამშაბათს ნუ გეშინია,  
ოთხშაბათს ნუ გეშინია,  
ხუთშაბათს ნუ გეშინია,  
პარასკევს ნუ გეშინია,  
შაბათს ნუ გეშინია,  
კვირა დილა გათენდება,  
შენი გული გამთელდება.  
შენი გული, შენი სული,  
შენი ფერი, შენი ხორცი —

ყოლიფერი გამთელდება.  
გამთელდი, გულო, გამთელდი, სულო!  
ძვალში იყო, რბილში გამოდი,  
კანში იყო, კარში გამოდი,  
თვარა აგჩეხავ, დაგჩეხავ  
შავტარიანი დანითა,  
ლეკურითა და ხმალითა!  
ჩაგდებ ქვაბსა რვალისასა,  
შემოუნთებ ცეცხლსა!  
აკერავ ბარსა და ნიჩაბსა,  
გაეატან ქარსა და ნიავსა.

18

გულო, მოდი საგულესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
თვალო, მოდი სათვალესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
ხორცო, მოდი სახორცესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
მუხლო, მოდი სამუხლესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
გულო, მოდი საგულესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
გულო, დაბძანდი საგულესა!  
კანჭო, მოდი საკანჭესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
ძვალო, მოდი საძვალესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
ძარღვო, მოდი საძარღვესა,  
ნუ გეშინია შიშისა!  
გულო, მოდი საგულესა,  
დაბძანდი შენსა ადგილსა!

19

ეს ადგილი წმინდა არის,  
წმინდა არის, ღვთისა არის.

ღმერთო, ბაღე მრევლისა, მოარული ღამისა,  
 მაწყინარია ბავშვისა.  
 ღმერთი ციხეა, შიგა ზღუდეა,  
 შიგ არიან მთავარანგელოზები.  
 მიქელგაბრიელ, კლიტე მოგვეცი რეალისა,  
 ბექედი სოლომონისა.  
 უნდა შეგკრათ და შეებოჭოთ  
 მოარული ღამისა, მაწყინარია ქალისა.  
 . . . ! მონათლულია,  
 ნათლილებას დასწრებია,  
 მამა აცვია, ძე არტყია,  
 სულიწმინდა გარს ავლია.  
 ოთხი თავი სახარება  
 ოთხივე კუთხეს უსვენია —  
 ათე, მარკოზ, ლუკა და ივანე.  
 აც ესენი მოიხსენებინ,  
 იქაც ყოველი მავსკ განშორდება.  
 ერდოს-ჯვარი, კარს-ბექედი,  
 ამინ! ამინ! ამინ!  
 წმინდა გაორგი, დასწრე ჯვარი,  
 გადააეღე წყალობის თვალი!  
 არგე ლოცვა ჩემი, წყალობა შენი!  
 ამინ! ამინ! ამინ!

## 20

გულო, დეღამ შეგაშინა?  
 გულო, მამამ შეგაშინა?  
 გულო, რამაც შეგაშინა,  
 იმან მოგიყვანა შინა.  
 შიგნით ტურა, გარეთ მელა  
 გამოხტება, გიკბენს შენა.  
 შენ შით შებძანდი, შენ ბუღესა შინა,  
 აქ წახვალ სხვისას!  
 ძთვარის ბაგე დაგდგომია,

1 იტყვიან ავაღმყოფის სახელს.

გული კარგად გაგხდომია.  
ღმერთო, დასწერე ჯგერის შენი!

21

კარვის პირს დგას ეკლესია,  
წამალს ჭრინან, წამლის წამალსაო.  
ქათამი საბუღარსაო,  
გულო, დაბძანდი ადგილსაო.  
ლოცვა ჩემი, რგება ღეთისაო!

22

ერთი მეღად მოდიოდა,  
კუდსა მოაცაცუნებდა,  
პირსა მოამტკაშუნებდა.  
იმან, იმან შემაშინა,  
ქვაქვეშ შემაძრინა.  
ცხრა წელიწადს დამაყენა,  
მეთათუე გამომიშვა.  
შევჯექი ტიკითა,  
გაკარბენიე ბლიკითა.





# უემურისა<sup>1</sup>

1

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

გასქდა შავი კლდე, გამოიდა შავი ცხენი.

ცხენსა დქონდა უნაგირი შავი, ლაგამი შავი, უზანგი შავი.

იჯდა ზედ კაცი შავი, წელს ესხა ნაბადი შავი,

ეჭირა მათრახი შავი, მიდიოდა გზასა შავსა.

მანათებდა თვალსა შავსა, მაალრეჩამდა კბილსა შავსა,

მოდიოდა, მოყოფოჩაობდა, მოტოტოჩაობდა.

შემეყვარა მიქელ-გაბრიელი თავარანგელოზი, კითხა:

– სად მიხვალ, შავო კაცო, სად მიანათებ თვალსა შავსა,

სად მიალრეჩამ კბილსა შავსა და საით მიყოფოჩაობ?

– მივდივარ ადამის ძის ტანში შესასვლელადა,

გულის ასაფრიალებლად, გასაციებლად, გასაცხელებლად.

სისხლის სასმელადა, ხორცის საჭმელადა, ტყევის საცვეთლადა.

ძარღვის საწყვეტლადა, ძვალის სახერელადა, ტყინის სათქეფადა.

– ღმერთსა ვფიცავ, არ გაგიშვებ ადამის ტანში შესასვლელადა!

გამობრუნდი, გამოიყე ჩემსა ლოცვასა, თორე აგიტეხ სნებასა!

გიგდებ ბადეს შავი აბრეშუმისას,

დაგიჭერ, დაგცემ შავტარა დანასა,

გაგინევ მუცელ ბელისასა,

მოგჭრი თმასა გიშრისასა, მოგთხრი თვალსა ჭიქისასა,

მოგჭრი ფჩხილსა გაზნისასა.

დავანთებ ცეცხლსა, დაეყრი რვილისა შეშასა,

მუხის მუგზულსა, ასკილის გონჯასა,

მიწის ფათალოსა, ჯორის ძუასა, ღორის ჯაგარსა,

---

<sup>1</sup> საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ შელოცვას იხსენიებენ სხვადასხვა სახელწოდებით „მოყოლილი“, „აყოლილი“, „ამოყოლილი“, „ნალანდი“, „მოფეთებული“, „მონადები“, „მონდომილი“, „შენახდენი“, „უბური“ და სხვა.

გოგირდსა და გველის ქერქსა.

ჩაგაგდებ შიგა, დაგწვამ, დაგხრუკამ.

— ნურც დამწვამ და ნურც დამხრუკამ, მაცალე, მაცალე!

ნურც მამთხრი თვალსა ჭიქისასა,

ნურც გამიხეე მუცელ ბედლისასა,

ნურც მამჭრი ფრჩხილს გაზნისასა.

ნურც დამწვაე და ნურც დამხრუკამ.

გამოვალ და გამოვეყები შენსა ლოცვასა.

— იგეთ ალაგ გადავარდი, უდაბურსა მთასა, ზღვასა, წყალსა, კლდესა,

არც გესმოდეს ძაღლის ყეფა, არცა მამლისა ყივილი.

წმინდა გიორგის კარებსა . . . . . ამბობდა სახარებასა,

შენ, ეშმაკო, დეესხენი, არ არი შენსა ნებას!

იორდანეს ნათლულია, ნათლიღებას დასწრებია.

მამა ძხურამ, ძე აცვია, ხალათ სარტყელი არტყია.

ასა ივანე ხუოდა, დევი და ქაჯი ქრებოდა.

ღმერთო, შენ დასწერე პირჯვარი!

სამას სამოცდასამო წმინდა გიორგო,

ოთხო თავო სახარებაე,

შენ შაკარ და შახეჭდე ავი და უკეთური!

## 2

ეს ალაგი სპატესია, სპატეს ჯვარი ასვენია.

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი.

წმინდა გიორგის ცხოველი ვარ, იმისი ნათლული.

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს, ვერას გვაწყენს მაცდური!

პეტრე, პავლე და იაკობ საუქმუროდ მოდიოდნენ.

შახებდე შავსა მთასა, საუქმურონი გადმოდიანო, მოდიან, მოტირიან.

— სად მიდიხართ, საუქმურონო?

— ყმაწვილისა საწვალეებლად, დედ-მამის სატირებლად,

სისხლის სასმელად, ძვლების სახერელად, ხორცის სადნობლად!

— უშველე, წმინდაე გიორგი, კვირაცხოველო, წმინდა ესტატე,

ასო-ასო კაფე უქმურნი, ქვაბში ჩაყარე,

შეუკეთე, დაწვი ცეცხლის აღშია.

— იქაე წავალთ, საუქმუროსა ხეს ეჭამთ, ხეს მოვეფარებით,

---

1 იტყვიან ავიდმოფის სახელს.

კლდესა ვჭამთ, კლდეს მოვეფარებით,  
არას ვერჩით თქვენის გვარისასა!  
სამოცდასამის წმინდა გიორგის თავდებითა,  
სამოცდასამის კვირაცხოველის თავდებითა,  
წმინდის ესტატეს თავდებითა!  
პეტრე ბანსა, პავლე კარსა,  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

### 3

სახელო, სახელო ღეთისაო, სამჯერ სახელო ღეთისაო.  
უქამური მოდიოდა უქამური ბინდისასა,  
მოაქნევედა ყავარჯენსა, შინდისა და ისრისასა.  
წინ მარიამ დედა შემეფარა:  
— სად მიხვალ, სად მიიარები?  
— მივდივარ . . . . სთანა<sup>1</sup> თავის ასარევედა, ჯანის ასარევედა.  
— გასცი, გაშორდი ჯანიდან, თავიდან!  
აგუწ-დაგუწაე აღმასით,  
მიგცემ ქარსა, ქარიშხალსა, წყალსა წაგაღებინებ!  
გასცი, გაშორდი ჯანიდან, თავიდან!

### 4

სახელო სახელითა მამითა, ძითა.  
უქამური მოდიოდა საღამოსა ბინდისასა.  
ყავარჯენსა მოიქნევედა ტარმოკლესა, გიშრისასა.  
— უქამურო, სად მიდიხარ?  
— ადამის ტანში შესასვლელად!  
ხორცის საჭმელად, სისხლის სასმელად.  
— არა, მე არ შეგიშვებ, მამა-ძემა და სულმა წმინდამა,  
ღეთისა ძალითა, სამას სამოცდასამი წმ. გიორგის ძალითა!  
დაგცემ დანასა შავტარიანსა, აგჭრი, აგუწაე,  
მიგცემ ზენასა, წაგაღებინებ ქვენასა,  
მიგცემ ქვენასა, წაგაღებინებ ზენასა!  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

<sup>1</sup> იტვიან ავადმყოფის სახელს.

## 5

უქმური მოდიოდა საღამოსა ბინდისასა,  
მოიქნევედა ყავარჯენსა, ტანშავასა გიშრისასა.

წინ იესო ქრისტე შემოეყარა და ჰკითხა:

– უქმურო, სად მიდიხარ,

სად მიაქნევ ყავარჯენსა ტანშავასა, გიშრისასა?

– მივდივარ ბავშვის შესაშინებლად, პატრონის შესაწუხებლად.

– არ გაგიშვებ, ჩემმა მადლმა, ჩემმა ღიღებულებამა!

მოდიოდა შავი წყალი, თან მოჰქონდა შავი გველი.

გადაკვარი სიპსა ქვასა, გამოეხადე იმის ზეთი.

წავუსვი შენსა მთვალავსა, შენსა შემშინებელსა,

შენსა ავად მახსენებელსა დავსწყვიტე წელი და გული.

## 6

სახელო სახელისაო, სახელო სამჯერ ღვთისაო.

შეგილოცავ უქმურისას.

– უქმურებო, სად მიდიხართ შუალამისასა, ბინდისასა?

– მივდივართ ადამიანიშვილის ჯანშია,

პატრონის შესაწუხებლად, ბავშვის საწუწუნებლად.

– არა, მამა-ძემა, სულმა წმინდამა,

დაბრუნდით, ჩემკენ წამოდით, გამოჰყეთ ჩემსა ლოცვასა.

ნუ შეაწუხებთ პატრონსა, ნუ აწუწუნებთ ყმაწვილსა!

ნუ შესჭამთ ხორცსა, ნუ გამოჰხრავთ ძვალსა,

ნუ წაართმევთ ფერსა, ნუ შეუშლით ნირსა!

ალო, ქაჯო, დაგჭრი, დაგაფავ შავტარიანი დანითა!

სამნი ძმანი მოდიოდნენ სამებისა ძალისანი

სამს ერქვა სამი სახელი: სოლოშონი, ტარიელი და მარკოზი.

ნადირისა კვალი ვერ იპოვეს, აღისა კვალი დაიჭირეს.

ვაი, ვაი ვალსაო, აღს დავაჭრი თმასაო,

სარკესა და სავარცხელსა დაუწყობენ თავსაო.

არნადისა ტარსაო, ტარს გაუყრი კარსაო.

თმასა მოვჭრი ძოწისასა, მივეცემ ქარსა და ნიავსა!

ალო, ქაჯო, დაგჭრი, დაგაფავ შავტარიანი დანითა!

მუხისა კალოს გაგლეწავ, მუხის ფიწლით გაგანიავებ,

მიგცემ ქარსა საქვენაქროსა, ზენას წაგაღებინებ!

ცულის პირით მონაჭერი ცულის ტარად მოგეხმაროს,



ლოცვა ჩემი დაგეხმაროს!

ჯვარს დავიწერ ჯვართა, ელუმსალის ძალითა.

ამ ადამიანს ავაყენამთ, სულიწმინდა დავაყენამთ.

მათესა და მარკოზსა თაე-ბოლოს დაუყენამთ.

ისე გასჭრას ჩემმა ლოცვამ, როგორც ტყეში ფრთიანმა ცულმა.

## 7

უემური მოდიოდა ჟამსა შუაღამისასა,  
შემოყვარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.

— სად მიხვალ უემურო?

— მივალ კაცისა ასოსა, ზოგს ვაცციებ, ზოგს ვაცხელებ,

ზოგსა ამოვიყვან სამარის კარსა!

— არა, მამამ, ძემ და სულმა წმინდამ,

არა შეგიშო კაცისა ასოსა!

ვერცა აციებ, ვერცა აცხელებ, ვერცა მიიყვან სამარის კარსა

სადაც ჩემი სახელი იხსენებოდეს! ფუი, ასე ქრებოდეს!

## 8

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

მოვიდოდა წითელი კაცი, წითელ ცხენზე იჯდა,

წითელი ლაგამი ხელში ეჭირა.

— სად მიხვალ, შე წითელო კაცი?

— რაეა სად მივალ, უემური შემხვედრია.

— დასწყევლოს ღმერთმა იგი მავნე და უწესური!

ზის იყოს, ხეზე ავიდეს, წყლის იყოს, წყალში ჩავიდეს.

ძვალის იყოს, ძვალში გამოვიდეს,

რბილის იყოს, კარში გამოვიდეს!

უფალო, დასწერე ჯვარი შენი,

გადაავლე თვალი შენი, არგე ლოცვა ჩემი!

## 9

მოდიოდეს პეტრე და პავლე, როსტომ და ტარიელ

არუხითა და მარუხითა.

წინ დახდა წმინდა ესტატე სამოცდასამის თავითა.

— სად მიზოლთ, შავნო ძმანო, თქვენი შავი ძაღლებითა?

– ხევს მიედივართ სასმელადა, საჭმელადა,  
 ბაღლის შესაღონებლადა, პატრონის დასაძმარებლადა.  
 – გირჩევთ, დაბრუნდეთ, შაენო ძმანო, თქვენის შავის ძაღლებითა!  
 – არ იქნება გაბრუნება, გზასა მიედივართ, გზასა იალთა.  
 – გამოდით, თუ გამოხოლთ ჩემის ფრანგულის დანითა,  
 გამოდით, თუ გამოხოლთ შავი ღორის ღრუტუნითა,  
 გამოდით, თუ გამოხოლთ შავი კატის ბღაველითა,  
 გამოდით, თუ გამოხოლთ შავი ლეკვის ყეფითაო!  
 – გამოვალთ, წმინდა ესტატეო, სამოცდასამი თავისა!  
 ქალსა მოქონდეს მდინარე, თან შემოყვეს თავის აღნი,  
 ჩაუყარე ნიგუზალნი, ხელუკუღმა გადუყარე, თან გადაყვეს თავის, აღნი!  
 ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა,  
 ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

## 10

ჩვენა ვართ სამნი ძმანები, სამნივე გვარისანები:  
 იროსი, მიროსი და კეიროსანი.  
 წვევდით მაღლა თასა, წვევდით სანადიროდა.  
 გვეღვით კვალი ნადირისა, ვერ ვიპოვეთ.  
 ერთ ადგილას კვალი ვნახეთ აღისა და ეშმაკისა.  
 მოგვიგო აღმა და ეშმაკმა:  
 – ნუ მოგვეკეთავ კბილსა რვალისასა,  
 – ნუ მოგვეჭრი თმასა გიშრისასა!  
 თავში ვართ, ცხვირში გამოვალთ,  
 გვამში ვართ, პირში ამოვალთ.  
 ას მილიონ მთას გადავივლით, აქანა აღარ დაეღვებით.  
 ციხეა, ციხე-ზღუდეა, შიგ ღაღადებენ ანგელოზები:  
 მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე.  
 სადაც მათი სახელი იხსენებოდეს,  
 იქანა ქრებოდეს ეშმაკი და მავნებელი,  
 იქანა ქრებოდეს ღამე და მალვინძებელი!  
 არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება თქვენი!

## 11

მამისა და ძისაო, ანგელოზო ღამისავო, მცველო ძილისაო!  
 დასწერე, ღმერთო, ჯვარი, არგე და მოუხდინე ლოცვა ჩემი!

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი, სამებისა ძალისანი.  
ვეძებდით კვალსა ნადირისა, ენახეთ კვალი ალქაჯისა.  
გაუღდექით კვალსა ალქაჯისასა, იჯდა კლდისა ძირსა.  
უუგდეთ ბადე აბრეშუმისა და შევიყარით ხელთა.  
— ნუ წამიყვანთ, სამნო ძმანო, მიროზ-მარკოზ-კვირისტინე!  
ჩვენ არ შევეხოთ ყმასა ავადმყოფსა, სწრაფად გაეშორდეთ,  
საცა ისმოდეს ხმა ზარისა, ყივილი მამლისა,  
ვერ შევეხოთ ავადმყოფს, სწრაფად გაეშორდეთ მონასა.  
დასწერე, ღმერთო, ჯვარი შენი,  
არგე და მოუხდინე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

## 12

ერევეზი, კერევეზი, მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.  
სამნი ძმანი ყრმანი მიდიოდნენ სანადიროდ.  
შეხვდათ წინ ნათარაშევი ალი, ქოროზ-მოროზი.  
— ჩასდებაზე გაზრდილი ვარ,  
ვეძებ ქრისტიან კაცს, ვეძებ მელოგინე ქალს,  
ვართმევ ნახევარ სისხლს, ვართმევ ნახევარ ძვალს,  
ვართმევ ნახევარ ფერს, დავგრეხავ, დავკუწავ,  
ლუკმა-ლუკმა ჩავაგდებ ბოქლომიან ქოთანში,  
სამ წელიწად ვადულებ კვირიკობის თვეში.

(ქათმის ბუმბულს აყრიან ნადეერდალზე და კვამლს ავადმყოფს აცლაპებენ).

## 13

მთასა გაველ გალილიასა, კვალსა ვეძებ ნადირისასა.  
კვალი ვერა ვპოვე ნადირისა, ვპოვე უკეთურისა.  
მოწიოდა გველივითა, მოჭყვიროდა ღორივითა.  
შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი  
ცხრა ანგელოზითა, ნოეს კვერთხითა, სოლომანის ბეჭდითა.  
— სადა მიხვალ, მგზავრო, კვალად უკუღმართო?  
— მივალ ყმაწვილთან ტანთა შესახვრელად, დედის სატირლად,  
მამის საჩივლელად, ძვალის სამტერველად,  
სისხლის სასმელად, ხორცის საჭმელად.  
— არა, მამამა, ძემა, სულმა წმინდამა,  
არცა აგატირებინო დედა, არცა აგატირებინო მამა,



არცა გამტკრევეინო ძვალი მისი,  
არცა გასვა სისხლი მისი, არც გაჭამო ხორცი მისი!  
დაგიგებ ბადესა კანაფისასა, ჩაგაგდებ ადგილსა უადგილოსა,  
არცა გესმოდეს მამლის ყვიელი, არცა გესმოდეს ძაღლის ყეფა!  
აგიკრამ ალამასის ფიწალსა,  
აგიკრამ ზენასა, გაგაქანებ ქვენასა.  
გლოცამ, მიქელ-გაბრიელ ღმერთი არის შენი მშველელი!

## 14

შენახვედრო დედიანო, შენახვედრო მამიანო!  
ორშაბათს შეხედა, სამშაბათს შეხედა,  
ოთხშაბათს შეხედა, ხუთშაბათს შეხედა,  
პარასკევს შეხედა, შაბათს შეხედა, კვირას შეხედა,  
ადგომილი შეხედა, დაჯდომილი შეხედა,  
რა ხარ, რამოდენა ხარ, ჯიქი ხარ, ალალი ხარ?  
მონტა შავი ტყვიდან ფეხით გამოშავალი.  
გაყვობი გზასა, მინდორსა, ნუ ეშურები ნახამსა ძვალსა.  
იგი ღვთისაა, ღვთის პერანგი აცვია,  
სული წმინდით გადიდებულია, კერას აწყენს მაცდური!  
წყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი!  
შავი შარგული დუუკლავენ, შენთვის თავი შეუნახვენ,  
ადრე მიხვალ, მოგართმევენ, გვიან მიხვალ, შეგიჭამენ,  
გამოდი, გამოიტანე, გაჰყევი მეშარიას, გაჰყევი მეგზურიას.  
ამასა ასი ღედა ჰყავს, ასი მამა ჰყავს, დაი და ძმაი.  
ყველას თოფი აქვს, ყველას ლეკური აქვს,  
წამოდი და წამოიღე.

## 15

მონთომილო დედიანო, მონთომილო მამიანო!  
მონთომილო შეილიანო, მონთომილო ძირიანო!  
მონთომილო ყმიან-მოსამსახურიანო!  
ერი ხარ, ბერი ხარ, მოლოზანი ხარ, ურია ხარ,  
თათარი ხარ, წყლისა ხარ, ხისა ხარ, მინდერისა ხარ,  
ღელისა ხარ, რა და რა სოფლისა ხარ?  
გამობძანდი ქარივითა, გამოდინდი წყალივითა,

თქვენი ბინა მოსძებნეთ!

თქვენი მამა ტირის, თქვენი დედა ტირის:

— სად არის ჩვენი შვილიო?

ხარი დაგკალით, ბარკალი შეუნახეთ,

ადრე მოვა, დავახვედრებთ, გვიან მოვა; შეუჭამთ.

16

სახელი სახელითა ხვითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

შენახვედნო დედიანო, შენახვედნო მამიანო,

შენი დედანი ტირის, შენი მამანი ტირის:

— სადაა ჩვენი შვილიო, სადაა ჩვენი ძირიო?

წიქარე დუუკლავენ, თავ-ფეხი შენთვის შეუნახავენ.

ადრე მიხვალ, შეგინახვენ, გვიან მიხვალ, შეგიჭამენ.

გოუსვი, თორე არც მე გაგიშვებ!

აგჭრი ალითა-მალთა, შეატარიანი დანითა,

ჩაგაგდებ კვანში, ჩამოგკიდებ ოჯინჯალაზე!

არ გაეგშობ, მამამ, ძემ და სულმა წმინდამ,

არცა საზარებლად, არცა საწუნებლად.

წამობდანი, მე ქე წაგიძღვები.

იქაა კაი სმაი და იქაა კაი ჭმაი,

იქაა კაი ყოფა-ცხოვრება!

(შელოცვის დამთავრების შემდეგ შემლოცავი აიღებს ხელში ნაცარს და უკულმა ისვრის, კარებს გარეთ წყალს გადაასხამს. შელოცვა სრულდება სამჯერ).

17

მონადებო შვილიანო, ძირიანო, მამიანო, დედიანო,

თქვენი მამა ტირიენო, თქვენი დედა ტირიენო:

— სადაა ჩვენი შვილიო, იქაა ჩვენი ღზინიო.

შაგვულეი დაუკლავენ, თავ-ფეხი შეუნახავენ.

ადრე მიხვალ, დავიხვედბა, გვიან მიხვალ, შეგიჭამენ.

აქანე წითელი კაცია, წითელი მამალია,

წითელი ძაღლია, გასწი, გაშორდი.

აგჩეხავენ, დავჩეხავენ, ღობე-ყორეს მიგკიდავენ!

(ავადმყოფს უფუტებენ ბლის ქერქს).

18

მოსვდენილო შვილნო, ძირნო,  
ტირიან თქვენი დედები, ტირიან თქვენი მამები:  
სად არი თქვენი დედები, სად არი თქვენი მამები?  
თავშაგები დოუკლავსა, თავ-ფეხი შენთვის შეუნახავსა.  
ადრე ჩახვალ, შეგინახვენ, გვიან ჩახვალ, შეგიჭამენ.  
გასწით, გასწით, აქ შავი ძაღლები ყუფენ,  
აქ თოფიანი კაცები არიან, აქ შავი მამლები ყვივან,  
ამას გაეყარეთ!

19

მოხთომილო მამიანო, მოხთომილო დედიანო,  
მოხთომილო შვილიანო, მოხთომილო ძირიანო,  
დილით მოხდენილი ხარ, მაინც მოხდენილი ხარ,  
შუადღით მოხდენილი ხარ, მაინც მოხდენილი ხარ,  
საღამოდ მოხდენილი ხარ, მაინც მოხდენილი ხარ.  
გამოდით და გამოქარდით, გამოყეთ ამ ჩემ ლოცვასა,  
თორე აქ მოვლენ ახესაძე, კავთელაძე, ნიჟარაძე  
შავტარიანი ხანჯლით, შავტარიანი ლეკურით, შავტარიანი დანით.  
აგჩეხენ, დაგჩეხენ, ჩაგყრიან მარმარილოს ქვაბით,  
მისთანა ადგილზედ, არც იყურებოდეს ძაღლის ყუფილი,  
არც იყურებოდეს მამლის ყიული.  
ამას რას გამორჩებით? გირჩევენიათ, გამობრძანდეთ.  
თქვენს მშრობლებს დუუკლამთ გიშერეი,  
თავფეხი თქვენთვის შეუნახიათ.  
ადრე მიხვალთ, დაგხვდებათ,  
თუ არა და, სხვა მიირთვამს.

20

მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო, მე ვარ მლოცავი ქალი.  
არ შეგიშვა ტანში არც მუხლის სატკენად, არც თავის სატკენად!  
მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო,  
მოხთომილო შვილიანო.  
ჰაერიდან მოხდომილი ხარ, ტყიდან თუ ღელიდან,  
გამოდი, გამოყევ ჩემს ლოცვასა!

არ გამოხვალ ნებით, გამოგიყვან ძალით.  
ჩემი შავტარიანი დანით აგეპ-დატეპაე,  
ჩაგაგდებ ქვაბსა სპილენძისასა,  
წაგიღებ, გადაგყრი უადგილო ადგილას,  
არც გეყურებოდეს ძაღლის ყეფილი, არც მამლის ყივილი!  
მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო,  
ტყისა ხარ, ტყისკენ წადი, გზისა ხარ, გზას გაყევი,  
ღელის ხარ, ღელისკენ წადი, გამოდი და გამოყევ ჩემსა ლოცვასა!  
გაიარე ხელის ფრჩხილი, გაიარე ფეხის ფრჩხილი.  
არ გამოხვალ ნებით, გამოგიყვან ძალით.  
გადაგვრამ წმინდა გიორგის ხმალსა,  
გაგარონიებ ცხრა მხარ მიწასა!

## 21

მოხთომილო ბედნიერო, მოხთომილო სულიანო,  
ძვალში ხარ, ხორცში გამოდი,  
კანში ხარ, კარში გამოდი!  
არ გამოხვალ ნებითა, გამოგიყვან ძალითა!  
ჩამოგაცვინო ქერის ფხასავით,  
გაგაპარო ვარდის წყალივით,  
არ დაგაყენო ამის ტანში!  
აგჩეხო, დაგჩეხო ჩემი შავტარიანი დანითა,  
გაგლეწო რკინის კვერითა, აგანიავო რკინის ფიწლითა,  
აგვრავ ფიწალსა, გაგატან ქარსა, ნიავსა!

## 22

მოხთომილო მამიანო, მოხთომილო დედიანო,  
მოხთომილო ყოველ ნათესავიანო.  
დღე მოხთომილი ხარ, ღამე მოხთომილი ხარ,  
ჰაერით მოხთომილი ხარ, მიწით მოხთომილი ხარ,  
მგზავრობაში მოხთომილი ხარ,  
რასიც მოხთომილი იყო, გამოდი!  
ტანში იყო, გამოდი, თავში იყო, გამოდი,  
ფეხი ფრჩხილი გეიარე, ნეკი ფრჩხილი გეიარე,  
გამოქარდი ქარივითა, გამოდენდი წყალივითა!  
გამოყევ ჩემსა ლოცვასა, ბრძანება არი ღვთისა!

გაგლეწამ ოქროს კვერითა, გაგაქრობ ღვთისა ძელითა!  
დაწვება, ღვეძინება, პირჯვარი ღვეწვრება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს ღვესვენება.  
ესემანას ვიყავი, იტყოდნენ აღსარებასა,  
ემშაკო, ჩამეცალე, არ არის შენსა ნებასა!  
ეს ქრისტესია, ქრისტე ამისია, ქრისტესაგან დაბეჭდილია!  
უცხო ტყეში შევედი, უცხო ხე მოვჭერი,  
უცხო მინდორში გამოვიტანე, უცხო ნაჯახით გავთალე.  
თუ იმ ხემ იმ ნაჯახს ტარად არგოს, ღედის ლოცვამ შვილს არგოს!  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი,  
გადააგლე წყალობის თვალი!  
არგე ლოცვა ჩემი და ბრძანება შენი!  
შამლოცავი ქრისტე ღმერთი,  
მარგებელი ღედა მარიამ ჯვარისმწერელი.

და (შელოცვის დროს შემლოცველს ხელში უკავია შავტარიანი დანა, ნახშირი წყლით ხავსე ჭურჭელი).

## 23

უუმურო, გამოდი, გამიეცალე!  
კარში შეხვდი, სახლში შეხვდი,  
მძინარეს შეხვდი, მღვიძარეს შეხვდი,  
მჯდომარეს შეხვდი, მდგომარეს შეხვდი,  
წყალში შეხვდი, ტყეში შეხვდი –  
რაშიც შეხვდი, უუმურო, გამიეცალე!  
ესე კარის ას, ზედ ჯდის მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი,  
იცინის და ღაღადებს:  
– მომიტანე ბადე ჩემი, შეეკრავ ღამე მომაეალსა.  
ემშაკო ჩამეენტხუე ამ ბაღანასა!  
არ არი შენსა ნებასა, სძინავ, ღმერთი სცავს,  
ყველაწმინდა ღვთისმშობელი გააღვიძებს.  
ძე აცვია, მამა არტყია, სული წმინდის მიწერილია!  
ესელაი ბუკასია, ბუკას ხატი სვენებია,  
შიგნით ჯაჭვი, გარეთ ხმალი, ეშმაკის დასაფრთხულია.  
ჯვარი წყალობს ჯვარცმული, რას აწყენს მაცდური.  
წყალობს ღმერთი, წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი!  
ღეიცავი, წმინდაო გიორგი, სამას სამოცდახუთო ანგელოზნო!

არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება თქვენი!

24

უემპურიდან მოვდიოდი, მოთგქვამდი სახარებასა,  
შენ, ეშმაკო, დევხსენი, არ არი შენსა ნებასა!  
ქრისტესია, ქრისტე ამისია, ქრისტეს ბეჭდით დაბეჭდილია!  
რკინის უღელს ბანს დავადებ, ტყემლის უღელს კარ გაუდებ.  
დაწვება, დეეძინება, პირჯვარი დეეწერება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავ-ბოლო დეესვენება.  
ჯვარი იწამს ჯვარცმული, ვერას აცდენს მაცდური.  
იესო ქრისტემ დასწყევლოს ეშმაკი, ავი, მაცდური.

25

ციცო, ციცო, ციცმარიტო, მისო ძირო, მარგალიტო,  
ჭალას ჩედი, მონადირე, დამიჭირე ოფოფი.  
ზედ დამიბამს ღვედითა, ღვედი გადაწყვედითა.  
თამარ გადურბენია, რაცა ჩემი ძალითა.  
ხელ ბეჭედი აგრა. ასეც მივა მიჭურღულუებს,  
ისეც მოვა მოჭურღულუებს თათრულითა ცხენითა.  
ჩემი ცხენი ცხენკოდილა, ონაგირით მოჭედილი,  
აევანგრიე, ჩაევანგრიე, თხინალასა ჩაევანტრიე.  
თხილანასა ბოლოსა ვირი ჭამდა ყანასა.  
— ვირო, ყანა ვისია, ელისა თუ მელისა?  
ქოთითური მარილი ქოთითური კაცისა  
თაგვსაც ამუულკინია, თაგვი ავით გამხდარა.  
ციცოღ მოვა სანახაუად,  
ისე მტერი მოგქცევა, კუწმეტილაჲ აღარა.

26

შე ოხერო, შე ნავარდო,  
სად ხარ, სადა დანავარდობ!  
ხან ხარ მთაში, ხან ხარ ბარში,  
დაეძებ მძინარე კაცსა,  
დაეძებ მელოგინე ქალსა.  
აგჭრი, დაგჭრი, აგქნი, გაგქნი!

უშველეთ, გელათის ხატებო, ავადმყოფს!

27

ელესია, მელესია,  
ველსა ხატი სვენებია.  
შიგნით ხმალი, გარეთ ჯაჭვი  
ეშმაკისა საფთხულია.  
დალაზვრე, დალისკინდე,  
იესო ქრისტე გეორგისი!  
(შელოცვას იმეორებენ უეიდჯერ).



# გათვალულისა

1

სახელო სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
შულოცამ თვალისასა, თვალი აღებისასა, ავი ყბისასა,  
შინაურისას, გარეულისას, მადლისას, დაბლისას,  
ავთვალისას, აეგულისას,  
თვალჭრელისას, თვალშაეისას.  
შენს ავმთვალავს, შენს ავმყბარავს  
თვალთ ნაცარი, გულთ ლახვარი,  
ბანს ცეცხლი, კარს ლახვარი!  
სიპი ქვა, ნარი ეკალი!  
ასი კილო ნემს-მახათი  
თვალეებში გამაახლართი.  
ღმერთო, დასწერე პირჯგარი,  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

(შელოცვა სრულდება ჰაეტარა დანითა და ნახშირით. შელოცვის დამთავრების შემდეგ ნახშირით შუბლზე ჯვარს გამოუსახავენ, დანას კი თავქვეშ აშოუდებენ).

2

თვალო მეხო, თვალო მედგარო,  
სისხლთა მხვრეტელო, ხორცთა მგლეჯელო,  
რა გინდა კაცის ტანშია, სტომაქშიაო?  
სისხლი მწარეაო, ხორცი მჟავეაო.  
დილაი შეხვედივ, დილაი გამაგიყვანაო,  
სალამად შეხვედივ, სალამად გამაგიყვანაო.  
თვალჭრელისიავ, თვალშაეისიავ, თვალწითლისიავ,  
დილაი შეხვედივ, დილაი გამაგიყვანაო,



სალამად შეხვედით, სალამად გამაგიყვანავო.  
გამოიდა შავი ფურიო, გამოწველეს შავი კუსიო.<sup>1</sup>  
დაიჭრეს, დაინაწილეს ცხრა ძმათაო, ცხრა დათაო,  
ოქროს ქოჩრიანთაო, ოქროს კოწლიანთაო.<sup>2</sup>  
გამოიყვანეს წითელი ფურიო, გამოწველეს წითელი კუსიო.  
დაიჭრეს, დაინაწილეს ცხრა ძმათაო, ცხრა დათაო,  
ოქროს ქოჩრიანთაო, ოქროს კოწლიანთაო.  
შემოჰკრეს გველიო, გასკდა თვალიო.


(შელოცვისათვის საჭიროა შეტარიანი დანა, ნახშირი, პური და მარილი. შელოცვის შემდეგ ნახშირს ფეხით გასრესენ და ავადმყოფს პურს და მარილს შეაჭმევენ. შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ (დილას, შუადღეს, საღამოს) სამი დღის განმავლობაში).

### 3

თვალო მეზო, მედგარო, სისხლმხვერეტლო,  
ფერიანის ფერწამლებო, გონიანის გონწამლებო,  
ქალ-უქმაროს ქალისაო, უცოლო ბიჭისაო.  
რა გინდა ტანშიაო, ტომაქშიაო!  
არ ისძვე, არ იქმევე, არაზე გაისვლებიო.  
თვალის წამწმიდან გამოგიყვან, ასოიდან გამოგიყვან,  
შავი კუდით გამოგიყვან, ქვარცინას კუდით გამოგიყვან.  
ვინ შემოგხედა ავი თვალითაო, ვინ შემოგხედა ავი გულითაო?  
თვალი ამოარდეს, გული გადმოვარდეს!  
ვინ არ დაგწეროს ჯვარიო, ჯვარიმც ნუ ეღირსებაო!  
ხნავ-გუთანის დაძყენეო, მფქვაე-წისქვილის დაძყენეო.  
მოდიოდეს ცხრანი დანი, ცხრანიე ოქროს კოწლიანი,  
მოდიოდეს ცხრანი ძმები, ცხრანიე ოქროს ქოჩრიანი,  
ამოიღეს თეთრი კუსი,  
ცხრა ძმათ ცხრა ნაწილი ცხრა რიგად გაიყვესო.  
ქართ გაგაყოლებ მქროლართაო, წყალთ გაგაყოლებ მდინარსაო.  
დაგკოშაე იგეთშიო, არ გეყურებოდეს ყვირილი ქათმისი,  
არ გეყურებოდეს ჭყვივილი ღორისი.  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისი, ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი!

(მოზრდილ ადამიანს როცა ულოცავენ, შელოცვის დამთავრების შემდეგ

1 ხაჭო.  
2 ოქროსთოიანი.



გულზე ნალოც ტყეის ჯვარს დაჰკიდებენ. შელოცვა სრულდება სამ წყებად  
დღეში სამჯერ. თუ გათვალული პატარა ბავშვია, შეულოცავენ დედის ომას და  
შენალოც ომას ბავშვს მაჯა'სე შეაბამენ).

#### 4

სახელითა ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.  
მე გილოცავ თვალყვისა, თვალცემულისა.  
შინაურისა, გარეულისა,  
ქალისა, კაცისა, დიდისა, პატარისა.  
იერუსალემს ყანა გექონდა,  
ყანაშია გველი იწვა.  
გავსჭერი გველი, გაგართვი წელი,  
მიეკიდე ღობესა, ყორესა.  
იგი ღრებოდა, ჭკნებოდა,  
წამებით სული ხდებოდა.  
ვაი და ვუი, ქვაი და ქვეი მოხვდა მის სამზერ თვალებს,  
ვინც ამ ბაღანას ავი თვალით, ავი სულით შეხვდა!  
თვალი დაეფსოს, გული ჩავარდეს!  
ფუი, დეიცავი, წმინდაო გიორგი!

#### 5

იერუსალემს ყანა მქონდა,  
ყანაში იყო შავი ლოდი,  
შავ ლოდქვემ იყო შავი გველი.  
იმ შვე გველსა ერთი ქონდა წყალის თვალი,  
ერთი ქონდა ცეცხლის თვალი.  
გამოვიდა წყალის თვალი,  
დაანელა ცეცხლის თვალი.  
ვინც ავი თვალით შენ შეგხედოს,  
ღუუდგა მისი ორვე თვალი!

#### 6

სახელითა ზვითთა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა თვალცემულისა.  
ზეციდან მობრძანდნენ სამნი ზვთისანი,

ხელთ ეჭირათ სამი ქვა ბაბილონისანი.  
იმ ქვას ქვეშ გველი იწვა.  
ერთი თვალი ქონდა ცეცხლისანი,  
მეორე თვალი ქონდა წყლისანი.  
გასკდა წყალის თვალი,  
დაიმსო ცეცხლის თვალი.  
ისე შენი ავი თვალით შემხედვარეს  
ვაი და უვი, ქვაი და რკუი,  
გულზე მახათი, თვალზე ნაცარი!  
დასწყევლოს სამას სამოცდასამმა წმინდა გიორგიმ  
შენი ავი თვალით შემხედავი!  
ცულის გამოთლილი ფიცარი,  
ცულის ტარად დაგებია,  
ისეც ჩემი გამოლოცვა  
შენამც წამლად დაგდებია!  
მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზო, დასწერე ჯვარი!  
მოუხდინე ლოცვა ჩემი, ბრძანება თქვენი!

## 7

რაის დღის თვალი გჭირსაო?  
შაბათის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო.  
შენ ჯვარ დაგწერასაო ცხრაჯერაე  
ცხრის წმინდის დედა-ანგელოზმაო!  
კვირაის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო!  
ორშაბათის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო!  
სამშაბათის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო!  
ოთხშაბათის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,

შენამც გერგებისაო!  
ხუთშაბათის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო!  
პარასკევის თვალ თუ გჭირსაო,  
შენ მეთვალესაც ევნებისაო,  
შენამც გერგებისაო!  
ვინამც არ დაგწეროს ჯვარი,  
ნუ დეეწეროს ჯვარიო!  
სულ ამაგსო, მიწა შაესო,  
თავისას მოზდვასო ხარსა მახნავსაო!  
ჩაიარას წყალივითა,  
გაზაფხულის თოვლივითა.  
გაიქროლოს ქარივითა,  
გახმას სარის წვერივითა!  
კარით ცეცხლი, საკმით მეზნი,  
გაქრას, განიადეს იმის ოჯახი!  
შენ ჯვარი დაგწერასაო  
ცხრაჯერაც ცხრა წმინდამ ანგელოზმაო!  
დაგწერასაო ჯვარი  
თავის დაბადების დღემაო!  
დაგწერასაო ჯვარი  
თავის მამის სალოცავებმაო.  
ეს ლოცვა განა ჩემი მაგონილია,  
ლთის დედის მარიამის მაგონილია.  
ჩამაიარა ქრისტეს დედამ მარიამმა,  
ჩამამიგლიჯა ქსელი ძოწეული,  
კოკა წამიქცია ვერცხლის წყლიანი.  
დაიქცა შენი ავითა გულთ მხედავი!

## 8

ანისაო, მანისაო, მე გილოცავ თვალისაო,  
ჯერეთ ჩემი თავისაო, შვიდი ქვრივი ქალისაო,  
მერე მეფის ჯარისაო. მოვლოდა შავი წყალი,

---

1 სულის ამოსვლა.

მას მოქონდა შავი გველი.  
ჩაეყვი ჩემი ყავარჯენი, ამევიღე შავი გველი.  
გავჭარი გველი, გამოულე წელი,  
მივკიდე ღობესა, ყორესა.  
ხან ქრებოდა, ხან ჩნდებოდა,  
შენი ავი თვალით შემხედავს  
გულში ლახვარი, თვალთ ნაგუზალი!  
გასკტა ქვა, მოხტა თვალეში!  
მე მლოცავი, ღმერთი მარგებელი,  
მე მლოცავი, ღმერთი მარგებელი,  
მე მლოცავი, ღმერთი მარგებელი!

(შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ. ყოველი შელოცვის დასასრულს ავადმყოფს სულს შეუბერავს შემლოცველი, კარის ზღურბლზე დადებს ნახშირს და უხვით გასრესს. თუ შელოცვისას შემლოცველს მთქნარებას დააწყებინებს, იმის ნიშანია, რომ ავადმყოფი ნამდვილად გათვალულია და შელოცვა რგებს).

## 9

აღისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა.  
შინაურისასა, გარეულისასა,  
კაცისასა, ქალისასა, ბავშვისა და დიდისასა,  
ჭრელისა თვალისასა, შავისა თვალისასა.  
ეზოს იყო ერთი მუხა.  
მოგჭერი მუხა, გამოვარდა გველი.  
გავჭერი გველი, გამოულე წელი,  
მივდევი მაყელის ცხენკასა.  
როგორც იგი ხმებოდეს, როგორც იგი ჭკნებოდეს,  
ისე ხმებოდეს, ისე ჭკნებოდეს  
შენი ავი თვალით შემხედავი!  
წამოვარდა მწარე ბალი,  
წამოვარდა მისი სამზერი თვალი  
ავი თვალით, ავი გულით შემხედავს,  
სულითა მლაღავს, გულითა მლაღავს!  
ღმერთო, არგე ლოცვა-მადლი ჩემი,  
გადასახე ჯვარი შენი!

---

1 ხმელი ტოტი.

ასილი, მასილი, იმას ჭირდა ჰაპასკირი.

გავიდა მთაზე, თავი დაკრა ქვაზე, პირი – სამართებელზე!  
ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, გადასახე ჯვარი შენი! ამინ!

(შეულოცავენ ფეხშიმე ქალს, რომ არ გაითვალოს, ანდა, თუ გათვალულია).

## 10

აღისას, მალისას, მე გილოცავ თვალისას.

ჯერ ჩემი თვალისას, მერე სხვისი თვალისას.

შინოურისას, გარეგანისას, მტრისას, მოყვრისას,

გამრებისას, გამომრებისას, უკან გამომწევისას.

რაით გათვალული ხარ, მაინც გათვალული ხარ.

ქალიდან გათვალული ხარ, კაციდან გათვალული ხარ.

კოჭმადლისა, კოჭდაბალისა, თეთრლენჩაქიანისა, შავლენჩაქიანისა.

რუ, რუ, შე კუდიანო, შე ეშმაკო!

შენი სვი, შენი ჭამე, ამას ჯვარი დამიწერე!

სამი მუჭი ბაძგარი, სამი მუჭი მახათი

თვალში აყრია, გულში ასვია.

ჭიანჭველა, გველ-ბაყაყი მის სადილში,

მის ვანშამში, მის სულსა და გულში.

რუ, რუ, შე ეშმაკო, შე კუდიანო!

შენი სვი, შენი ჭამე, ამას ჯვარი დამიწერე!

გასკდა შაეი კლდე, გამოვარდა შაეი გველი.

ისტე სკდება, ისტე გჯება, ისტე გული გაუგჯება

შენს მახარბიელს, შენს მალაბნიელს,

შენს ავ თვალზე შემხედავს, შენს ავ გულზე შემხედავს!

თვალთა ნაცარი, გულთა ლახვარი,

სამი მუჭი ბაძგარი, სამი მუჭი მახათი

თვალში აყრია, გულში ასვია!

რუ, რუ, შე ეშმაკო, შე კუდიანო!

შენი სვი და შენი ჭამე, ამას ჯვარი დამიწერე!

იჯდა დედა მარიამი, ყრიდა ცრემლსა მარგალიტისასა.

– დედა მარიამო, რასა სტირი, რასა სჟივი,

რასა ყრი ცრემლსა მარგალიტისასა?

– რავა რასა ვტირი, რავა რასა ვჟივი,

ურია ქეთერიჩა ჩამეიარა, შემკრულა, შემბეჭდა,

ძეწნის სუფრა ამიშალა, ოქროს სკამი გადმოიგდო.

ჩოუყავი ხელი შავი, ამევიღე გველი შავი.  
ისე სკდება, ისე გჯება, ისე გული გოუგჯება  
თქვენს გამთვალავს, თქვენს გამლაღავს!  
რუ, რუ, შე ეშმაკო, შე კუდიანო!  
შენი სვი და შენი ჭამე, ამას ჯვარი დამიწერე!  
ავაყუდე ფიცარი, მას დაეცა ღვთის ზარი!  
გოუწყრა სამას სამოცდასამი წმინდა გიორგის ძალი და მადლი!  
რუ, რუ, შე ეშმაკო, შე კუდიანო!  
შენი სვი და შენი ჭამე, ამას ჯვარი დამიწერე!  
არგე, ღმერთო, ღოცვა ჩემი, შეაწიე მადლი შენი!

## 11

აღისასა, მალისასა შეგილოცავ თვალისასა,  
უწინ ჩემი თავისასა.  
გასკდა თეთრი კლდე, გამოყვა თეთრი კაცი,  
გამოყვა თეთრი ცხენი, გამოყვა თეთრი ძაშვა.  
ჩავიცმევ რკინის ჩაჩქანსა,  
დავიხურამ რკინის ქუდსა,  
დავიჭერ რკინის ჯოხსა.  
დავივლი რჯულიანსა, ურჯულოსა,  
ვიპოვნი შენსა მთვალავსა –  
ის იქნება თეთრი კაცი.  
შენსა ავსა მთვალავსა  
თვალში ნაცარი, გულში ლახვარი,  
კარს ცეცხლი, ბანს ნავთი, სეტყვა ქვისა!  
შენსა კაი მთვალავსა პირში შაქარი!

## 12

აღისასა, მალისასა, შეგილოცავ თვალისასა.  
შინოურისასა, გარეულისასა, თვალჩიჩხისასა,  
თვალმანჩხისასა, თვალშავისასა, თვალჭრელისასა.  
ასი კოდი კირი და ნაცარი თვალებში ეყაროს,  
ასი ნეფსი და მახათი გულზე დევსოს  
შენი ავი სულითა და გულით დამნახავს!  
გეიაროს ჭიშკარი, წავარდეს წინთვალი,  
გეიაროს ეზო, მოტყდეს თემო,



ია დავარდეს, კლდეს გადავარდეს,  
სოკო წითელი, მოწყდეს კისერი,  
ასალა-მასალა, ფეხები გაასარსალა!  
თავისი შესვას, თავისი შეჭამოს,  
თავის კედელყურეს მიხედოს.  
ვისაც ვულოცავ, იმას ჯვარი დამიწეროს!

### 13

აღისასა, მალისასა, შეგილოცავ თვალისასა.  
შინაურისასა, გარეულისასა,  
თვალჭრელისასა, თვალშავისასა.  
მოვიდა შავი წვიმა, დაწვიმა შევბაღახაზე.  
გასკდა შავი კლდე, მოვიდა შავი ძროხა,  
მოვიდა შავი ქალი, მოწველა შავმა ქალმა.  
შედგა ქვაზე სიპზე ხურფულზე შენი ავი თვალით დამნახავი!  
მე ვარ მლოცავი, მაღალი ღმერთი მარგებელი!

### 14

შაგილოცავ თვალისასავ, გულისასავ,  
მიღმაურისასავ, გაღმაურისასავ,  
ზენაურისასავ, ქვენაურისასავ,  
კაცისასავ, დიაცისასავ,  
ბერისასავ, ახლისასავ,  
თვალშავისასავ, თმაშავისასავ,  
ჩრდილურისასავ, მზისპირისასავ.  
გამაე, თორე გამაგიყვანაე  
შავის ღორის ჯღმუილითაე!  
გამაე, თორე გამაგიყვანაე  
შავის ცხენის ჭიხეინითაე!  
გამაე, თორე გამაგიყვანაე  
შავის გველის წივილითაე.  
ჩამაიარაე ქრისტეს დედა მარიემმაე,  
ჩამასახნაე ხთის ნასახიე.  
ამათ რას ვუყვათაე, დედა მარიემო,  
ხორციელნი ხორციელს მიადგესაე საჭმელადაე.  
უცეცხლოდ შაწვესაე, უცბილოდ შაჭამესაე.

გაქრივ, განიავდივ მთისა ქარივითავ!  
ნურა შაგჩასავ ერთი ქათმის მეტივ, ერთი ბებრის მეტივ!

15

შაგილოცავ თვალისასა, გულისასა, პირველ ჩემი თავისასა.  
შინ შინაურებისასა, უცხოთა, მეცნიერისასა,  
შავეგრემანისასა, თეთრისასა.

გასკდა შაევანი კლდე, გამოიდა შაევანი კაცი,  
შაჯდა შაევანი ცხენზედა, ამაილო შაევანი დანა,  
მოკლა შაევანი ფრინველი, უცეცხლოდ შაწვა, უკბილოდ ჭამა.  
იჯდა დედა მარია სკამსა ოქროსასა.

ქსელსა ქსოვდა ძოძეულსა, თმას იწნავდა ბროწეულსა.

ტანი ედგა ალვისანი, ფხანა ბეჭი ოქროსანი,  
თოლი ეჯდა ჭიქისანი, ცეცხლი ენთო წივისანი.

ჩამოიარა აესულმა, ავეგულმა ქეთერიშინმა.

დაფნატრა სანატრელისანი, ჩამოუშალა ყდან ალვისანი,  
ფხონა ბეჭი ოქროსანი, ტანს მოშალა ლერწმისასა,  
თოლს მოშალა ჭიქისასა, ცეცხლი გაუქრო წივისანი.

ადგა, წავიდა დედა მარიამ, დაჯდა ჯორადინ გზასა.

ჩამაუარა უფალმა ღმერთმა:

– რა იყო, დედა მარიამ,

რას შეეცლებოდი ჯორადინ გზასაო? რასა იტიროდიო?

– რა იყო და, უფალო ღმერთო, სკამსა ვიჯექ ოქროსასა,

ქსელსა ვწნამდი ძოძეულსა,

თმას ვიწნავდი ბროწეულსა.

– ნუ სტირი, დედა მარიამ, მე გასწაველი მაგი წამალსა:

შაბათსა, ორშაბათსა, ხუთშაბათსა ჩაუყარე უშრეტელი.

ჩაიშრიტოს, ჩაიდაგოს იმის თვალ-გული,

ვინც შენ ავი თვალით შამოგხედა!

16

სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა.

იჯდა დედა მარიამ და სელსა ქსოვდა ძეწაულისასა.

თვალი ესხა გიშრისა, კბილი – მარგალიტისა.

შემოესწრო ქეთელა ურიამ, სელი ჩაუწყვიტა ძეწაულისა,

თვალები დააყრევია გიშრისა, კბილი – მარგალიტისა.

დაჯდა დედა მარიამ და ტირის.

შემოვიდა იესო ქრისტე მაცხოვარი და ჰკითხა:

— რად სტირი, დედა მარიამ, რადა ჰყივი?

— როგორ რად ვტირი, როგორ რად ვყივი!

სელსა ვქსოვდი ძეწაულისასა,

თვალნი მესხა გიშრისა, კბილი-მარგალიტისა.

შემომისწრო ქეთელა ურიამ, სელი ჩამიწყვიტა ძეწაულისა,

თვალნი დამაყრევინა გიშრისა, კბილი მარგალიტისა.

ნუ სტირი, დედა მარიამ, ნუ ჟივი,

მე გასწავლი მაგის წამალსა.

— რაა მაგის წამალი?

— თვალთა ნაცარი, გულთა ლახვარი,

სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგის ლახვარ-ბოძალი

შენი ავი თვალთ შემხედვარესა!

## 17

შავილოცამ თვალისასა, მთისასა და ბარისასა,

კაცისა, დედაკაცისასა, დიდისა, ბატარაისასა.

შავეგრემანისა, წითურისასა, თვალჭრელისა, თვალშავისასა.

ახალ სახელო ღვთისაო, მამისათა და ძითაო.

იჯდა დედა მარიამი ოქროს სკამსაო,

ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასაო, იშლიდა თმასა ბროწეულისასაო.

ჩამაიარა ქეთერეშალმა, დანატრა დიდი სანატრელითაო.

ჩამეშალნა ქსელნი ძოწეულისანი, თმანი ბროწეულისანი.

ედგა ჭიქა მინისა, შიგ ედგა წყალი ვარდისა.

— ნუ გეშინია დედა მარიამო, ჩაუშრიტე უშრეტელიო

სამშობათობითა, ხუთშობათობითა და შაბათობითაო.

გაგემართება ქსელი ძოწეულისანი,

თმანი ბროწეულისანი, წყალი ვარდისანი.

ჩაჯდა შავი შავსაო, გავიდა შავსა ზღვასაო.

ერთი თოლი წყლისა ჰქონდაო, მეორე — ცეცხლისა.

გასკდა წყალისაო, გადმეესხა ცეცხლისასაო.

გეედო თეთრი კლდე, თან გამოჰყვა თეთრი ქალიო.

თეთრმა ქალმა ქადა სჭამაო,

აჭამა აეთვალთა, ავეგულთა, გულფრიალთაო.

დასწყევლოს სამას სამოცდახუთმა გიორგიმეო,



რომელმაც შეხედოს ავი თვალითაო, ავის გულითაო.  
თვალი ეკალს მოუხედეს, გული – სამართებელსაო.  
ცულის პირით მოჭრილი ხე ცულსა ტარად დევეგებო,  
შვილსა დედის ნალოცაჲი წამლადაც შეერგებო.

18

მე გილოცავ თვალყმისასა, შინე-გადაღმისასა,  
კაცისასა, ქალისასა, რადა რა მავანისასა.  
მარიამ ქრისტეს დედა იჯდა კარსა სამოთხისასა და ტიროდა:  
– შევიდა იგი საშინელი ქალი და კაცი,  
შეიდთვარეს შექნილი, დღისშაბათს დაბადებული,<sup>1</sup>  
გამიგრძელა სელი ჩემი, ვერ ვვიღე წელი ჩემი.  
ვინცა მნახა, განიკვირა, ცამა მნახა, გადიწმინდა.  
– მარიამ ქრისტეს დედავ, ნურცა ტირი, ნურცა ჩივი,  
ჩადი ველისა ბოლოსა, ცეცხლი ანთია.  
ღოუშვი წყალი, ღოუფსე მისი მარჯვენა თვალი.  
ამ ავი თვალით შემომხედვარე ევიდა მთაზეო,  
თავი დაკრას ქვაზეო, მუცელი სამართებელზე.  
ჩავიდა ზღვაში, ვერ ევიდა ჟამში.

(შელოცვის დროს ავაღნყოფის წი აქა ვებ შეტარია და ას ა . ნაკრატელს).

19

იჯდა დედა მარიამი სამოთხისა კარსა,  
ქსოვდა ქსელსა, ტიროდა, ჟივოდა, ყრიდა თვალიდან ცრემლსა.  
მოვიდა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.  
– რას ტირი, დედა მარიამ, ან რას ჩივი,  
ან რასა ყრი თვალიდან ცრემლსა?  
– როგორ რას ვჩივი, როგორ რას ვჟივი,  
მოვიდა ერთი ქალი,  
შეიდთვარეს შექმნილი,  
შაბათ დღეს დაბადებული,  
დამითვალყვა თვალი ჩემი,  
ჩამომიგლო მხარი ჩემი.

<sup>1</sup> იმ დღეს კუდიანები იზადებოან.

– ნუ ტირი, დედა მარიამო, ნუ ყვივი,  
ნურცა ყრი თვალისან ცრემლსა!  
დაგკრავ თვალსა ჩემსა ლახვარსა,  
გავარონიებ დედო მიწასა!  
ოთხო თავნო საზარებაე –  
მათე, მარკოზ, ლუკა და ივანე,  
სადაც სახელი თქვენი იხსენებოდეს,  
იქ ჭირი და მანენე გაქარდებოდეს,  
თვალთა უჩინარი იქნებოდეს!

## 20

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა თვალყმისა.

ვიჯექი ტაძარსა, ვქსოვდი ქსელსა ოქროს კედისასა.  
ჩამოიარა ურია ქეთელმა, შემთვალა, შემყვალა, შემაგიზინილა.

გამიწყდა ქსელი ოქროს კედისა,  
დამცვინდა მხარი აღმასისა,  
დამაყრევინა თმა გიშრისა.

ჩამოიარა ქრისტემა, მკითხა:

– დედა მარიამ, რას ტირი?  
– რაეა რას ვტირი, ვიჯექი ტაძარსა,

ვქსოვდი ქსელსა ოქროს კედისასა.  
ჩამოიარა ურია ქეთელმა, შემთვალა, შემყვალა, შემაგიზინილა.

გამიწყდა ქსელი ოქროს კედისა,  
დამცვინდა მხარი აღმასისა,  
დამაყრევინა თმა გიშრისა.

მითხრა ქრისტემა:

– ნუ სტირი, დედა მარია, ნუ ყრი ცრემლსა მარგალიტისასა!  
ადექი, აადულე წყალი, ჩაკარი მუგუზალი,  
ავი თვალით შემხედვარეს თვალში ნაცარი, გულში ღადარი!  
წმინდა გიორგის ლახვარი და ბოძალი  
მოხვდა ყიასა, ამოუვიდა ღლიავსა!

## 21

ორშაბათ დილა გათენდა, მარიამ ქალი მოტირის.

– მარიამო, რა გატირებს?

– რავე რა მატირებს! სამოსელსა ვქსოვდი  
თეთრისა, ყვითლისა, მწვანე აბრეშუმისას.  
შემევიდა ჩიჩხი თვალი, ამირია, დამირია,  
ძირსა ცეცხლი ენთებოდა, მაღლა წყალი მიდიოდა.  
გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი ცხენი შავი ლაგამ-უნაგირითა,  
დაადგა შავ გზასა, ჩავიდა შავ ზღვასა.  
ამევილე შავი გველი, ქვასა სიძისასა გადაკვარ-გადმოკვარი.  
ისემც გამქრალა შენი ავი თვალით შემომხედავი,  
როგორც ქვაბში ჭინჭარი!  
გეიაროს ეზო, მოტყდეს თემო,  
გადააბიჯოს ლობეზე, მოსწყდეს ღონეზე!  
თვალში აყრია ნაცარი, გულზე ასვია მახათი  
შენი ავი თვალით შემომხედავს!

## 22

– ატიტი, მატტი, ქალო მარიამ, რას ტირი?  
– რავე რას ვტირიო! სამოსელსა ვქსოვდი წითლისას, ყვითლისას,  
შემოვიდა თვალჩხაკი ქალი, რიჟა ურია,  
ამიშალა, დამიშალა, ქვეშა ცეცხლი წამიკიდა!  
– ჯვარი გწერია ჯვარცმული, ვერას გაკლებს მაცდური!  
შენი ავი თვალით შემომხედავს  
გული უსკდებოდეს, თვალი ევსებოდეს!  
თვალს ნაცარი, გულსა ლახვარი, მუცელსა სამართებელი!  
გასკდა თეთრი კლდე, გამოვარდა თეთრი კაცი  
თეთრი ცხენით, თეთრი იარაღით, დაადგა თეთრსა გზასა.  
ჯვარი დაგწეროს, გადაგავლოს წყალობის თვალი  
შენმა ავი სულითა და გულით შემამხედავმა!  
ერთი ხე დასავლეთს არის, მეორე აღმოსავლეთს არის,  
სანამდღე მისმა ტოტებმა თავი თავს არ გადადვან,  
ფესოები ერთმანეთს არ შეუერთონ,  
მანამდღე შენს ავი თვალით შემომხედავს ნუ გაუხარია!

## 23

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
მოდიოდა შავი წყალი, მოყვებოდა შავი გველი.  
ჩაკვარ შავი ყავარჯენი, ამოვილე შავი გველი,

მივაწყვიტე ღობესა, ყორესა.  
 როგორც იგი ღრებოდა, როგორც იგი ჭკნებოდა,  
 ისე ღრებოდეს და ჭკნებოდეს . . . .ს<sup>1</sup> ავი თვალით შემხედვარე!  
 თვალთა ლახვარი, გულთა ნაცარი!  
 ასკილის ჯოხი გველსა მხარსა მოხვდა,  
 ილღიაში გაუარა, გულში გაუარა.  
 ამ ჩემს ბაეშეს ჯვარი სწერია!  
 ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
 სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
 მოდიოდა თეთრი წყალი, მოყვებოდა თეთრი გველი.  
 ჩაკვარ თეთრი ყავარჯენი, ამოვიღე თეთრი გველი,  
 მივაწყვიტე ღობესა, ყორესა.  
 როგორც იგი ღრებოდა, როგორც იგი ჭკნებოდა,  
 ისე ღრებოდეს და ჭკნებოდეს . . . .ს<sup>2</sup> ავი თვალით შემხედვარე!  
 თვალთა ლახვარი, გულთა ნაცარი!  
 ასკილის ჯოხი გველსა მხარსა მოხვდა,  
 ილღიაში გაუარა, გულში გაუარა.  
 ამ ჩემს ბაეშეს ჯვარი სწერია!  
 ღმერთო, არგი ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
 სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
 მოდიოდა წითელი წყალი, მოყვებოდა წითელი გველი.  
 ჩაკვარ წითელი ყავარჯენი, ამოვიღე წითელი გველი,  
 მოვეწყვიტე ღობესა, ყორესა.  
 როგორც იგი ღრებოდა, როგორც იგი ჭკნებოდა,  
 ისე ღრებოდეს და ჭკნებოდეს . . . .ს<sup>3</sup> ავი თვალით შემხედვარე!  
 თვალთა ლახვარი, გულთა ნაცარი!  
 ასკილის ჯოხი გველსა მხარსა მოხვდა,  
 ილღიაში გაუარა, გულში გაუარა.  
 ამ ჩემს ბაეშეს ჯვარი სწერია!  
 ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
 აგვაცილე ავი თვალით შემხედვარე!  
 იჯდა დედა მარიამი, ქსოვდა ქსელსა ძეწინისასა, ტიროდა.  
 როვიდა მიქელ-გაბრიელი მთავარანგელოზი:  
 - უფლო მარიამ, ნუ სტირი, ნუ ჩივი, ნუ აყრი ცრემლსა!

1, 2, 3 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

ჩადი დაბლა, დაანთე ცეცხლი, დაასხი წყალი.  
როგორც იგი დეიფსება, ისე დეიფსება  
ამ ბავშვის ავი თვალით შემხვედრავს სამზერი თვალი!  
დასწერე, ღმერთო, ჯვარი,  
არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

## 24

სახელითა ღვთისითა, მამისა, ძისითა.  
ალისასა, მალისასა, შეგილოცავ თვალისასა.  
შინოურისასა, გაროულისასა, თვალშავისასა, თვალთეთრისასა,  
ქალისასა, კაცისასა, შუათანისასა, ბავშვისასა.  
გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი,  
მან გამეიტანა შავი გველი.  
გადაკარ შავსა ქვასა მზურვალესა.  
ასგან გაგჯა, ასგან გასკდა  
შენი ავი თვალით, ავი გულით შემხედავი!  
გასკდა წითელი კლდე, გამევიდა წითელი კაცი,  
მან გამეიტანა წითელი გველი.  
გადაკარ წითელსა ქვასა მზურვალესა.  
ასგან გაგჯეს, ასგან გასკდეს  
შენი ავი თვალითა და გულით შემხედავი!  
გასკდა თეთრი კლდე, გამევიდა თეთრი კაცი,  
მან გამეიტანა თეთრი გველი.  
გადაკარ თეთრსა ქვასა მზურვალესა.  
ასგან გაგჯა, ასგან გასკდა  
შენი ავი თვალითა და გულით შემხედავი!  
გადახტეს კარსა, გატყდეს ჯანსა!  
ასი ძირი მწარე ბალი,  
წამოსცივიდა ორივე შენი შესახარბებელი თვალი!  
სოკო წითელი, მოტყდეს კისერი!  
იჯდა ღედა მარიამი ტაძარსა, ტიროდა.  
მიბძანდა იესო მაცხოვარი;  
— რა გატირებს, ღედა მარია?  
— რავე არ მატირებს,  
მოვიდა ორი ურია ქეთენი,  
შემყვარა, შემთვალა, შემაჟიჟინა,



თმა გამაცვინა გიშრისანი,  
სკამი წამიქცია ოქროსანი,  
მაქო გამაგდებია მარმარილოსანი,  
ძოწი ჩამიცვინა ოქროსანი.

— არა, დედა მარიამ,

აადულე შაშრეტი, გადაასხი უშრეტი.

ასე გაქრება შენი ავი თვალითა და გულით შემხედავი,  
შენი შემაჟიჟინებელი!

## 25

სახელო სახელისაო, სახელო სამჯერ ღვთისაო.

შეგილოცავ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა.

შინაურისასა, გარეულისასა,

ტანდაბლისასა, ტანმადლისასა,

შავგვრემნისასა, შავყვითლისასა, შავწითლისასა.

ავი თვალისას, ავი ყბისას, ავი ნიათისას.

თვალი მთვალავსა, გული მხილავსა.

შენსა მთვალავსა კარიდან ცეცხლი, ბანიდან მესი,

თვალში ნაცარი, გულში ლახვარი!

ისე გაახმოს გამჩენმა, როგორც ღობეში ჩხირი!

გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი შავი შეკაზმულობითა.

ისიც გასკდეს, ისიც გასკდეს, ქრისტემ დაუჭიროს თვალი!

გასკდა ყვითელი კლდე,

გამოვიდა ყვითელი კაცი ყვითელი შეკაზმულობითა.

ისიც გასკდეს, ისიც გასკდეს, ქრისტემ დაუჭიროს თვალი!

გასკდა წითელი კლდე,

გამოვიდა წითელი კაცი წითელი შეკაზმულობითა.

ისიც გასკდა, ისიც გასკდა, ქრისტემ დაუჭიროს თვალი!

ისე უხარია შენსა მთვალავსა,

როგორც მარიამობის თვეში წყალში ძერასა!

ცულის პირით მონაჭერი ცულის ტარად მოგვზმაროს,

ისე გაჭრას ჩემმა ლოცვამ, როგორც ტყეში ფრთიანმა ცულმა!

## 26

სახელითა ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.

შეულოცავ თვალისას, თვალყმისას,

შინოურისას, გაროულისას,  
ღიაცისას, მამაცისას,  
თმათეთრისას, თმაშავისას,  
ტანმადლისას, ტანდაბლისას.  
გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი  
შავი თოფით, შავი იარაღით, შავი შეკაზმულობით.  
დაადგა შავსა გზას, მოვიდა შავსა ზღვას,  
ჩაპკრა ოქროს ფორჩხი, ამეიღო დანა შავტარიანი,  
აჭრა-დაჭრა ანითა, ბანითა, შავტარიანი დანითა  
ამისი ავი სულით, ავი გულით,  
თვალარმობით, გულხარბობით შემხედავი!  
თვალთათვალა შემხედავს გულთა ლახვარი,  
ასკილის ჯოხი, წმინდა გიორგის ბოძალი!  
ამის გულარმობით, თვალხარბობით მომხერაღს  
ერდოს ცეცხლი, კარს მეხი!  
შოულოცავ ალისასა, მალისასა,  
თვალისასა, თვალყმისასა,  
შინოურისასა, გაროულისასა.  
გადაბიჯოს ღობეზე, ვეღარ მოვიდეს ღონეზე!  
გადეიარა ეზო, მოწყდა თემო!  
გადეიარა საბძელი, ამოუვარდა სამხერი!  
ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!  
ხმებოდეს, ჭკნებოდეს, ღონიდან იტლებოდეს  
. . . . ს ავი თვალითა და გულით შემხედავი!

(ულოცავენ შავტარა დანითა და ნახშირით. შელოცვას სამჯერ იმეორებენ)

## 27

სახელითა ხეთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმინდისათა.  
ლოცვა თვალყვისა, თვალცემულისა, თვალწაკრულისა.  
შინაურისა, გარეგანისა, ქალისა, კაცისა,  
შაეისა, თეთრისა, წითლისა, ყვითლისა.  
გასკდა შავი კლდე, გამოვარდა შავი კაცი,  
შეჯდა შავ ცხენზე, გაყვა შავსა გზასა.  
შემოეყარა შავი გველი, გასჭრა მუცელსა შავსა, დააყარა შავი მარილი

1 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

მარილი დნებოდა, გველი ჭკნებოდა.  
ამის ავი თვალით შემხედავს  
თვალი უღრებოდა, გული უჭკნებოდა,  
თვალთა ლახვარი, გულთა ბოძალი!  
გასკდა რვალი, წავარდა თვალი!  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი,  
შეარგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
გასკდა თეთრი კლდე, გამოვარდა თეთრი კაცი,  
შეჯდა თეთრ ცხენზე, გაყვა თეთრ გზასა.  
შემოეყარა თეთრი გველი, გასჭრა მუცელსა თეთრსა,  
დააყარა თეთრი მარილი.

მარილი დნებოდა, გველი ჭკნებოდა.  
ამის ავი თვალით შემხედავს  
თვალი უღრებოდა, გული უჭკნებოდა.  
თვალთა ლახვარი, გულთა ბოძალი!  
გასკდა რვალი, წავარდა თვალი!  
დასწერე ღმერთო, შენი ჯვარი,  
შეარგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
გასკდა წითელი კლდე, გამოვარდა წითელი კაცი,  
შეჯდა წითელ ცხენზე, გაყვა წითელ გზასა.  
შემოეყარა წითელი გველი, გასჭრა მუცელსა წითელსა,  
დააყარა წითელი მარილი.

მარილი დნებოდა, გველი ჭკნებოდა.  
ამის ავი თვალით შემხედავს  
თვალი უღრებოდა, გული უჭკნებოდა.  
თვალთა ლახვარი, გულთა ბოძალი!  
გასკდა რვალი, წავარდა თვალი!  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი,  
შეარგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!  
გასკდა ყვითელი კლდე, გამოვარდა ყვითელი კაცი,  
შეჯდა ყვითელ ცხენზე, გაყვა ყვითელ გზასა.  
შემოეყარა ყვითელი გველი, გასჭრა მუცელსა ყვითელსა,  
დააყარა ყვითელი მარილი.

მარილი დნებოდა, გველი ჭკნებოდა.  
ამის ავი თვალით შემხედავს  
თვალი უღრებოდა, გული უჭკნებოდა!  
თვალთა ლახვარი, გულთა ბოძალი!

გასკდა რვალი, წავარდა თვალი!  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი,  
შეარგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

28

ლოცვა თვალყურისა, თვალცემულისა.  
შინაურისა, გარეულისა, სტუმრისა, მასპინძლისა,  
წითლისა, ყვითლისა, შაეისა, თეთრისა, აზნაურისა და გლეხისა.  
მოვიდოდა შავი წყალი, მას მოქონდა შავი გველი.  
ჩაეყე ყავარჯენი შავი, ამოვიღე გველი შავი.  
მიგვიღე ფარჩხსა ფარჩხისასა.  
იგი დნებოდა, იგი ჭკნებოდა, ქვაი ქვასა ეცემოდა.  
ავი თვალთ, ავი გულთ, ავი სულთ, შემხედვარეს,  
თვალთა მაწყენარსა თვალთა ნაცარი,  
გულთა ლახვარი, ვაი და უი, ქვაი და რგუი!  
წმინდა გიორგის ლახვარ-ბოძალი!  
გასკდა რვალი, წოუფსო თვალი  
ავი თვალის, ავი გულის შემხედვარეს!  
ჯვარსა ეწერ ჯვართა, სოლომონის კვერთხითა, მოსეს ბეჭდითა.  
დასწერე, მამაო, ძეო, სულო წმინდაო, შენი ჯვარი!  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

29

გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი,  
ჩაუყო, ჩაუფიცვა, ამოართო შავი გველი, ამოართო შავი ქონი.  
ჩადგა შავ ქოთანში, შეუნთო შავი ცუცხლი.  
რბილმა დაიწყო წიწკინი, ძვალმა დაიწყო შიშხინი.  
ავ ყბისა ხარ, ავ თვალისა ხარ,  
თვალთა ნაცარი, გულთა ღადარი!  
ჭვერისა ქეიშა, ჭვერისა ფხაეი,  
გარს ცუცხლი, ერდოს მენი!  
ყბას აცხნა სოლომონის ბეჭედი!  
ფუ, ასე გააქროლე . . . .ს<sup>1</sup> მაწყინარი!

1 იტყვიან ავაღმყოფის სახელს.

შორებელი იყოს, ახლობელი იყოს,  
შინაური იყოს, გარეული იყოს,  
კაცი იყოს, ქალი იყოს, ბავშვი იყოს,  
ვინც ამის მაწყინარი იყოს,  
მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზო, დაუფსე თვალები!  
წმინდა გიორგი, დასწერე ჯვარი შენი!

101

### 30

ანსალა, ბანსალა, გველი იფხანს სანსალა.  
გამეირღვა შავი კლდე, მას გამოყვა შავი გველი,  
ის დავდევი სიძსა ქვაზე, ის ასკდება, ის აგვება.  
ისე გული გაუგვება, ისე გული გაუსკდება  
შენს ამღალავს, შენს დამღალავს,  
შენს ავი თვალით შემომხედავს!  
ვაი და ვუი, კვაჭაროული, ლახტის ბოძალი!  
წმინდა გიორგის ლახვარი  
შენს ამღალავს, შენს დამღალავს,  
შენს ავი თვალით შემომხედავს!  
ერთსა დღესა პარასკევსა  
ცალკე ცეცხლი ინთებოდა,  
ცალკე წყალი ჩადიოდა.  
შუაში შენი ავი თვალით შემხედავი  
იწვებოდა და იხარშებოდა!  
ჯვარი გეწეროს ჯვარცმული,  
არას გაკლებდეს მაცდური!  
გაუწერეს სამას სამოცდასამი წმინდა გიორგის მადლი  
შენს ავი თვალით შემომხედავს!  
შენ დაგწეროს ჯვარი, ქვას დაადგას კბილი!  
თფუი ეშმაკს! თფუი ეშმაკს! თფუი ეშმაკს!

102

103

104

105

106

107

108

109

110

111

112

113

114

115

116

117


118

119

### 31

არურე შენსა მთვალავსა,  
ვაი და ვუი, ლახვარი!  
ასი მუჭა ბაძგანი,  
ასი მუჭა ლახვარი!  
მახათი, ნემსი, ჭია-ლუა

მის გულს, მის მუცელს,  
მის თვალს, მის სხეულს,  
ვინც შენ ავი თვალით შემოგხედოს!  
მისი სუას და მისი ჭამოს,  
შენზე ჯვარი დამიწეროს!  
თუ არა, შევაგდებ ცეცხლსა მდუღარესა,  
მივცემ შევ წყალსა მეწყერსა  
მის ტანსა და მის თავსა!  
გამოდინდა შავი კლდე,  
მას გამოყვა შავი წყალი.  
შავი ნატარცხელი შენს გლახა თვალზე შემომხედავს!  
არურუ შენსა მთვალავსა,  
შავი კლდე, ცეცხლი თაკარა!  
მისი სუას და მისი ჭამოს,  
შენზე ჯვარი დამიწეროს!



# საყმაწვილოსი

1

საყმაწვილო მოდიოდა, მოანთებდა ცეცხლივით,  
მოპეტელობდა თიკანივით, მოჭყვიროდა გოჭივით.  
შეხვედა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი:

- სად მიდიხარ, საყმაწვილო?
- აგერ მივალ თოთო ბოეშეთან ძვალის სახრავად,  
რბილის საჭმელად, სისხლის სათქვეფად.
- არ გაგიშვა თოთო ბოეშეთან მამა-ძემ და სული წმინდამ,  
ძვალის სახრავად, რბილის საჭმელად, სისხლის სათქვეფად!

2

ავდექ დილაზე, ჩეეცვი თხილამურები,  
წაველ სანადიროთ, ნადირი ვეძებე, ვერ ვიშეე.  
გადეგხედე, მოდიოდა თეთრ ქვასან პირდაქცეული სამარტვილო.

- ჰად მიხვალ?
- აღამიანის შვილთან, ხორცის საჭმელათ, სისხლის სასმელათ,  
დედ-მამის მაცქრიალებლათ, სოფლიერის მახრიალებლათ,  
– გაბრიელ ჰარამგელოს, არ მიხვიდე ჩემი სულიწმინდასთანა,  
თუ არა, დაგჭრი, დაგთიბავ ჩემი აფანდრუკა დანითა,  
ამოგდებ ელიფი ფიწალსა, მიქცემ ქარსა და ნიავსა!  
ღმერთო, დუუტკბე, დუუამე ამ ბადანასა!

3

ჰაიდე, წეედეთ სანადიროთ!  
გედევხედე, ვერ ვიშეე ნადირი.  
კბილდახჩენილი სამარტვილო მოვდოდა.  
უთხარი სამატვილოს: – სა მიხვალ?

– ადამიანი შეილთან, სისხლი სასმელად,  
ბილი საჭმელად, ძვალი სახრელად.  
– არ მიგიშვებ, დედა მზე, არ მიგიშვებ, მამა მზე,  
შავტარიანი დანით დაგჭრი და დაგთიბავ, დაგჭრი და დაგთიბავ!  
ჩაგყრი უხმარ ქოთანში, გადუღებ და გაქაფქაფებ,  
გადუღებ და გაქაფქაფებ, გადუღებ და გაქაფქაფებ,  
მიგცემ ალმა ქარს, დაღმა წყალს!

(შელოცვა სრულდება დღეში შეიდეჯერ სამი დღის განმავლობაში).

#### 4

მოდირდა ქალი ქანანდელი, მოზუოდა ქარივითა.  
გადუღდა დედა მარიამ: – სად მიხვალ, ქალო ქანანელო?  
– ვიყავი ზღვისა, არ დამიტია ზღვამა,  
მივდივარ ასო ტანშია სისხლის სასმელად,  
ხორცის საჭმელად, დედ-მამის საწრუწუნებლათა.  
– რა არის მისი წამალი?  
– ლილა, ქალობანა, თახვის დუმა  
ერთად გალესე დედის რძეში და დააღვინე.

(ამას შეულოცავენ, „ცმაწვილი დაკუნული რო იყოს მუცელში“).

#### 5

– უფალმა თეთრი ფურბერწი დაკლა, რათ არ მეწვიე, კარგის თავო?  
– მათ არ გეწვიე, დევიარები ზღვით ზღვამდე,  
წამალს კერეფდი სისიენისა სიმტკიენისასა,  
კარგი თავისა და საყმაწვილოსასა.  
მე და საყტრის ხუცესი წავედით მთასა,  
ვეძებდით ნადირის კვალსა.  
კვალი ვერა ვნახეთ ნადირის,  
კვალი ვნახე ზნისა და ქარებისა. ზნეო და ქარებო,  
რას გადაცვლილხართ, რას გადაჭრილხართ,  
თქვენი ალაგი იქ არი, ზღვის პირსა და ჩაღის პირსა.  
ქრისტეს ანთებულს სანთელს მოგართმევე,  
გადავაქარებ, გადავანიავებ მაგ თქვენ ჭირსა, სატკივარსა!

(შელოცვას ეწოდება „საყმაწვილოსაგან ხორცის წითლად დასიების ლოცვა“.



## 6

სამი დანები დადიან ქალაქის ქალაქამდისი:  
 თეკლე, ბარბარე, წმინდა მარინე.  
 წამალს ეძებენ წამლისას, წითელი ქარისას,  
 ქარისას, ქარსაყმაწვილოსას.  
 რა ხარ, რა სატყევერი ხარ, რას დამკრები ნეფსივითა!  
 გამოგორდი კვერცხივითა, გამოსდინდი წყალივითა.  
 გამოსაეალი ხარ, გამოდი, გასაპარავი ხარ, გეიპარე!

## 7

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
 ლოცვა საყმაწვილოსა, პირწყლის ქარისა, ლოცვა მატაურისა.<sup>1</sup>  
 იჯდა დედა მარიამი კარსა იერუსალიმისასა.  
 შემოეყარა მიქელ-გაბრიელი თავარანგელოზი:  
 – სად მიხვალ, სად მიგიხარია?  
 – მივალ ვაჟის, ქალის, ყმაწვილის საჭიატებლად, საქთობლობად.  
 გოუნყრა მიქელ-გაბრიელმა: – ნუ, იქ, სულო უკეთურო,  
 ნურცა სევამ სისხლსა ყმაწვილისასა,  
 ნურცა უფერული ფერის მისაცემად,  
 ნურცა გააყვითლებ, ნურცა გააწითლებ!  
 ხარი ხნავს, წისქვილი ბრუნავს.  
 შენ მამალო ბრძნეულო, წითელო, ყვითელო,  
 ნუ ენთები შავო და თეთრო ფერო,  
 ნუ ყვირი ქარივით, ნუ ხეიხვინებ ცხენივით,  
 ნუ ბღავი ძროხასავით, ნუ კეკელობ თხასავით,  
 ნუ ქშინავ ცხვარივით, ნუ კარკალობ მამალივით,  
 ნუ კრიახობ დედალივით! მოხვალ და მოგიხარია.  
 არ გაგიშვას მალაღმა ძემა და სულმა წმინდამ!  
 მითხარი, რა არის შენი წამალი?  
 – ელანი, მელანი, ტარშავი დანა პირბოლონტიკი, .  
 მაკრატელი, ნუქარდი, ლილა, ქალის უმარული,  
 ცოტა გარეული ჯაოზი, შარვალაჲ ძირი,  
 ძირწითელაი, ღორის ჭანკუტელაი.

<sup>1</sup> ბავშვის ველის ავაღმყოფობა, ველჭირკება.

მევიდა შავი, დადვა სამი კაკალი კვერცხი.  
გველი უფეხოდ, გამევიტანე უხელოდ,  
შეეწვი უცეცხლოდ, მევინელე უმუცლოდ.  
იგი გაქარდა. გააქანე, წმინდა გიორგი,  
თუ რამე სატივიარი მიეწევა ბაღანეს თაეში, მუცელში, პირში!  
მე მლოცველი, ქრისტე ღმერთი მარგებელი.  
ავდგე ალითა, მალითა, შავტარიანი დანიითა.  
ჩაგაგდებ დიდსა ქებას რვალისასა,  
გაქანებს წმინდა გიორგი ქარივით!  
ხორცში ხარ, კანში ხარ, ვითარცა ობლად გაქარდი!  
სამი დანი და სამი ძმანი ციესა ქეასა ჯდებოდა, ფეხს იძრობდა,  
პირს იხდიდა, ლერწმის საკვირცხეზე ძვრებოდა.  
ამ ბაღანეიზე მოსული სატივიარი ცხრებოდა, რჩებოდა და ქარდებოდა!  
რკინას პირი ელესება, რკინას ტარი ერგება,  
ჩემი ლოცვა და წამალი ამ ბაღანას წაადგება.

## 8

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა საეაჟოისა მატავრისა, პილწის ქარისა, ყელმოსტრობილისა.  
საეაჟო მოდიოდა შავსა ჟამსა, შუალამიხანსა  
შავი ცხენით, შავი ლახტით, შავი შეკაზმულობითა.  
ცხენსა მოაჯინჯრიკებდა, გველსა მოამათრახებდა,  
თვალიდან ცეცხლი მოსცემდა, პირიდან ღორბლი მოსცემდა.  
მოგლინაედა გველივითა, მოღრუტუნებდა ღორივითა,  
მოყეფავდა ძაღლივითა, მოკიმანობდა ხარივითა,  
მობურდლუნებდა დათვივითა.  
წინ შემოეყარა მიქელ-გაბრიელი მთავარანგელოზი:  
— შენ სად მიხვად, შავო კაცო,  
შავი ცხენით, შავი ტახტით, შავი მოკაზმულობითა?  
რას მოგლინაე გველივითა, რას მოღრუტუნებ ღორივითა,  
რას მოკიმანობ ხარივითა, რას მოყეფხარ ძაღლივითა.  
რას მობურდლუნებ დათვივითა?  
— მე მივალ პატარა ყმაწვილთან რბილის საჭმელად, ძვალის სახრავად,  
ფერიანის ფერის ასართმევად, უფეროის ფერის მისაცემად.  
— არა გაგიშვა, მამამა, ძემა, სულმა წმინდამა!  
რაა შენი წამალი?

– ღორის ქონი, მოლა ქინძი, მოლა ლერწამი, კვერცხის ცილი.  
ვაი, ეს რა ვთქვი – თავისა ჭირი, თავისა გამაქარებელი!  
– არ იყოს ხსენება შენი! გადიარე მთასა, თვარა წაგჭრი თავსა!  
არ გეყურებოდეს კაცისა კიჟინი, მამლისა ყივილი, ქალისა კივილი.  
შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსა ჯვარი დამიწერე!  
ჯვარი პატიოსანი, ჯვარი პატიოსანი, ჯვარი პატიოსანი!  
მე ვარ მლოცავი, ღმერთი მარგებელი!

(შელოცვა სრულდება საზღვრ).

## 9

საეაჟო მატაური, პილწის ქარი მოვდოდა შაეი ტყვიდან, შაეი ზღვიდან,  
შაეი ურუბით! შეკაზმული შავსა ცხენსა შემეღარიყო.  
ცხენსა მოაბრაგუნებდა, ხელსა მოატკაცუნებდა, .  
კბილსა მოაკრაჭუნებდა. შამიეყარა მიხელ-გაბრიელი:  
– შენ სა მიხვალ, შავო ბიჭო?  
– ყმაწვილის ნახსმანთან. ფერიანის ფერის ასართუმათ,  
უფერულის ფერის მისაცემათ, სატირებლათ, საყვირებლათ,  
ძეკალის და მბილის სატეხლათ.  
– არ გაგიშვეფ, მამა-ძემა, სულმა წმინდამა!  
შენი წამალი რა არის, მითხარი!  
– ლილა ქაღბანა, ხოშნაურის ძირი, ღორისა ქონი.  
ვაი, რა ვთქვი თავის ჭირი, თავის გამაქარებელი!  
მე ვარ მლოცავი, ღმერთი მარგებელი!

## 10

სახელი სახელითა ღვთისათა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
მევიდოდა წითელი ქარი, ბარბაწის ქარი, საყმაწვილო და მატაური.  
– სად მიხვალ, შენ, წითელი ქარო, საყმაწვილო და მატაურო?  
– მივალ ყმაწვილთ საქროლებლად, საშინებლად, ფერის გასაქრობად,  
ხორცის საჭმელად, ძელის სახრაავად, სისხლის გასაშრობად.  
– არ გაგიშვეფ ყმაწვილთა საშინებლად, საკართოლებლად,  
ხორცის საჭმელად, ძელის სახრაავად!  
აკჭრი ალითა, მალითა, შაკტარიანი დანითა,

---

1 ტანისამოსი.

პირაუკერელად ჩაგაგდებ ქებასა ბროლისასა,  
გაგიტან მთასა მაღალსა, შეგირთავ ცეცხლსა გეგენიასა  
და გაგქროლებ თვალის წამისასა!

11

სახელი სახელითა ღვითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
საყმაწვილო, პილწიქარი, მატაერად მოვდოდა ჟამსა შუალამისასა.  
თავათ ღმერთი ნიქაგაბრიელი შეეყარა:

– შენ სა მიხვალ, საყმაწვილო, პილწიქარო, მატაერო,  
მშვენიერო, ბედნიერო, მოწიფულო, ლამაზო?

– მე მივალ პატარა ყმაწვილთან ასატირებლათ, ასაჭიჭყინებლათ,  
შესაზარებლათ, შესაწუნებლათ, სიცხის მისაცემათ,  
ფერიანის ფერის ასართუმათ, უფერულის ფერის მისაცემათ,  
ძვალის სახრავათ, ბილის საჭმელათ.

– რა არი შენი წამალი? საყმაწვილო, პილწიქარო,  
მატაერავ, მშვენიერო, ბედნიერო, ლამაზო?

– დანა პორპოტი, ლილა ქალბანა, ღორისა ქონი.

– არ გაგიშვებ, მამა, ძემა, სული წმინდამა!

აგჭრი ანაითა, მანაითა, შავტარიანი დანითა.

ჩაჯერი ქებასა ვალისასა, იგიტან ქედსა მაღალსა,  
მიგცემ ქარსა, წყალსა!

12

სახელია სახელითა ძითა, მამითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა საყმაწვილო მატაურისა.

მოვიდა შუალამისხანს, შემოეყარა შეიღმა ანგელოზებმა:

– სად მიხვალ, მატაურო, საყმაწვილო პილწის ქარო?

– მივალ სოფელთა შინათა, ყმაწვილის საწვალებლად, საკრთობლად,  
ფერის გამოსაცლელად, უფერული ფერის მისაცემად,  
ხორცის შემოსაცლელად!

– არა გაგიშობს მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი!  
რათა შენი წამალი?

– ლილა, ქაფური, ქალბანა წითელი, ღორის ქონი.

უი, რა ეთქვი, თავისა ჭირი, უცებ გამქრობელი!

ჩვენ ვიყავით სამი ძმანი, სამებისა წმინდოსანი.

გველით გაღმა თასა-გალელიასა, მოკრიფეთ უცხო ნადირი,  
მოკესუეთ სამოზდახუთი ფხარი ბადენი, გადაეყარეთ მატავრსა.

– მატავრავ, ჰა მიხვალ?

– მარტვილთან მიაღ, სისხლის სასმელათ,  
ძვალის სახრავათ, ფერვანი საკრეფლათ.

– რაა მისი წამალი?

– სელის ზეთი, ღორისა ქონი, ქინძის თესლი, ლერწმისა ჩხირი.  
ვაი, რა ვთქვი, თავისა ჭირი!

(შელოცვის დამთავრების შემდეგ შეუბრავენ: „ჴუ!“).

## -14

მოდოდა სამი ძმანი სამებისა. მოქსინეგდენ იავებითა,  
გადაქსელეგდენ შალსა, გადმოქელავდენ შალსა.

– ჰა მიხვალ, შენ, მატავრო-ატავრო, შენ პილწი ქარისა ქარო?

– ჰა მივალ და ფერის სართმეველი, სისხლის სასმელაი.

– რა არი მისი წამალი?

– სელისა ზეთი, დიკისა პური, ლილა ქარვანაი, ძაღლა ყურძენაი.  
ვაი, რა ვთქვი, თავისა ჭირიო!

(შეულოცავენ დაღუულ მთავარზე შეიდი დღის განმავლობაში).

## 15

მოდოდა პილწი ქარები – სამი დანები,

ძაღალსა მთასა გადაქსელევიან შალსა,

მოფრთხინენ ცხენივითა, მოსირვენ გველივითა.

– ატავრო, მატავრო, სამარტვილო პილწო ქარო, ჰა მიხვალ?

– მარტვილთან.

– რა გინდა?

– სისხლის სასმელათ, ბილის საჭმელათ, ძვალის სახვრელათ!

– ვინ მიგიშვებს მარტვილთან! დაგჭრი ჩემ მახათი დანითა,  
ჩაგყრი რვალის ქოთანში, გადუღებ და გაქაფქაფებ,  
არც გესმოდეს მამლის ყვილი, არცდა კურო-მოზვრის კივანი,  
ჩაგყრი რვალის ქოთანში, გადუღებ და გაქაფქაფებ!  
რა არი შენი წამალი?

– დიკის საპონი, ცხვარის ქონი, ლილა-ქარვანაი,  
ძაღლაყურძენაი – თავისა ჭირი, თავისა მაქარებელი.  
ლოცვა-წამალი ჩვენი, გამჩენელი-შველებელი!

16

სახელითა მხითითა, მამითა, მზითა, ლოცვა სავაჟოსა.  
ზედანა ჩამოვარდა ერთი ფიქანი ქვისანი,  
ზეთ ეწერა შვიდი სიტყვანი ხეთისანი;  
ერთი – სავაჟოსანი, მეორე – ჰილწის ქარისანი,  
მესამე – ყელმოსწრობილისანი, მეოთხე – გაქარდოსანი.

17

მოვიდა მატაური და მატაური და კატაური,  
მოხულაოდა მელავითა, სარსალობდა ქარივითა, მოხლოდა.  
შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი:  
– სადუ მოხვალუ, შენ, მატაურო? სადუ მიბლავი კატავითა?  
სადუ მიდინაროფუ გველივითა? სადუ მისრილოფუ ქარივითა?  
– გურ ჩვილი ყმაწვილის საკიალებელათ, სათქნარებლად,  
უფერულის ფერის მისაცემადუ, ფეროვანის ფერის წასაღებადუ.  
– არ გაგიშობუ, მამა-ძემ და სულმა წმინდამ,  
ვერც წახვალ ხელთა ჩემთა!  
ჩაგაგდებ წისქვილის კნითა დასატანჯველად,  
გარეთ ცეცხლს შამოგინთებუ გეგენისა!  
– ნურცა ცეცხლსა შემომინთებუ გეგენისა.  
სადაც ეს ლოცვა სამჯერ დათავდეს და ხმა თქვენი ისმოდეს,  
იქ ვარკვემუნოთ ამუ ყმაწვილისა მოუხდეს.  
ღვთის ბრძანებითა მასვე წამუს განვეშორეთუ ამუ ყმაწვილისაო!

18

ქრისტემ დაკლა თეთრი ფური, მან აწვია ყოვლი სული.  
სატკბურმა უთხრა: – მე რად არ მაწვიე?  
– შენ მად არ გაწვიე, შეხვალ ყმაწვილის ტანში,  
წიწკნი, გლეჯავ, ქაელავ, წორბლავ!

---

1 ჯოჯობეთი, ჯოჯობეთის ცეცხლი.

– არა, ძე და მამა, სულს წმინდავ,  
არცა ვწიწკნო, არცა ვქავლო,  
ავყვავდები ატმის ყვავილივით,  
ჩამოვცვინდები ქონდრის ყვავილივით.  
ღმერთო, მოუხდინე ლოცვა ჩემი!

## 19

სახელითა ღმრთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა!  
ქრისტემ დაკლა თეთრი ფური, მან იწვია ბევრი ხალხი.  
სატკბურმა უთხრა: – მე რათ არ მიწვიე?  
– შენ მათ არ გიწვიე, ჩახვალ ყმაწვილის ტანში  
საკობავათ, საცვარავათ.  
– არა, მამა-ძემ და სულმა წმინდამ, არა ვკობო, არცა ვცვარო,  
– კდიდღე ქოთანითა, ჩავცვივღე ქონდარივითა.

## 20

ქრისტემ დაკლა თეთრი ფური, იწვია ყოველი სული.  
– სატკბურო, რა: არ მიწვიე?  
– მე დავდივარ ყმაწვილის თაეში საკობავად, სახონხავად.  
არა, მამამ, ძემ და სული წმინდამ,  
არც წვეიღე საკობავად, არც წვეიღე სახონხავად.  
ავღუღღე ქოთანით, ჩამოვცვინდე ქონდარივით.

## 21

ქრისტემ დაკლა თეთრი ფური, მეიწვია ყოველი სული.  
სატკბურმა უთხრა სატკბურსა:  
– ჩახვალ ყმაწვილის ტანსაო, ჭამ მბილსა და ხრამ ძვალსაო!  
– არა, მამამ, ძემ და სულმა წმინდამ იცოდეს,  
არცა ვხრამდღე ძვალსაო, არცა ვჭამდღე მბილსაო!  
გავხმები ჭიქასავით, ჩამოვცვინდები ბრელოსავითა!<sup>1</sup>

---

1 განთავსებული სორბლის ან სიმინდის ანახვეტი ქერტლი.

## 22

სატკბურმა ბატონმა თქვა: — ყველა ბატონები დაეპატიჟე,  
ძვალსა ვხრავ, რბილსა ვჭამ, სისხლსა ვსვამ.

არა, ბატონო, არცა სისხლი ვსვა, არც ხორცი ვჭამო, არცა ძვალი ვხრა!  
დასცხე უმარილო ღორის ქონი, ჩამოსცივედეს ქერის ქატოსავითა.

(შეულოცვა სრულდება სამჯერ შავტარიანი დანითა და ნახშირით).

## 23

გოჟოე, <sup>1</sup> გოჟუკელაე, ღანკო, ღანუკელაე,  
ალი მონადირობდა, მელი მონარცილობდა,  
გოჟუყრა დამბადებელი, გოჟო გეიპარა დილასა!

(ბავშვს კიბეზე შეაყენებენ და შეულოცველს ეკითხებიან: — „რას სჭრი?“  
შეულოცველი, რომელსაც ხელში წაღდი უჭირავს, უპასუხებს: „ — გოჟოს,  
გოჟუკელას, ღანკსა, ღანუკელას ამ ბაღნის ჭირსა და ფათერაკს. გადიარე მთასა,  
თვარა წაგჭრი თავსა!“ შეულოცვენ სამჯერ ან ხუთჯერ).



---

1 რაქობი.



# შაკიკისა

1

შაკიკი მოშაკიკობდა სათიბისა ბოლოსა,  
როგორც ცხტარი თიბასა, ისე გლეჯდა კინასა.  
უფალო, შენ ჩამომწყვე ასავალ-დასავალი ზისასა!  
– მარიავე, რას ტირი, რას ჩივი, რას ყრი ოქროს კურცხალსა?  
– არ ვჩივი, არ ვტირი, არ ვყრი ოქროს კურცხალსა.  
ჩაბძანდი ჩემსა ბაღჩასა, მოწიკვე სამი სამყური.  
ფოლადი ნემსი, ყირმიზი ძაფი, შავტარიანი დანა  
გაღუსევი და გაღეიტანე ყოლი ჭირი.

(აჟადმყოფს თავზე დაადებენ წითელ ძაფს, უხმარ ნემსსა და სამყურას და შეულოცავენ).

2

სახელითა ხეთისითა, მამისა, ძისითა და სულითა წმინდისითა. ამინ!  
.....<sup>1</sup> შაკიკი ტკივა.  
მოურჩინე, მოუხდინე,  
თვარა აკეპავე, ღაკეპავე,  
ჩაგყრი უძირო მორეუში.  
არც გეყურებოდეს მამლის ხმა,  
არც გეყურებოდეს ძაღლის ყეფა,  
არც გეყურებოდეს კაცის ხმა.  
ღმერთო, შენ არგე ჩემი ლოცვაი .....<sup>2</sup>

<sup>1</sup>, <sup>2</sup> იტყვიან აჟადმყოფის სახელსა და გვარს.

3

შაკიკი მიდიოდა კივილითა და ჭყივილითა.  
წინ შემოეყარა მიქელგაბრიელ-მთავარანგელოზი:

— სად მიხვალ, შაკიკო?

— მე მივალ ადამიანთან, თავსა გოუტეხ!

— არა, მამამ და ძემ!

წადი სათიბისა ბოლოსა, იქ ჭამე, იქ ტეხე,  
ჩემსასა ჯვარი დამიწერე!

4

შაკიკი შემოჩვეულა სათივისა ძირასა,  
ისე ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
გამოდი, გამოიყე ჩემსა ლოცვასა,  
თორემ მოვიტან შეატარა დანასა,  
მიგეუწ-მოგეუწამ, მიგცემ ქარსა და ნიავსა!  
არ გესმოდე ძაღლი ყეფა, არსაით მამლის ყივილი.  
ოთხო თავნო სახარებანო, მათე, მარუნო, უკვდავ ივანე,  
რამაც დაგსახა, იმან გადაგწერა პირჯვარი!

5

საკეკი შემოჩვეულა ჩვენ სათივის ბოლოსა,  
ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
წმინდა გიორგიმ დასწყეველოს,  
გაიპარა ორშაბათსა დილასა.  
შავ ძაღლზე გადმჯდარიყო, მიდიოდა დილასა.  
ძაღლი წყალზე გადახტა, საკეკი ქარი წყალში ჩავარდა!

6

შაკიკი შემოჩვეულა სათივისა ბოლოსაო,  
ეგრე სჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო.  
დასწყეველოს წმინდა გიორგიმ, გაიპაროს დილათაო.  
რა არის მაგის წამალი?  
ამალი, მამალი, განურებული რკინა —  
ეგ არის მაგის წამალი.

7

შაკიკი შემოპარულა სათიბისა ბოლოსა,  
ისე სჭამდა ძარღვებსა, როგორც ხარი თივასა.  
გოუწყრა წმინდა გიორგი, გვიპარა დილასა.  
მოვიდა ის სუფრისკენ და უბრძანა:  
— ჩელი მარიამის ბაღში, მოწიკვე სამი სამყური,  
მოუსვი, დოუსვი შუბლსა და ის არის მისი წამალი.  
ფუი, ღმერთო, შენ გააქროლე ამ თავში მოსული შაკიკი!  
ქარები გააქროლე ქარივითა, დაატყბე შაქარივითა!  
ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

8

საკეკი შემოჩვეულა სათიბისა ბოლოსა,  
ეგრე ჰკენეტლა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
აი, საკეკო, შე ტიალო,  
ვერ მოგასწარ დილასა, შეგტაცებდი ყიასა!  
არც მოგდიოდეს მამლის ყივილი და არც რეშღვის ჭიხვინი,  
ჩამეგდე ხეგსა ბნელსა!

9

საკეკი შემოჩვეულა სარკინისა ბოლოსა,  
ისრი ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
პატარა ცული ხესა სჭრის, ეგებოდა ტარადა,  
ჩემი ლოცვა შენ გერგას წამლადა!  
წმინდა გივარგიმ დასწყიას, გააპარას დილასა!

(შაკიკმა თავის ტკივილი იცის და აუადმყოფმა შელოცვის შემდეგ მეორე დღემდის არ უნდა აიძრახოს. აჭმევენ შემწეარ და შაქარმიყრილ ვაშლს.)

10

საკიკი შემოჩვეულა სათიბისა ბოლოსა,  
ისე ამტვრევს რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს, გაიპარა დილასა!

ცულსა თავის ანაჭერი თავის ტარად დაუგია,  
ესეც ჩემი ნალოცავი შენ საწამლად დაგადვიან!

11

შაკიკი შემოჩვეულაო ჩვენი ღობის გარეთაო,  
ისე სჭამს რკინასაო, როგორც ხარი თივასაო.  
დასწყველოს ღმერთმაო, გაიპაროს დილასაო!  
როგორც მარილი ჩაუარდება წყალშიო,  
შაკიკი გაქრება თავშიო.  
ისე გასჭრას ჩემმა ლოცვამ,  
როგორც ფრთიანმა ცულმა ტყეშიო.

12

შაკიკონი შემოჩვეულა სათმავსების ბოლოს.  
ადე, მერიემ, ჩადი შენს ბოსტანში,  
სამი სამყური ბალახი, რიმსთი ფერადი  
გადუუსვი, გედეიტანე შაკიკონი,  
გადმოუსვი, გადმეიტანე შაკიკონი.

(შეულოცავენ 5-6-ჯერ და თან ავადმყოფს შუბლზე ხელს უსვამენ.)

13

შაკიკი შემოჩვეულა ჩვენი ვენახი ბოლოსა,  
სძოვდა, სძოვდა ბალახსა, როგორც ხარი თივასა.  
ფუ, გაქრი, გაწყალდი! ფუ, გაქრი, გაწყალდი! ფუ, გაქრი, გაწყალდი!

14

სახელო სახელითა ძითა, მამითა.  
შაკიკი შემოჩვეულა ჩვენსა სათიბის ბოლოსა.  
კენეტდა და კენეტდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
წმინდა გიორგი გაუწყრა, გაპარულიყო დილასა.  
წმინდა გიორგი, შენ არგე ჩემი ლოცვა . . . .ს!

---

1 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

15

შაკიკი შამოჩვეულა სათიბისა ბოლოსა,  
ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
გაუწყრა წმინდა გიორგი, გვიპაროსა დილასა!

(შეულოცავენ ტყეზლის ტყლაპზე და ავადმყოფს შუბლზე დაადებენ. ავადმყოფი დილას ადრე, შხის ამოსვლაძდე, ადგება, მივა კაკლის ხესთან და ეტყვის: „რომელსაც უმაღლ დაგვინახავს შზე, იმას ასტივედეს თავი“-ო, თვითონ გამობრუნდება და ღოგინში ჩაწეება. ეს კაკალი მან სიცოცხლეში არ უნდა ჭამოს).

16

შაკიკი მოშაკიკობდა ორშაბათსა დილასა.  
ისე ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
გააქროლე, ყველა წმინდაო ღთისშობელო, დილასა!  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი!

17

შაკიკი მოკაკანობდა სათიბისა ბოლოსა,  
ისე ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
წინ დაუხვდა ანგელოსი, გაიპარა დილასა.

18

შაკიკი მოშაკიკობდა სათიბისა ბოლოსა,  
ისე ჭამდა ხეიშასა, როგორც ხარი თივასა.  
გაუწყრა გამჩენი ღმერთი, გვიპარა დილასა.

19

შაკიკი შემომჯდარიყო სათიბისა ბოლოსაო,  
ისე ჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო.  
წინ ქრისტე შემოეყარა, გააქარა დილასაო.

(შეულოცავენ საბჯერ და თან ხელში ცხენის ნაღს დაიკავენ).

20

საკიკი შემოსჩვევია სათივისა ბოლოსაო,  
იგრე კენეტამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო.  
გაქრე და გაიპარეო,  
როგორც ჩიტის კვალი ქვაზედაო.

(შემლოცველს ხელში უჭირავს გახურებული რკინა და ავადმყოფი წინ ატრიალებს, სან ულოცავს. შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ).

21

აკივისა, მაკივისა, ლოცვა ვიცი შაკივისა.  
ისე ჭამდა რკინასა, როგორც ხარი.თივასა.  
ფუ, გაქრა შაკიკი!  
დალოცე, ღმერთო, წმინდა გიორგი,  
შაკიკი აღარ იყოს დილასა!

22

ურიას ქორწილი აქვს, ჩემი შვილი წაუყვანია.  
შაკიკი შემომჩოვია, რაა მისი წამალი?  
უნხარი ნემსი, ყირმიზის ძაფი, სამყური ბალახი  
გადუუსვი და გადმოუსვი, თავი დატყე უმანკო.

23

ორშაბათ დილა გათენდა,  
შაკიკი შემომეხვია.  
რაა მისი წამალი?  
სამი სამყური ბალახი,  
უნხარი ლემსი, წითელი ძაფი.  
გადუუსვამ, გადმოუსვამ,  
გავაქროლებ თვალსა წამსა.

24


მზე ამოდოდა, შაკიკი მიდოდა.  
ოჰ, შვილო, ოჰ, ძირო, რას ტირი, რას ჩივი  
ჩეირბინე, ამეიტანე სამყურაი ბალახი,

გედვისვი, გაღმეისვი,  
აჰა, ღმერთი ერთია, მომრჩენელი ღმერთია!

(უხმარ ნემსზე დააბნევენ სამ კბილ ნიორს და მტკივან ადგილზე დაამაგრებენ.  
შელოცვისას ნიორსა და ხელისგულს აეადმყოფს შუბლზე უსვამენ).

25

სულითა წმინდითა, შელოცვა შაკიკისა.  
უთაიშვილს ქორწილი აქ,  
ერთი ქალი მყავდა, იგიც მას ვაწვიე.  
თვალსა ბელთი მოხტენოდა, ეკურცხლა და ეფსებოდა.  
ე, შაკიკის წამალი, ეგერ ჩადი ბახჩაში.  
რაა მისი წამალი?  
სამი სამყურა ბალახი, ფოლადი, ნემსი,  
ყირმიზი აბრეშუმში, ყირმიზი სკალტი.  
გადუუსვი, გაღმოუსვი, აგია მისი წამალი.  
გუუქარეე მისი სატკივარი!



# ჭვალისა

1

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

შეულოცავ ჭვალისას.

იდგა დედა მარიამი გზასა ჯვარადინასა,

ტიროდა ცხარე ცრემლითა.

მალლიდან გადმოდგა უფალი:

— ჰეე, ჰეე, ვინა სცემთ ქერივსა,

ვინ ატირებთ ობოლსა?

— არცა ვცემთ ქერივსა,

არც ვატირებთ ობოლსა.

დასდგომია . . . .ს. ჭვალი,

აღონებს, აწუხებს, დკლამს.

რა არის იმი წამალი?

— გადახტი ჩემსა ბაღჩასა,

აფყრი კანაფს, შაბამ კვირიტაეს და წითელ ძაფს.

სამ დილაღ შეულოცამ სამჯერ,

გადადკრამ მხარ-ილლიასა.

აფყრის ჭვალსა, ჩაფყრის ზღვასა.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა.

2

იჯდა დედა მარიამი, ტიროდა ცხარე ცრემლითა.

გადმაიხედა უფალმა და ჰკითხა:

— რათა ტირი, მარიამ, ცხარე ცრემლითა?

— მასა ვტირი, დადგომია ადამის ძესა მჭვალი,

აწუხებს და აღონებს. რა არის იმის წამალი?

1 იტყვიან ავადმყოფის სახელს.





6. ქართული ბაზილიკური შელოცვა

– ის არის მაგის წამალი:  
გადახტი ჩემსა ბაღჩასა, ჩაიკრეფ კანაფსა,  
შაბაბმ წითელ ბაწარსა, გადაიდებ მხარ-იღლიასა.  
აიყრის ჭკვალსა, ჩაიყრის ზღვასა.

### 3

მოდოდო ქრისტე ღმერთი, იჯდა კვიცზედ უხედნარზედ.

გედინებდა ქვედა ქვეყანაზე:

– ნეტა რასი ზივილია, ნეტა რასი კივილია?

არავინ ატირებდეს ქვრივსაო,

არც არავინ იკლებდეს ობოლს მწირსაო!

– არა, მამა, ძე და სულო წმინდაო,

არც არავინ ატირებს ქვრივსაო,

არც არავინ იკლებს ობოლს მწირსაო.

დედა მარიამს ჭკალი ასვია,

მისი ზივილია, მისი კივილია.

რა არი მისი წამალი?

– თვით მოსრული კანაფი გადაგრიხე, გადმოგრიხე,

გადააცი მახათსა, ის გაუქრობს ჭკვალსა.

### 4

ადგომილო, დადგომილო, თეთრო ქარო, გაფრენილო!

პეტრემ უთხრა პაველსაო: – რატომ არა სჭამ პურსაო?

– მიტომ არა ეჭამ პურსაო, მჭკალი მასვია გულსაო.

რა არის მისი წამალი?

– თვითამოსული კანაფი! ის დაყნოსო, ის დაიდო,

ის არის მისი წამალი.

მადლიდან კაცი იძახის: – ქვევით ტირის ქვრივ-ობოლი.

– არც ქვრივი ტირის, არც ობოლი ტირის,

მჭკალი ადგია გულსა. რა არის მისი წამალი?

– ცივი წყალი სასმელად, ცივი ქვა და ცივი რკინა სასთუმლად.

---

1 დაუთესველად ამოსული.

5

პეტრემ უთხრა პაელებსა: — რატომ არ ჭამ პურსა?  
— მითომ გრ ეჭამ პურსა, ჭველი მადგას გულსა.  
რაა მისი წამალი?  
— ცივი რკინა, ცივი წყალი, ზედ ამოსული კანაფი.  
გადააველე ხარსა, ის გაგიქრობს ჭველსა!

6

კირკილასა წყალსა პეტრე იჯდა ქეასა.  
პეტრემ უთხრა კაცსა: — რათ არა სჭამ პურსა?  
— მით არა ეჭამ პურსა, ჭველი მაწივეს გულსა.  
რა არის მისი წამალი?  
— თვით მოსული კანაფა ხელუკუღმა დაგრეხილი  
გადააცვი მხარსა, ის გოუქრობს ჭველსა.

7

დიდი, დიდი, დიდებული,  
ზედ საყდარი შენებული,  
ლოდი იყო მოდებული.  
კკარი ცერი, გადაეგდე.  
პეტრე იჯდა ჭამადა.  
პეტრემ უთხრა პაელებსა:  
— რად არა სჭამ პურსა?  
— მით არა ეჭამ პურსა,  
მჭველი მასვია გულსა.  
რა არის მისი წამალი?  
— ცივი წყალი, ცივი რკინა, თვითამოსული კანაფი  
გაპკიდე მხარსა, ის მოგიჩვენს მჭველსა.

8

დიდი, დიდი დიებული, ზედ საყდარი შენებული.  
პეტრე იჯდა ქვაზედაო. ნიკომ უთხრა პეტრესაო:

- არ არის ჭკვალის წამალი?
- ცივი ნემსი, ცივი წყალი, მთით ამოსული კანაფი, გადაკვიდოთ მხარსა, ის გააქრობს ჭკვალსა.

9

დიდი, დიდი, დიდებული,  
საყდარი აშენებული,  
ლოდი იყო მიღებული.

პეტრე იჯდა ქვასა, იორდანე – წყალსა.

პეტრემ უთხრა იორდანეს: – რათ არა სჭამ პურსა?

– მით არა ვჭამ პურსა, ჭკვალი მასვია გულსა.

რა არის მისი წამალი?

– ცივი წყალი, ცივი რკინა, ღვთით ამოსული კანაფი  
გადაამცვენ მხარსა, ის გააქრობს მჭკვალსა!

10

პეტრე-პავლობასაო პეტრე იჯდა ჭამასაო.

პეტრემ უთხრა პავლესაო: – რად არა ჭამ პურსაო?

– მით არა ვჭამ პურსაო, ჭკვალი მადგას გულსაო.

რა არის მისი წამალი?

– ცივი წყალი და რკინა.

დადგა დიდებული, ჩადგა ქრისტე ღმერთი.

მოვიდა ორბი, კრა გრძელი,

წვილო ჭირი და ფათერაკი.

(შელოცვას საბეჯერ იმეორებენ ულოცავენ წყალს და ამ ნალოცი წყლით ავადმყოფმა ტანი უნდა მამოიბანოს).

11

ღღეს რომ პარასკევია,

ქრისტე ჩვენი წვეულია.

ბაგა-ლოგინი, კოვზი-ფაშატი.

შუალამე რო შეიქნა,

დადგა წივილ-კივილიო.

– რა იქნა, რა ამბავია?

– დედა მარიამს ჭკვალი დაადგა,

ეგ წივის, ეგ კივისო.  
რა არის მაგის წამალიო?  
— მოსწყვიტოს სამი კანაფიო,  
მხარზე გადაიკრასაო.  
ეგ არის მაგის წამალიო.

## 12

ემკობილი, შემკობილი,  
ცხრა საყდარი შედგომილი.  
პეტრემ უთხრა პაელებსაო:  
— რატომ არა სჭამ პურსაო?  
— რა მაჭმევს პურსაო,  
ჭვალვა მასვია გულსაო.  
დაკერავ ცულსაო,  
გარ ვაგლებ ნამსაო!



# სურდოსი

1

სურდო მოდის ვადირადა, რა მივართვა სადილადა?  
ანკალი, ბანკალი, შაეი ძაღლის ბარკალი.  
სურდო კვინძე, გადაკვინძე, შავსა ძაღლსა გადაკვიდე.  
შაეი ძაღლი წყალს გაეარდა, სურდო წყალში გადაეარდა.

(შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ).

2

სურდო მოდის სადილათა, რა მივართვა საჭმელათა?  
ანკალი, ბანკალი, დათვის ხორცი დამპალი.  
დაუკარ ტაში, გააგდე კარში!

3

სურდო მჭირდა ადვილათა, რა მივართვა სადილათა?  
ელელიკო, მელეელიკო, კურტუმი და ბარკალი ღობის ძირში ჩაკვალი!  
იმი მამამ ცხენი მომცა, ავამტრიე-დავამტრიე, კარსაც მოხტა.  
კარმა დეიწყო ზრიალი მეზობლებმა გრიალი.  
ძაღლი რუზე გავახტუმლე, სურდო წყალში ჩავახტუმლე.

4

ადილასა, მადილასა, რა გინდებიან ზეალ დილასა?  
არკალი, ბარკალი, შვიდი თავის ბარკალი.  
აკკოჭიჭე, დაკკოჭიჭე, ძაღლის კუდზე გადმოკვიდე.  
ძაღლი რუზე ავახტუმლე, სურდო წყალში ჩავახტუმლე.

(შეულოცავენ სამი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ: შელოცვისას  
შემლოცველს თვალზე ცრემლი წამოუკა).

5

სურდო მეწვია ხადილად, რა გავუკეთო სადილად?  
აკანი, ბაკანი, შავი ძაღლის ბარკალი.  
იგრე დჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.  
წმინდა გიორგი გაუწყრა, გაიპარა დილასა.

6

ანკალი ბანკალი, შავი ძაღლის ბარკალი.  
შაკკარ, შავაპაჭაჭიკე, შავსა ძაღლსა გადაკვიდე.  
ძაღლი წყალზე გადახტა, წვინტა წყალში ჩავარდა.

7

სურდო მჭირდა ადვილად, რა მივართვა სადილად.  
აბლი-ბაბლი, სოკო ჭვარტლი, სურდო, ხველა, სიბორძიკე.  
ვაი, რა შაირს ავეკიდე, ღმერთო, ეს რა გადამკიდე!  
სურდო რუზე გავხტუნე, ცეცხლის აღში ჩავხტუნე.

8

სურდო მოვდა ადვილად, რა მივართვა სადილად?  
აბლი-მაბლი, წებო, ჭვარტლი, არკალაკი, მარკალაკი,  
სამი თაგვის ბარკალაკი ძაღლის კუდზე გამოკვიდე,  
გავხტუმლე, გამოვხტუმლე, სურდო წყალში ჩავხტუმლე.

9


სურდო მეწვია ადვილად, არრა მივართვი სადილად:  
ანწლი, ნამგალი, დათვი დამპალი.  
დავკარ ტაში, გავაგდე კარში.

(შელოცვა სრულდება სამჯერ)

10

ანამ კოკოი დამიკრა, ბაბომ შიმიჭამა.  
ბაბომ გერიტი მიყიდა, გერიტმა კეერცხები დაღვა.  
ავაგორე, დავაგორე, მეფის კართან მივაგორე.

მეფის ქალმა ცხენი მომცა, ავამტერიე, დავამტერიე,  
კარს მოხდა და კლდეს არა.  
კარმა დეიწყო წკრიალი, მეზობლებმა გრიალი.  
ძალი რუში გაეახტუმლე, სურდო წყალში ჩაეახტუმლე.





# კანის დაავადებებისა

## სირსელისა<sup>1</sup>

1

სახელითა ღეთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდითა.  
მე ვულოცავ სირსვალასა. სირსვილი, სირსვილოსანი.  
სირსვილი ხნავდა ყანასა ერუსამეთის კარავსა.  
სირსვილსა ძირი გუუწყდა, ხარსა ტაპიკი გუუტყდა.  
ფუ, გაქრი სირსვალა!

2

სირსვილი ხნავდა ყანასაო ნაფუზერასა ჭალასაო.  
მგელი ება ხარადაო, გველი აპეურადაო,  
გასკდა მგელი, გაწყდა გველი,  
სირსვილს ამოუვარდეს ძირი!

(შელოცვის დროს ნემსის ყუნწს საზეურ შემოატარებენ სირსვილის ირგვლივ).

3

სირსვილი ხნავდა ყანასა, კუი შეება ხარადა.  
კუესა ბაკანი გაუტყდა, სირსველას ძირი გაუხმა!  
(შელოცვა სრულდება საზეურ. სირსველაზე უსვამენ ფუნას).

4

ორშაბათს ხარი მება ალავერდი ჭალასა.  
სირსვილი ხნამს ყანასა,

<sup>1</sup> სირსვილი|სირსვილი — კანის დაავადება. იცხვ კანზე წვრილი გამონაყარი, რომელიც ღერ იჭერტლება.

ხარ ტაბიკი უწყდებოდა,  
სირსვილს ძირი უხმებოდა.

5

გუთანი ება ეშმაკსა,  
მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა.  
გასკდა მგელი, გაწყდა გველი,  
სირსვილავ, ამოვარდი ძირიანადი!  
დილას უთხარ საღამო კარგად ყოფნისა,  
საღამოს უთხარ დილა კარგად ყოფნისა.

6

სირსვილი ყანას ხნევედა,  
მიარტყამდა მიწასა,  
ბიგალი მიაყრიდა ქვიშასა.  
ხარ ტაბიკი უტყდებოდა,  
სირსვილს ძირი უხმებოდა.

7

ელისა, მელისა, მიწისებური ხელისა.  
სამჯერ მე ვთქვი სახელია,  
ახლა შენ თქვი, რომელია.  
სირსვალი ხნევედა ყანასა,  
ალივერდოღლი ჭალასა.  
ხარ ტაბიკი უტყდებოდა,  
სირსვალს ფესვი უხმებოდა.

8

ერთი დედაბერი მოციმციმებს,  
მოვა უპერანგო და უშარვლო.  
– ქალო, რა გინდა?  
– კარდალა მინდა.  
ცხენი მყავ ცხენკედელა,  
გადამიხტა ბოსტანში,

გამითელა წიწაკი.

რა არის მისი წამალი?

— ლუკუმხა და ლელვის ძირი,  
სირსვილს გუუხმია მისი ძირი!

(შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ. სირსველიან ადგილზე შეიძვერ  
კატარებენ ნემსს).

## მუნისა (მღერისა) <sup>1</sup>

1

მუნო, იელო, იელო, სახელით ქანქაჯიელო,  
მოგე ლოგინი, ქვა სასთუმალი.

დედა მერიემი იჯდა შარაზედა, ტიროდა, ჩიოდა.

ჩამეიარა იესო ქრისტემა, ჰკითხა:

— დედაო, რას ტირი, რას ჩივიო?

— უსულომა, უგულომა სულიერის ძეალი ხნა და ხორცი ჭამა,  
რა არის იმის წამალი?

— შუშა გოგირდი, შაბათის კარაქი,  
სამი წასმა და იმისი გაქრობა.

ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი!

მუნო, იელო, სახელად ქანქაჯიელო,

მოგე ლოგინი, ქვა სასთუმალი.

დედა მერიემი იჯდა შარაზედა, იცინოდა, თქანთქარებდა.

ჩამეიარა იესო ქრისტემა, ჰკითხა:

— რას იცინი, რას თქანთქარებ?

— მას ვიციანი, მას ვთქანთქარებ,

მორჩა ღვთისა ძალითა!

2

სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისათა.

არიანისა მთაზედაო ქრისტემ დაკლა თეთრი ხარი,

იწვია ყოველი სული. მღერმა უთხრა: .

<sup>1</sup> მუნი (მღერი) კანის გადამღები დაავადება იცის ნაწილი გამოწვევა და ძლიერი  
ღრ.

– მე რათ არ მიწვიე?  
– შენ მათ არ გიწვიე, ჩახვალ ადამიანის ტანში  
სისხლის სასმელად, ძვალის სატკევერად, რბილის საჭმელად.  
– არა, მაშამ იცის და ძემ იცის,  
არ ჩავიდე ადამიანის ტანში  
არც სისხლის სასმელად, არც ძვალის სატკევერად,  
აკვავებები ვარდივით, გავხმები ქერის ფხასავით,  
ჩამოვცვინდები ქერის ქატოსავით.  
ღმერთო, არგე ლოცვა ესე ჩვენი. ამინ!

(ამ დროს წაუსვამენ გოგირდს, მარჯიმუშეს (თაგვის შაქარს) და ხე  
ბალახის წამლებს, დანაყილს და ძმარში მოზეფილს).

### 3

იჯდა დედა მარიამ ოქროსა ტახტსა.  
მოდოდა იესო ქრისტე. ჰკითხა:  
– რას სტირი, დედა მარიამ?  
– მას ესტირი, მუნი მასხია, ქეცი მჭამს.  
რა არის ამის წამალი?  
– ღოღო, ღოღონცოფას ძირი  
წმინთხარე ჩხირითა, შეულოცე რკინითა,  
შაბათის კარაქითა და გოგირდითა.  
იცხე, იხახუნე, გახმება ქერის ქატოსავითა,  
ჩამოცვივა ცხენის ჩონჩორივითა.

### 4

ღირღიტა ხენიდა ყანასა ალავერდის ჭალასა,  
მგელეები ება ხარადა, გველები ამყმუარადა.  
გახტა მგელი, გაწყდა გველი,  
გვართ ამოვარდა ბღერი.  
მითხარი, თვარა არ გაგიშობ,  
მამა, ძემ და სულმა წმინდამ, ჩემი წამალი.  
შემცხე კლავსა ღორისა ფილი გორგინდი,  
გაკვარდები თვალსა წამისას.  
ვაი, რა ვთქვი თავისა ჭირი,  
თავისა გასაქარებელი!

5

მუნი ხნაედა ყანასაო ყანა-ნაფუძარასაო.  
მგელი ება ხარათაო, გველი აპეურათაო.  
გასკდა მგელი, გაწყდა გველი,  
ღმერთო, ამოაგდე მუნი გვარადაო!

—  
(იმ  
—  
ბც

6

მღიერი ხნაედა ყანასა უდაბურისა ჭალასა,  
მგელი ება ხარადა, გველი აპეურადა.  
გახტა მგელი, გაწყდა გველი,  
ამოვარდეს მღიერის ძირი და ფესვი!

ბც  
ხნ  
პნ  
პნ  
ნქ  
ნე)  
ძქ

(შელოცვა სრულდება სამჯერ შეტარიანი ღანთა და ნახშირით).

7

აპა, ღიერო, ღიერო, უთვისტომო და შიერო!  
წამალს შაგისომ ისეთსა, რო გადახვიდო ჭიშკარსა.  
დილას ადრე გეიპარე, ნულა გეიკითხვე წასვლასა,  
უტიე ჩემს . . . . ., მიეცი ძილი ნებისა.

ღი  
უნ  
—  
ბ

(ღორის ქონსა და გოგირდს აურევენ ერთმანეთში, აადუღებენ, წავსებაჲნ ტუკიან ადგილას და სამჯერ იმეორებენ შელოცვის ტექსტს).

ნ

8

ეროსანი, მეროსანი, უსახლკარო ხაროსანი,  
ფჩხილზე ტყავი აღარ შემრჩა, ვერ გუუთიე ფხანასა,  
შაფათ დილამდე მაცალე, დანას ვიშოვ ლება სირსა,  
ამოვხრაკაე წვერსა, ამუართვამ ძირსა,  
გავაქარებ ქარსავენ, გავაწყალებ წყალსავენ!

კი  
ქი  
ა

1 იტვიან ავადმყოფის სახელს.

# სენცეცხლასი<sup>1</sup>

1.

სენცეცხლა ხნაედა ყანასაო ხოდაბუნისა ჭალასაო,  
მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა.  
გასკდა მგელი, გაწყდა გველი,  
ამოვარდა სენცეცხლა თავის ძირფესვიანად!

(შელოცვას სამჯერ იტყვიან, თან ნახშირით შემოხაზავენ სენცეცხლას ადგილს.)

2

სენცეცხლათა ყანა მომკეს უალაგო ალაგასა.  
გველი ება ხარადა, პსლიკვი აპეურადა.  
გაწყდა პსლიკვი, გასკდა გველი,  
ამოვარდა სენცეცხლას ძირი!

3

უღლითა მარტუღლითა  
მგელი შეება ხარადა, გველი აპეურადა.  
გაწყდა გველი, გასკდა მგელიო,  
ამოვარდა სენცეცხლას ძირიო



<sup>1</sup> სენცეცხლა კანის დაბრუნება. იწვევს კანის ქვირტს და წყალს და კანს აწვლულებს.

# თვალის დაავადებებისა

## თვალის ტკივილისა

1

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
შაულოცამ თვალისასა, თვალისა, თვალი ტკივილისას,  
დაჟეჟილისას, ლურსმისას და ბანდისას.  
ივანე და გორგოთელა მალლა მთაში ბურთაობდა,  
ბურთი გადკრა, თვალში მოეხედა, თვალი სისხლად გადაექცა.  
– რა არი იმი წამალი?  
– სამ დილად შაულოცე სამჯერ  
წითელი ძაფითა და ნემსით, სამყურა ბალახით.  
ივანიკად კარებზედა სამი მტრედი შამამჯდარა:  
ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი.  
თეთრი გაფრინდა, წითელი გაფევა,  
დარჩა შავი მშვიდობითა.  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

(წითელ ძაფს ააგებენ ნემსზე და შელოცვის დამთავრების შემდეგ აკადმუოვს მკულზე დააბნევენ სამყურა ბალახს. ეს შელოცვა სრულდება თვალის ყოველგვარი დაავადებისას).

2

სახელო სახელითა, სამჯერ სახელო ღვთისაო.  
ივანე და ბურბუშელა კალოზედა ბურთაობდნენ.  
ახტა ბურთი, თვალში ეცა,  
თვალი სისხლად გადაექცა.  
ჰკითხეს დედა მარიამსა: – რა არის იმის წამალი?  
– სამჯერ გადაჰკრავს ლახვის ნემსსა,  
შეუგდებს ზემო ნიაგსა, გაატანს ქვემო ნიაგსა,

მიიტანს ზღვის პირას, გაშლის წყლის პირას.  
სამჯერ შეუბერავს, სამჯერ მიაფურთხებს.

### 3

სახელითა მამითა, ღითა, ღეთითა, ძმითა.  
ახორია, მახორია, თვალს ნახორი ჩავარდნია.  
ჩავასხამ ვაჟის ნახორს რძესა, ამოუგდებ ძირსა.  
სატკივარო, გადაიარე, ბრძანება არის ღეთისა!  
— ჩადი, მარიამ, ბალში, მოწიკვე სამი სამყური,  
მიკიდე ოჯინჯალასა.  
— მიკვიდე სამი სამყური ოჯინჯალასა.  
იგი ღრებოდა, იგი ქრებოდა,  
ამ ბავშვის თვალის ტკივილი ქრებოდა!

(შულოცვის დამთავრების შემდეგ მოხარულ კვერცხს შუაზე ჰრიან და თბილად ადებენ მტკივან თვალებზე).

## დაჟეჟილისა

### 1

— მარიავ, რას ტირი, რას ჩივი, რას გოდგოდებ!  
— რავარ არ უტირი, რავარ არ ვჩივი, რავარ არ კვოდგოდებ!  
ჩემი შვილი ურიეს ქორწილზე წოლია,  
თვალზე ბურთი მოხდენია, თვალი ატკენია.  
— იმის წამალი: ფოლადი ღემსი, ყირმიზა ძაფი,  
აჭვიდე თავსა, უშველის თვალსა.

### 2

შაულოცამ დაჟეჟილისასა თვალისას.  
ივანე და ბურბუშელა ერთ კალოზე ბურთაობდნენ.  
ბურთი გაეკრა, თვალში ეცა, თვალი სისხლად გედვექცა.  
ივანეანთ კალოზედა სამი მტრედი შამამჯდარა:  
ერთი შავი, ერთი წითელი, ერთი თეთრი.  
გაფრინდა წითელი, გაეყვა თეთრი, დარჩა შავი მშვიდობითა! .



# თვალში ჩაეარდნილისა

1

სახელი სახელითა ღვთისა, მამისათა.

— დედაო მარიამ, რას ტირი, რას ყვივი,  
რას შემოგიწყვია თავზე ხელი?

— რაეა რას ვტირი, რაეა რას ვყვივი,  
რაეა რას შემომიწყვია თავზე ხელი!  
თვალი ტკიოდა ძესა ჩემსა ქრისტესა.

— ნურც ტირი, ნურც ყვივი, ნურც შემოგიწყვია თავზე ხელი.

ჩადი ბახჩას, მოწიკვე სამი სამყურე,  
ამოუსვი თვალსა, გავარდება ნალსა, ნახურსა.

ღვინო იდგა ტპათა, შით იდგა სამი ფრინველი:

წითელი, ყვითელი და ღურჯი.

წითელმა წითელი წვილო, ყვითელმა — ყვითელი, ღურჯმა — ღურჯი,  
დატია შაეი თვალი წმინდათა.

ფუი, ღმერთო, გააქრე ამის თვალში ჩაეარდნილი!

(შელოცვის დაწყებამდე მოიმარაგებენ დოქით შავ ღვინოს, სამ კენიტ მარილს და სამ სამყურას ფოთოლს. შეულოცავენ სამჯერ. ყოველი შელოცვისას აეადმყოფის თვალის ირგვლივ ატარებენ სამყურას ფოთოლს და შელოცვის დაშთავრების შემდეგ ერთ კენიტ მარილს ღვინოში აგდებენ).

2

იერუსალიმის თავზე ორი მარგალიტი იჯდა.

შითა დიდი ფიცი იდგა. მოვიდა ხუთი ფრინველი:

თეთრმა თეთრი აიღო, წითელმა წითელი აიღო,  
ყვითელმა ყვითელი აიღო, მწვანემ მწვანე აიღო,  
ღურჯმა ღურჯი აიღო, შაეი დარჩა სამშვიდობოდ.

როგორც ეს ნატეხი მარილი წყალში დადნეს,  
ისე გადნეს, თვალში რაც იდგა.

3

.....! სახლში მივდიოდი,

---

1 იტყვიან საკუთარ სახელს.

თვალში რაცხა ჩამივარდა.  
სამი თითი ამოვისვი,  
იმავე წუთში ამოვარდა.

(თვალში რაიმეს ჩაგარდნის დროს ამოისვამენ სამ თითს და ამ შელოცვას იტყვიან).

4

თავის დღეში არ გაგონილა,  
გველს რომ უღელი სდგომოდა და აღმართი ეხნა.  
— ცირა, ყაჭი მოგაბარე და რა უყავი?  
— დამეკარგა.  
— ფუი, ისე დაკარგე, თვალში თუ რამე ძეგს!

(შელოცვის დროს შემლოცველს ხელში უჭირავს მარილი და შელოცვის დამთავრების შემდეგ მარილს წვალში ყრის).

## ბეწვისა

1

ადაზეო, მადაზეო, ბეწვეო, გამოი ფაჭაზეო.<sup>1</sup>  
გაგიყვან და გათამაშებ გაღმა კორდის ბალახზეო.  
ისილი, ბისილა, ღიჭინა კელი ათაბაკურა, ისე, ისე ნეკებურა.  
ძვალში ხარ, ბილში გამოი, ბილში ხარ, ტყავეში გამოი,  
ტყავეში ხარ, გარში გამოი, გამოი და გამოეფინე!

(შელოცვა სრულდება შეიღჯერ).

2

სახელითა ზეთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა. ლოცვა ბეწვისა.  
ასაზე, მასაზე, ბეწვეო, გამოი ფაჭაზე!  
თეთრი თუ ხარ, თეთრად გამოი, შავი თუ ხარ, შავად გამოი,

---

<sup>1</sup> ხის სოკო (გამოხარშული).

წითელი თუ ხარ, წითლად გამოი, ძვალში თუ ხარ, რბილში გამოი, რბილში თუ ხარ, ტყაეში გამოი, ტყაეში თუ ხარ, კარში გამოი. გამოდი, გამოეფინე ამ მუხის ფაჭაზე!

3

ანი იყო, ბანი იყო, ბანის ზევით ნავი იყო.  
ნავის ზევით საყდარია. ადე, ქალო, მომიტანე  
კამა და კამის ძირი, ამოაგდე ბეწვის ძირი!

## ლურსმანასი

1

ფალავანი მოდიოდა, ბურთსა მოათამაშებდა.  
ბურთი შეხტა, თვალში მეცა, თვალი სისხლად გადამექცა.  
რა არის ამის წამალი?  
ხელეურში თავთავი, თავთავში მარცვალი.  
ჩვენ ეზოში შემოფრინდა სამი მტრედი:  
ერთი თეთრი, ერთი შავი, ერთი წითელი.  
გაფრინდა წითელი, გაიყვა თეთრი,  
დარჩა შავი მშვიდობითა!

2

ხოდაბუნი ხოდაბუნზე, ათეული ათეულზე.  
ძნა ძნაში, ულო ულოში.  
ჩამოვარდა მარცვალი, ჩაუვარდა თვალში,  
ჩაიტანა ლურსმანა.<sup>1</sup>  
ღმერთო, შენ არგე ჩემი ლოცვა . . . .ს!<sup>2</sup>

---

1 „ლურსმანა“ თვალის ერთ-ერთი დაავადების ხალხური სახელია, ავადმყოფს თვალი უწითლდება სიგრიძე ზოლად.

2 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

# ლიბრისა

1

თეთრი ქორი შეჯდა ხესა ხმელსა.  
ევედი უხელოდ, უფეხოდ,  
ჩამოვედი უთვალოდ,  
შეგჭამე უპიროდ.  
ისე შენ გაგიხარია, თეთრო,  
როგორც ეს იყოს მართალი!

(შეულოცავენ თვალზე ლიბრის გადაკერის დროს ბაღასხს ხელუკუღმა შეაყრიან მარილს და მოგლეჯენ).

2

სამი მტრედი გადმოფრინდა  
იალბუზის მთიდანა.  
დაფრინდნენ ზღვისა პირას,  
გადავიდნენ ამის თვალზე,  
თეთრი დარჩეს სალად!

3

ლოცვა უნდა ფრჩხილასა,  
კიფორჩხალასა და ნალურსმალასა.  
დედა მარიამ ღვთისმშობელო,  
შენ დასწერე კუარიო!  
— რა არის მაგის წამალი?  
— ცხრა პურის მარცვალი,  
ცხრაჯერ შელოცვაი.

(ფრჩხილა ლიბრად ეკერება ადამიანს თვალზე; თვალი სივდება და ცრემლი სდის. შეულოცვისას ხორბლის ცხრა მარცვალს სამჯერ დათვლიან და წყლიან ჯაშში ყრიან. შეულოცავენ დღეში სამჯერ და ნალოც წყალს აუადმყოფს თვალეში შესხამენ).

4

შეგილოცავ ფრჩხილისასა.  
ზღვაში — ურემი, ურემში — ძნა,  
ძნაში — თავთავი, თავთავში — მარცვალი.  
მარცვალს, ჩავარდი წყალშია,  
ფრჩხილს, გაწყალდი თვალშია!  
როგორც მარცვალი ჩავარდება წყალშია,  
ისე ფრჩხილი გაწყალდება თვალშია.

5

ჩვენს ბანს უკან ჭა არის,  
ჭაში შეიდი ძნა არის.  
შვიდ ძნაში შეიდი თავთავი  
და შეიდი მარცვალიც არის.  
მარცვალი ჩავარდა ჭაში,  
ფრჩხილა ჩაჰყვა მარცვალში.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

6

გიორგი და გურგუსალი  
მოედანზე ბურთაობდნენ.  
ბურთი ბურთსა მოხვედროდა,  
თვალზე თეთრი გაჩენოდა.  
რა არის ამი წამალი?  
სამი ძირი სამთითა გაუსვი და გამოუსვი,  
ის არი იმი წამალი.

7

დად მიშველია, დად მიშველია.  
თავის დღეში არ გაგონილა, ზღვაზე ხიდი გადებულიყო,  
არასდროს არ გაგონილა, ცაზე კიბე მიედგათ,  
თავის დღეში არ გაგონილა, თვალზე ბეწვი დებულებოდა.  
ფუი, მიქელ-გაბრიელ, შენ გაუქარვე თვალის ტყვიელი!

(ამ შელოცვას სამეგრელოში „ნაღის“ შელოცვას უწოდებენ. „ნაღი“ თვალის

აეადმყოფობაა, როდესაც ადამიანს თვალის გუგაზე გადაეკერის თეთრი ბისტი და ხელს უშლის მხედველობას. შელოცვის დროს აიღებენ ცხენის ნაღს, რომელსაც გაუყრიან უხმარ ნემსზე აგებულ წითელ ძაფს და ამ ნაღის ერთ-ერთ ნახერეტს აეადმყოფმა უნდა უცქიროს, თან შეულოცავენ).

## ჯიბლიბოსი<sup>1</sup>

1

ქშა, ქშა, მამალო,<sup>2</sup>

მე უმწეობისაგან შევირთე ამუას შვილიშვილი.

შენ რად ამოხვედი თვალების წამწამებს შუა?

(პირველი და ბოლო სტრიქონების წარმოთქმისას მთქმელი კაბის კალთით თითქოს სდევნის „თვალის მამალს.“)

2

ქერა-ქერავ<sup>3</sup>, ქერა-ქერავ, რასა ელავ, რასა წითლობ,

რას ლელავ ზღვასავეთა, რას დაქრი ქარსავეთა,

რას ამოგდის თვალზე წეწა.

ქერა-ქერა ჩაქრა, ქერა-ქერა ჩაქრა.

3

ჯიბლიბოს, ანუ კუკუს შემლოცვის რიტუალი: აეადმყოფი მიდის შემლოცველთან და თვალს ურევენებს. შემლოცველს შიშველი ბრინჯის შვიდი მარცვალი და ჭიქა წყალი; ჭიქა შიშველი აეადმყოფის თვალთან და ულოცავს. შემლოცვის ყოველ თქმასზე ბრინჯის თითო მარცვალს აგდებს წყალში. თუ წყლიდან ბუშტები ამოდის, აეადმყოფობაც ასევე გამოვა და „ქუქუც“ მალე მორჩება. როცა შემლოცველი ბრინჯის ყველა მარცვალს ჩაყრის წყალში, ჭიქას აბლევს აეადმყოფს, რომელმაც ეს წყალი თავის ზურგს უკან უნდა გადააქციოს.

1 ნამწამთა ძირების ჩირქოვანი ანთება.

2 ჯიბლიბოს „თვალის მამალსაც“ უწოდებენ.

3 აჭარაში ჯიბლიბოს „ქერა-ქერას“ უძახიან.

# დამწვრისა

1

ელი ელაედა, მელი მელაედა,  
ზღვა შოშინობდა, ზღვა ფოფინობდა.  
წითელ ხუცესსა წითელი ხარები მოჰყავდნენ  
წითელი სახენელი უღელით.  
წინ იესო ქრისტე შემოეყარა:  
– სად მიხვალ, წითელო ხუცესო?  
– ზღვის სახნაეად და ქვიშის სათესადო.  
– როგორ შეიძლება ზღვა ხნული, ქვიშა თესული,  
მესამე დღეს იქით დამწვარი გამნელებული?!

2

წითელ ხუცესსა წითელი ხარი შეება.  
გაიარა ქრისტე ღმერთმა, ჰკითხა:  
– ხუცესო, რასა ხნამ და რასა სთესამ?  
– კლდესა და ქვასა ვთესამ.  
დამწვარო, ასე შენ იხარე,  
როგორც კლდეში ქვიშამ იხაროს!

3

კაცი იძახის ტყითაო:  
– ხარი მომგვარეთ ზღვითაო,  
ზღვა უნდა ვხნა, ქვიშა ვთესო.  
– ვის უნახავს ზღვა ხნული, ქვიშა თესული,  
დამწვარი გამნელებული?!

ვის უნახავს დამწვარი თაეკვე წასული?  
მალლა უნდა წამოვიდეს!

მე გილოცავ, ჯვარსა გწერ!

4

სახელითა მხითითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა რისა? – მომწვარისა.

წითელ პარასკევს წითელი ხუცესი ქვას ხნიდა, ქვიშას თესვიდა.

ვის მოსტრია ქვა ხნული, ქვიშა თესული,

მომწვარი გაძნელებული, ტკეფნი ზეით ასული?!

სიმწარე გარ გამოსული!

5

წითელი კაცი, წითელი ყანა,

წითელ თესლ სთესავდა,

ურწყვად შავი უყვერავი ხარი ება.

ვის თქმია, ვის გაუგონია

ქვა ხნული, ქვიშა თესული?!

მომწვარი გაძნელებული. ფუ!...

6

წითელ ხუცესსაო ხარი გეებაო.

– რას ხნამდაო?

– ზღვას ხნამდაო, ქვიშას თესამდაო.

– ვინ გეიგონაო ზღვა ნახნაეი და ქვიშა ნათესიო?!

(მესამე დღეს იქით დამწვარი გამოწელებდა).

7

ელი ელამდა, ზღვა შიშინობდა,

ზღვისა პირასა წითელი ხუცესი იყო,

ება წითელი ხარები, ხნემდა და თესამდა.

– წითელო ხუცესო, ვინ გეიგონა ზღვა ხნული, ქვიშა თესული,

დამწვარი მესამე დღეს იქით გაძნელებულიო?!

(ავადმყოფს საბუჯერ შეულოცავენ და დამწვარ ადგილზე უსვამენ ნიგოზს ან ზეთს).



8

ელი ელაედა, ქეიშა ლელაედა, ზღვა ფოფინებდა.  
წითელ ხუცესს ხარი გაება,  
ზღვას ხნაედა, ქეიშას სთესაედა.  
ვის გაგონია, ვის მოსწრია  
ზღვა ხნული, ქეიშა თესული,  
სამ ღღეს იქით დამწვარი გამნელებული?!

9

სული ელაედა, გული ლელაედა, ზღვა ფოფინებდა.  
წითელ ხუცესსა ხარი გაება.  
ვის უნახავს ქეიშა სახნავი, ზეთ ყანა სათესი,  
სამი ღღის შემდეგ დამწვარი გამნელებული, ლეჩაქი დაკერებული?!

10

ახალ სახელო ხთისაო, სახელი იქმნა ღთისგნითაო.  
ელი ელაედა, ზღვა ბიბინებდა,  
ზღვისა პირასა ხუცესი ხნაედა.  
ესა ეინა თქო, ქვა ხნულა, ქეიშა თესულა,  
იმაზე პური ამოსულა?!გველის უღელი, ფსვენის ტაბიკი,  
ვინ ნახა, რომ დამწვარი ქოით წასულა?!ლოცვა ჩემი, რგება ღთისა,  
ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

(შელოცვის დროს დამწვარს ფრთით წაუსვამენ კირის წყალს და შემდეგ  
ითუნის ზეთს წასცხებენ).

11

ელო ელენთა, მელი მელენთა.  
ზღვა შოშინობდა, ზღვა ფოფინობდა.  
ზღვისა პირასა კარავი იდგა.  
კარავში ქალი იჯდა, ზარა ეხურა.  
ზარას აეწიე, სამი ვაკოცე.  
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,

ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერა.

– ვის გაკუგზავნოთ?

– დავით ნეფესა.

დავით ნეფემ გამოუგზავნა თავხა ატლასი.

– რით გავრეცხოთ?

– ეერცხლის წყლითა.

– რით გავაშროთ?

– ნიაგ-ქართა.

## 12

ელი ელობდა, მელი მელობდა,  
ზღვა შიშინებდა, ზღვა ფიფინებდა.

ლეფი ნახო, ზეფის კიო,

ეს ბზესა, ფიქნასა, ქვიშასა,

დამწვარსა, დახრუკულსა

ფუ, სამ დღეს იქით, ფუ, სამ დღეს იქით!

## 13

ელი ელობდა, მელი მელობდა,

წითელ ხუცესსა ხარი გაება,

ზღვას ხნაედა,

ქვიშას სთესავდა.

ხმიანობდა და მღეროდა,

ყველა ემორჩილებოდა.

ვინ გაიგონა, მესამე დღეს იქით

დამწვარი გაძნელებულიყოს?!

დატკბი და დაამდი! ამინ!



# მუცლის წახდენისა

1

სახელითა ღვთითა, მამითა და ძითა.

ეფრემისა წყაროზედა დედა-შვილი მიდიოდა.

დედას შვილმა ზრუნი სთხოვა, არ მისცა და არც ათხოვა.

ანი დადგა, ბანი დადგა, ზღვა დადგა, წყალი დადგა, წისქვილი დადგა.

მე რომ შვილი მოგაბარე, ეს იმ დრომდე შემინახე.

ნუცა დედას აზარალე, ნუცა შვილსა აზარალე.

ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, დიდება შენი!

2

ალე, მალე, სალანდოლე.

ეფრემისა ხიდესა დედასა შვილი მისდევდა.

შვილმა დედას ძუძუ მოსთხოვა.

მისი ცოდვით აინ დადგა, მაინ დადგა,

ხე დადგა და დამაგრდა, შეამკო და შეამაგრა.

უბე უბესთან იჯდა და უკუდადგა მის ბუდესა.

შვილმა დედას სთხოვა, დრომდე შემინახეო.

3

ეფრემისა წყაროსა ეფრემ ხიდი ეგებოდა,

დედა-შვილი შედგებოდა. დედა წვიქტა, შვილი მოიგო.

შვილო, ნუ გეშინია წახდენისა, გაფუჭებისა,

ავისა, გლახისა და ცუდი საქმისა.

ანი იძრა, ბანი იძრა, უძრავე იძრა, ნაძრავე დადგა.

ამ . . . .ის<sup>1</sup> მუცელში დრომდის, ჟამამდის ნაყოფი დარჩა!

---

1 იტყვიან ორსული ქალის ან მამკ ძროხის სახელს.

4

ეფრემის ხიდზე ცოდვის წყალი იდგა.

მოვიდა სამი ურია:

— ან მომყიდე, ან მომეცი, ან დაარქვი ფასი მაგას!

არა, იცოდეს მამა-ძემ და სულიწმინდამ,

არც მოგყიდო, არცა მოგცე,

იდგეს და იძრეს დროულად „ბოჩოლას“ მუცელში ხბო!

5

სახელითა ღეთისითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდისითა.

ანი იძრა, ბანი იძრა, ნაძრავი იძრა, უძრავი იძრა.

ეფრემისა ხიდზე დედა-შვილი მიდიოდა.

დედამ უთხრა შვილს, უნდა მოგშორდეთ.

— არა, მამამ, ძემ და სულმა წმინდამ,

დრომდი და ჟამამდი ერთხელა უნდა ვიქნეთო!

(შელოცვის დროს მუცელმოშლილს მუცელზე უსვაშენ ხელს. შელოცვა სრულდება სამჯერ).

6

ეფრატისა ხიდზედა, მარიამის წყალზედა დედა-შვილი მოდიოდნენ.

დედამ უთხრა შვილს: — შვილო, ნუ გეშინია!

ანი დადგა, ბანი დადგა, ქვეყანა დადგა,

ეფრატის ხიდი დადგა, მარიამის წყალი დადგა.

დედა-შვილის მუცელში ბავშვი დადგეს დრომდე!

7

დედა-შვილი მოდიოდა ბეთლემისა ხიდზედა.

დედა-შვილმა უქმურობა გამოსთხოვა.

ანი დადგა, ბანი დადგა, თვე დადგა, წყალი დადგა.

დედა-ღეთისა ღეთისმშობელო, შენა გთხოვ, შენ გეხვეწები,

.....ს<sup>1</sup> მუცელში დრომდის მისი შვილი გაჩერდეს.

(შეულოცავენ ნამცხვარზე ან შაქარზე და შეატყვევენ საჭონეს ან ფეხმძიმე

---

1 იტვიან ფეხმძიმე ქალის ან შავი ძროხის სახელს.

8

უძრავი იძრა, ნაძრავი დადგა,  
ბეთლემის ხიდის ქვეშ წყალი დადგა.  
დედა-შვილი მიდიოდნენ ბეთლემისა ხიდზედაო.  
შვილი დედას მიუბრუნდა: — მუჯირადა დამიდექი!  
— მე მუჯირად ვერ დავდგები, წამალს კერეფავ წამლისასა.  
— რაისას?  
— მოგლეჯილისას, მოწყვეტილისას,  
ჩემი . . . . ს<sup>2</sup> მუცელში შვილი დადგეს ღრომლისა!

9

მე და მამიდაჩემი მივალთ ხიდსა.  
დედამ უთხრა შვილსა: — გამობრუნდი ხიდსა!  
სამებისა მთაზედა სამი დანი დევიდოდნენ,  
წამალს ეძებდნენ წამლისასა,  
მოვნებულისასა, მოგდებულისასა.  
თარი იდგა, წყალი იდგა,  
ზედ იმაზე ძროხა იდგა.  
ძროხა, შვილი შეინახე  
ღრომდე, ალომდე, შობის ღრომდე!

(შეულოცავენ მაკე ძროხას, როცა ღროზე ადრე ასტიკვება მუცელი.  
შელოცვისას მუცელზე უსვავენ ხელს).

10

დეიდა და მამიდა კიდობანსა დგამდნენ,  
კიდობანისა თაეზედა დედა-შვილი მიდიოდნენ.  
შვილმა დედას ძუძუ სთხოვა.  
ანი იძრა, ბანი იძრა, წყალი იძრა, ძე იძრა,  
წისქვილი იძრა, უძრავი — ნაძრავი დადგეს ღრომდე!  
შენს მუცელში ბავშვი დადგეს!

1 ხელის ვაზი.

2 იტყვიან ფეხშიმე ქალის ან მაკე ძროხის სახელს.

დედა-შვილი მიდიოდა ასილისის მთაზედა.

დედამ უთხრა შვილსა: — შვილო, მოიცა დრომდინა!

გორი არის გორმაღალი, წყალი არის პერანგული,  
შიდ თარსი ბრუნავს, ქრისტე ხსნის, ეშმაკი ბეჭდავს.

მხსნელმა აჯობა შემკერელსა.

როგორც სიმე-სიდედრი არ გამოდიან ცოდვიდან,  
იხე უდროისითად ეს ყმაწვილი არ გამოვიდეს მუცლიდან.

ლოცვა ჩემი და რგება ღვთისა,

მოხდენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა!

რაც მე არ ვიცოდე და აკლდეს ამ ლოცვას,

წმინდა გიორგი, შენ იყავი შემსრულებელი და მამხდენი.

## 12

სახელი სახელითა. დეიდა-მამიდამ კიდობანი შეკრა-შებეჭდა.

ზღვასა უზღვოსა, გზასა უგზოსა დედა-შვილი მოდიოდა.

შვილმა უთხრა, გამიშვიო.

— არა, დედაშვილობამა, მე შენ არ გაგიშვა,

არ გიხსნა, არ გიშვა ხელიდან!

მისი ცოდვით ანი დადგა, ბანი დადგა, ცა და ქვეყანა დადგა.

ზღვას ხიდი, ცას კიბე, ნუ გეშინიან! მოგდების, მორნების!

ჯორით მაკე ხარ, ჯაჭვით ამბიხარ; ნაძრავი იძრა, უძრავი იძრა,

დრომდი და ალომდი ამ ქალის მუცელში ბოვშვი იძრა და იქავე იდგა.

(შემლოცველს ხელში უჭირავს შაკარი და შელოცვის შემდეგ ამ შაკარს შეაჭმევს ფეხმძიმეს).

## 13

დედა-შვილი მიდიოდნენ დედაბრისა წყაროზედა.

შვილმა უზრუნა დედასა, დედარ არ ეყვა<sup>2</sup> ნებასა.

ცხრა სკივრი მაქვს შეკრული და შებეჭდილი<sup>3</sup>,

იმას ვერ გახსნის მეფე და ვერც მისი დარბაისელი,

სანამ მისით არ გეიხსნება.

1 უთხრა.

2 არ დათამაშდა.

3 „ცხა სკივრი“ სიმბოლურად გამოხატავს ბავშვის ცხრა თვეს მუცელში ყოფნას თუ საჭინელს შეულოცავენ, იტყვიან იმდენ სკივრს, რამდენს ხანსაც გრძელდება მკაცობა.

14

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა შეწყენილისა.

ოფის წყალზე ოფის ხიდი იდო, დედა-შეილი დამჯდარიყო.  
შეილმა დედას მეჯინობა სთხოვა.

ანმა გეიგონა, ანი დადგა; მანმა გეიგონა, მანი დადგა;

ფრინველმა გეიგონა, ფრინველი დადგა;

არფრინველემ გეიგონა, არფრინველე დადგა.

ეწერში მუხა დადგა, ბახჩაში გოლაქინში დადგა.

დროის დრომდი, ვახტის ვახტამდე მუცელში ბალანა დადგა.

15

სახელითა მამისათა და ძისათა წმინდისათა.

ანი იძრა, ბანი იძრა, მცა იძრა, ქვეყანა იძრა,

ოთხი კუთხე მცისა იძრა, ნოეს კიდობანი იძრა,

ოქროს საწნახელი იძრა, წყალი იძრა, წისქვილი იძრა, მიწა იძრა.

ანი დადგა, ბანი დადგა, ცა დადგა, ქვეყანა დადგა,

ოთხი კუთხე ცისა დადგა, ნოეს კიდობანი დადგა,

ოქროს საწნახელი დადგა, წყალი დადგა,

წისქვილი დადგა, ქვეყანა დადგა.

ზეცის კერის ხმა მესმა, ანგელოზი ლოცვად დადგა,

მთის მადლის მეოხებით უძრავი იძრა,

ნაძრავი ყმაწვილი ამ . . . .ს<sup>1</sup> მუცელში დადგა!

16

სახელი სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა შეწყენილისა.

ანი იძრა, მანი იძრა, ცა იძრა, ზღვა იძრა,

მიწა-მოლა იძრა, ციხე-ქალაქი იძრა.

იძრა ზღვაში კიდობანი, იძრა ყველა წმინდის პერანგი.

იძრა ყოველი სული დაბადებული, იძრა და დამაგრდა.

ამ . . . .ს<sup>2</sup> მუცელში დრომდი, ჟამამდი, ბორჯამდი

1 იტყვიან ღუბშიმე ქალის სახელს.

2 იტყვიან ღუბშიმე ქალის ან მაკე ძროხის სახელს.

სასიკეთო, სასიხარულო ბავშვი დამაგრდა,  
ძუძუ პირში დუუმტყიცდა!

## 17

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა შეწყენილისა.

ანი იძრა, მანი იძრა, ეწერში მუხა იძრა, ზღვაში კიდობანი იძრა.

ხეი და მიწა იძრა, ცაი და ქოყანა იძრა.

ბზეი იძრა, თვარე იძრა, ბაღჩას ქინძი იძრა.

ანი დადგა, ბანი დადგა, ზღვაში კიდობანი დადგა.

ხეი და მიწა დადგა, თვარე მის ბუდეში ჩადგა,

ბზეი მის ბუდეში ჩადგა.

ამ ძროხის მუცელში სასიკეთო ხბოი იძრა და დამაგრდა,

იძრა და დამაგრდა, იძრა და დამაგრდა!

გადაწერე, ანგელოზო, ჯვარი, გადააეღე შენი თვალი.

მიეცი კარგი ყოფნა, ჯანმრთელობა,

კაი გამრავლება და კაი წველა!

## 18

ანი იძრა, ბანი იძრა, ცა იძრა, ქვეყანა იძრა,

ნაძრავი იძრა, უძრავი იძრა, თავის დროზე დეედგინა.

იღმისა და იღმის ხიდ ქვეშა იღმის წყალი გადიოდა.

დედა-შვილი მოდიოდა, დედას შვილმა იჯრონი მოსთხოვა.

დრომდის სწორა ყოფა იქნეს, სამჯერ ცა იძრა, სამჯერ – ვარსკვლავი:

თავის დროზე ისევ ისე დაემდგინოს.

ცული წვევიდა ტყეში თავის ტარის მოსაჭრელად.

თუ ცულს თავის მოჭრილმა ტარმა არგოს,

ჩემმა შელოცვილმა . . . . ს<sup>1</sup> არგოს.

ჯორი ხარო, ჯორით მაკე ხარო,

თვალთ ნახული ხარო, ჯაჭვით აბიხარო,

მე რომ მოგაბარე, დრომდე შემინახე!

---

1 იტყვიან ფეხშიძე ქალის სახელს.



სახელი სახელითა ხეთითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
 ანი იძრა, მანი იძრა, მთა და გორი იძრა, ზღვა და ხმელეთი იძრა.  
 შვიდი მთა ერთად შეკრული, შემტყიცებული.  
 ღმერთო, უბარს, ღმერთო, უშუარს<sup>1</sup> მუძუ პირში დოუმტყიცე!  
 ამის ჭამელი ქალის მუცელში ბავშვი იძრა და აღარ დაზიანდა.  
 მის ღრომდი, მის ბორჯამდი დადგა და დამაგრდა.  
 დასწერე, ღმერთო, შენი კაი პირჯვარი!

(შეულოცავენ ნიგოზზე, ან პურზე, ან ჭადზე და ან ყველის ნაჭერზე.  
 შეულოცვა სრულდება სამჯერ. შემლოცველი შეიძლება ქალიც იყოს და მამაკაციც).

სახელისა ღეთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმინდისათა.  
 ანი იძრა, ბანი იძრა, განი იძრა, ღონი იძრა,  
 ციხე იძრა, ქალაქი იძრა, ყოველი ნაყოფიერი იძრა,  
 მიწა იძრა, უძრავი იძრა, ნაძრავი დადგა.  
 ონოფრემ ცხენი გააჭენა, მობრუნდა და გაჩერდა.  
 ონოფრე ხიდზე მიდიოდა, მობრუნდა და გაჩერდა.  
 ონოფრე გზაზე მიდიოდა, მობრუნდა და გაჩერდა.  
 ონოფრე საყდარში შევიდა, მობრუნდა და გაჩერდა.  
 სამჯერ წისქვილის ბორბალი მობრუნდა და გაჩერდა.  
 სამჯერ მებრემ წკნელი მოიქნია, მობრუნდა და გაჩერდა.  
 ცხენის მუცელში კვიცი იძრა და დადგა,  
 ძროხის მუცელში ხბო იძრა და დადგა,  
 თხის მუცელში თიკანი იძრა და დადგა,  
 ცხვრის მუცელში კრავი იძრა და დადგა,  
 ქალის მუცელში ბავშვი იძრა და დადგა.  
 ისემც დამდგარხარ,  
 როგორც ოქროს ლანგარზე ოქროს ცხვარი დადგეს!

მე გილოცავ შეწყენილისას.  
 ანი დადგა, მანი დადგა, ხეი დადგა, მიწა დადგა.

1 ფხმძიმეს.

2 უშობელს.

ძრული დადგა, ქვიშათ ადგა, ზღვაი დადგა, ნავე დადგა.  
უძრავი იძრება, ძრული დადგება. მის დრომდი, მის ვახტამდი  
რაც საშობი იყოს, მის მუცელში დადგეს, გამაგრდეს!

## 22

სახელითა ღეთითა, მამითა.

თარძი თასული თაწინდითა, ლოცვა შეწყენილისა.  
ანი იძრა, მანი იძრა, ხე იძრა, მიწა იძრა,  
ქვიშა იძრა, ზღვა იძრა, უძრავი იძრა, ნაძრავი იდგა.  
მე და ჩემმა მეზობელმა მოვიტანეთ საწნახელაი,  
დავჭუნებთ და დავაბით და დავამაგრეთ დროის დრობამდე.  
ამ ქალის მუცელში ბაღანა დააბი, დაამაგრე,  
ძუძუ პირში შეარჩინე!

## 23

ანი დადგა, ბანი დადგა, ხე დადგა, მიწა დადგა.  
ეფრატის ხიდი დადგა, მარიამის წყალი დადგა.  
უძრავი სოფელი აიძრო, აძრული დადგა.  
ამ ჩემ ძროხის<sup>1</sup> მუცელში ხბო დადგეს მის დროდმი!

## 24

ანი იძრა, მანი იძრა, ხმელეთის მოლა იძრა.  
გაბრიელ მთავარანგელოზი ზღვაზე კიდობანს ადგამდა.  
ამ ქალის მუცელში ბავშვი იძრა და დადგა მის დრომდინ!

(შელოცვა სრულდება სამჯერ).

## 25

ადამ დეიბადა, სამი დეიძახა,  
სამმა თავმა წყარომ თავი შეიყარა.  
უძრავი იძრა, ნაძრავი დადგა,  
კლდე და ქვიშა ყველა შეინძრა.  
შვილო, დადექ დედიშენის მუცელში დრომდის, ალომდის.

---

<sup>1</sup> როცა ფეხბძივე ქალს ულოცავენ, იტყვიან: „დედის მუცელში ბოვშვი დადგეს მის დრომდი!“

დრომდე ჩამიბარებია, დროზე ჩამაბარე!

26

სახელითა ღვთითა, მამითა, წმინდითა.  
აღამ ღვიბადა, აღამ გვიზარდა, სამი წყარო ერთად შეიყარა.  
ციხე აშენდა, კოშკი დამაგრდა.  
მაგის მუცელში დრომდე, ბორჯამდე ბავშვი დამაგრდა!

27

აღისასა, მალისასა, მე გილოცავ შეწყენილისასა.  
გთხოვ, უფალო ღმერთო, შენი ძალითა და მადლით  
მიეხმარე ყველა ქალთ მშობიარეს,  
დრომდე რო ყოლოდეს საღი და კარგი შვილი!  
რამამც შეგაწყინა?  
გადახტომამ გაწყინა, მაინც შეწყენილი ხარ,  
წაიქეცი, მაინც შეწყენილი ხარ,  
გლახათ დაჯექი, მაინც შეწყენილი ხარ.  
ინერვიულე, მაინც შეწყენილი ხარ.  
ანი იძრა, ბანი იძრა,  
მიწა იძრა, ცა იძრა,  
ყველა სულიერი და უსულო იძრა,  
იძრა და დადგა, იძრა და დადგა, იძრა და დადგა.  
ამ ჩემი . . . .<sup>1</sup> მუცელში  
კარგი . . . .<sup>2</sup> იძრა და დადგა,  
იძრა და დადგა, იძრა და დადგა!  
ღმერთო, მომიწყვე ხელი,  
არგე ლოცვა-მადლი ჩემი,  
გადასახე ჯვარი შენი!  
აღისასა, მალისასა, მე გილოცავ შეწყენილისასა.  
ანი იძრა, ბანი იძრა,  
მიწა იძრა, ცა იძრა,  
ყველა სულიერი და უსულო იძრა,  
იძრა და დადგა, იძრა და დადგა, იძრა და დადგა!

1 იტყვიან ფეხშიმე ქალის ან მკაც საქონლის სახელს.

2 თუ ძროხას ულოცავენ, იტყვიან: „ხბო“ თუ ქალს — „ბავშვი“.

ამ ჩემი . . . .ის<sup>1</sup> მუცელში  
დრომდი . . . .<sup>2</sup> იძრა და დადგა,  
იძრა და დადგა, იძრა და დადგა!  
დიდო ღმერთო, არგე ლოცვა-მადლი ჩემი,  
გადასახე ჯვარი შენი!  
ამინ!

(შეულოცავენ როგორც ფეხშიძე ქალს, ისე მაკე საჭონელს. შემლოცველს ხელში უჭირავს პური ან ნიგოზი და იმაზე ულოცავს სამჯერ, შემდეგ კი აუადმუოფს შეაჭმევს. თუ მაგარი შეწყენილია, სამჯერ შეულოცავენ (დილას, საღამოს და მეორე დილას).



1 იტყვიან ფეხშიძე ქალის ან მაკე საჭონელის სახელს.

2 თუ ძროხას ულოცავენ, იტყვიან „ხბო“, თუ ქალს — „პაემვი“.

# წყლისასი (კუისა)

1

სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ანი იძრა, ბანი იძრა, ნავის პირზე ქალი იჯდა.  
ადე, ქალო, მამიტანე კალამი<sup>1</sup> და მისი ძირი!  
აუალ ზეცას, კკითხავ დედას, ჩამოყერი ტელუის ძირასა.  
სამნი ძმანები არიან, სამივე გუგუნახები,  
ერთსა ქვია გუგუნახი, მეორესა – კუკუნახი,  
მესამესა წამწამისა, წყლისა ხარ და გაპარვისა!  
წყალო წყლისა, საბარცხალო ბზისა,  
გაქრე და გეიპარე, ბძანებაა ღვთისა!

(მთქმელის განმარტებით, „წყლისა“ ტუბუს წყლულია. ავადმყოფს სავარცხელს ან ზღარბის ტყავს უსვამენ ტუბუზე და საშჯერ შეულოცავენ).

2

წყლისა, აღმართო-დაღმართო, ყვაეო, ყვაეის ტურტელო,  
რასა გამძნელებულხარო, რასა გაშავებულხარო,  
რას გაგიშვია ცხვირი ღარულეებ, რას გაგიშვია კლანჭი ქორულეებ,  
წყაში ამომფრინეალე ხარ, იხვი ხარ თუ ყანჩია,  
წყლისა, ქრებოდე, ჭკნებოდე, ბრძანება არი ღვთისაო!

(ავადმყოფს ტუბუზე უსვამენ სავარცხელს და საშჯერ შეულოცავენ).

3

ანი იძრა, ბანი იძრა, წყალთა შუა ნავი იდგა.  
ნავის უკან სახტარია, სახტარხ უკან ქალი იჯდა.  
ადე, ქალო, მომიტანე კალამი და კალმის ტარი,

---

1 სარეველა ბალახია.



აეალ ზეტას, კკითხავ დედას, ჩამოვიტან ჩანგალს, ჩუნგალს,  
დაკკრამ ჩქიფსა, ვადენ სისხლსა!  
დასწყველოს წმინდა გიორგიმ, გაიპაროს წყლისა!

4

წყლისა აღმართო, დაღმართო, შენ შავო ღორო კუკურახო,  
რას წამომჯღარხარ შავ ჯირკსა, რას წამოგისხავს შავი ნაბადი.  
აეალ ზეტასა, კკითხავ დედასა, ჩამოვიტან პირშავ-პირკოტია დანასა.  
საბარცხალო ბზისა, გაიპაროს წყლისა.  
სამნი ძმანი იყენენ: ერთსა ერქვა კოკორახნი, მეორესა-ჩოჩორახნი,  
მესამესა — თვალ-წარბისა, წყლისა არის გაპარვისა.

5

ანი იძრა, ბანი იძრა, წყალთა შუა ნაეი იდგა, ნაეის პირას ქალი იჯდა.  
ადე, ქალო, მომიტანე კალამი და კალმის ძირი,  
აეალ ზეტას, კკითხავ დედას, ჩამოვიტან ჩანგალს,  
ჩაკკრამ წყალში, გაეაქრობ წყლისას ამ ძროხის ჯიქანში.  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი და გადაავლე შენი მოწყალების თვალი!

6

ანი იძრა, ბანი იძრა, წყალთაშუა ქალი იჯდა.  
ადე, ქალო, მომიტანე კალამი და საწერავი.  
აეალ ზეტას, კეტყვი დედას, ჩამოვიტან ჩანგალ-ჩუნგალს.  
დაკკრავ წყლისას, წყლისას გამპარავისას!  
საბარცხალი ზისა, გაჩენილი ღვთითა,  
დაუსვავ და გაქრება, ბრძანება არი ღვთისა!  
საბარცხალი, წყალი, თვალი ღოუსევი ზედ და მორჩება წყლისა.

7

ანი იდგა, ბანი იდგა, ნავში ქალი იჯდა.  
ქალო, ადი, მომიტანე კალამი და კალმის ტარი.  
შეველ ზეტას, კკითხავ დედას, ჩამოვიტან ცისას, გაეაქრობ წყლისას!  
სავარცხალო ბზისა, დედოფალო ღვთისა,  
გოუწყრა წმინდა გიორგი, გეიპარა წყლისა.

## 8

ანი იძრა, ბანი იძრა, წყალთა შუა ნავი იდგა.

ნავის თავზე საყდარი, საყდრის თავზე ქალი იჯდა.

ადე, ქალო, მომიტანე კალამი და კალმის ძირი,

აველ ზეტას, ვკითხავ დედას, მომცემს ჩანგალს,

ჩაკვრავ ამ ტუტეში, ის გააპობს წყლისას.

ოთხი დები მოდიოდნენ: ერთსა ერქვა კოკონახი, მეორესა-კუკუნახი,

მესამესა – თვალწამისა, წყლისა ხარ და გაპარვისა.

## 9

ალი იყო, მალი იყო, საჯავახოს ნავი იყო.

ნავის თავზე – საყდარი, საყდრის თავზე ქალი იჯდა.

ქალმა მითხრა ალაში, ალაში და სალაში.

წაველ ზეტას, ვკითხავ დედას, გადმომიგდებს ჯოხსა ტებრსა.

სავარცხალო ბზისა, განაჩენო ზეთისა.

გაჰკარი და გაიარე . . . .ს ტუტეებში წყლისა!

როგორც მარილი დნებოდეს და ქრებოდეს,

ისე წყლისა დნებოდეს და ქრებოდეს!

(შელოცვის დროს საჭიროა წყალი და მარილი. ყოველ გამოღოცვაზე წყალში  
რიან მარღოს. შეულოცავენ საბჯერ. შელოცვისას ავადმყოფს ტუტეზე უსვამენ  
სავარცხელს).

## 10

საბარცხალო ბზისა, სამართალო ზეთისა.

ადე, გოგო მარიამო, წადი ზეტასა, კითხე დედასა.

მოგცემ ნებასა, წამოვიღებ დანასა და ჩქიფას.

დაკვრამ ჩქიფსა, გეიპაროს წყლისა.

(მთქმელის განმარტებით, წყლისა ძროხის ცურის გაქვევებაა. შელოცვის  
დროს ცურზე უსვამენ უხმარ სავარცხელს).

---

1 იტყვიან ავადმყოფი ქალის სახელს.



11

ჭეო-ჭეო ჭეჭერახო,  
ყვაყვის თავო კოკორახო,  
რას შემომჯდარხარ შავ ჯირკვსა,  
რას ჩაგიცვია შავი მუზარა?  
ავაღ ზეცას, ვეტყვი დედას,  
ჩამოვიტან ბჟოლის ტყუას.  
აუქნი ანითა, ბანითა,  
შავტარიანი დანითა,  
ბუპითა და საეარცხლითა.  
წყლისა ხარ და გაპარვისა,  
წყლისა ხარ და გაპარვისა,  
წყლისა ხარ და გაპარვისა!

12

აი წყლისაო, წყლისაო, რას ჩამოსულხარ ძირსაო,  
მოგიხურავს შავი ნაბადი, აწუხებ ძუძუმკერდსაო.  
ცხვარი ბლადღეს, კრავი მისიო, სამოცდასამი დღისაო.  
წყლისა ქრებოდეს, ჭკნებოდეს, ბრძანება არის ღვთისაო!

(მთქმელის განმარტებით, ამ შელოცვას ასრულებენ, ძროხას რძე რე რე გაუმრება).

13

წყლისა აღმართო, წყლისა დაღმართო!  
მოდის სამი დანი: ერთსა ქვია ანგელოზი,  
მეორესა — კანკარა,  
მესამეს — გაჭრისა ხარი!

14

სახელი სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
დაკეარ-აკეარ ისარი, ავარბენიე ოსეთი.  
ოსეთმა შექნა ღრიალი, კატა გამოხტა რქიანი,  
კურდღელი ხელთოფიანი.  
მოდიოდა სამი ძმანი: ერთსა ერქვა უუყუნახი,

მეორესა – კუკუნახი, მესამესა – თვალწარბისა,

წყლისა არის გაპარვისა.

მე – მლოცავი, ქრისტე ღმერთი – მლოცავი და მარგებელი!

15

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,

ლოცვა რკუისა.

რკუო, რკუო, კუკურახო,

პირაღმართო, პირჩაღმართო,

ცხენის ფოლო წინწოლოქო,

რასა ელაე მთასავითა,

რასა ქუხაე ზღვასავითა,

რას ირქინები ვერძსავითა,

რას ინჯიქები ტახსავითა,

რას წამომჯდარხარ შავსა ჯირეკსა,

რას წამოგისხამს შავი მაზარა:

ეგერ მოვა მამაშენი,

ეგერ მოვა დედაშენი

ანითა და ბანითაო,

შავტარიან დანითაო.

აგჭრი, დაგჭრი, დაგთიქსნი,

ჩაგაგდებ ქოთანსა რეალისასა,

შეგინთებ ცეცხლსა წუნწუნხასა,

გაგაქროლებ თვალსა წამისასა.

დასწერე, ღმერთო, შენი პატიოსანი ჯვარი

არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება თქვენი!

(მთქმელის განმარტებით, „როცა ქალი იმშობიარებს, იცის ქარების მოძრაობა სარძევე ჯირკვლებში, რომელსაც ეძახიან რკუის ქარებს. რკუ იფიქვია, რაც უნდა“)

16

სახელითა ხვითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა კუისა.

კუე, კუე, კურკუმელო,

პირაღმართო, პირჩაღმართო,

წაღმართო და უკუღმართო,

ჯორის ფეხო, ჩონჩორიკო,  
რას ჩამომჯდარხარ მაღალსა,  
რას წამოგისხამს შავი ნაზარა.  
ახლა მუალ მაქანაი ანაითა, მანაითა,  
შავტარიანი დანაითა.  
აგჭრი, დაგჭრი, ჩაგყრი ქვაბში გვალისასა,  
ცეცხლს მოგინთებ წუპწუპისა,  
გადუღებ და გახარხვარებ,  
მიგიტან ქედსა მაღალსა,  
გაგაქარებ თვალსა წამსა.

## 17

სახელითა ღვთითა, მამითა ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა კუისა.  
კუო, კუო, კუნკურეხო,  
პირაღმართო, პირჩაღმართო,  
ცხენის ფეხო ჩონჩორიკო,  
რას ჩამოსულხარ ამ სახსა,  
რას შამოგირტყაე შავი ფაზარა.  
აგჭრი ამანით, დამანით,  
პირბოროტო, შავი დანით!  
დაგაყრი ცხემლის წისქვილზე,  
დაგაქომ ფქვილსავეთ,  
გაგაქრობ ქარსავეთ,  
გაგადენ წყალსავეთ!

(მთქმელის განმარტებით, ამ შეულოცვას ასრულებენ მაშინ, „ბროხას რომ კუი ჩამოუვა. თბილი წყლით მობანენ ბუბუს და თან შეულოცავენ“).

## 18


კუ, კუ, კურკუმელო, ღობისა ღორღომიტო,  
დათვივით ნუ ებრაგუნები, ყოჩივით ნუ ეჯახები,  
თაგვივით ნუ უშპი, გველივით ნუ იკლაკნი!  
ხელს გამოყოფ, ხელს მოგჭრი,  
ფენს გამოყოფ, ფენს მოგჭრი!  
დაგჭრი, დაგთიბაე შავტარიან დანითა,

ჩაგყრი ქოთანში, გაღულებ, გაწუხებ,  
გიგიტან არსებნ თასა, მიგცემ ქარსა!

19

კუო, კუო, კუნკურახო,  
პირალმართო, პირჩალმართო,  
წალმართო და უკულმართო,  
რას მოსულხარ შავსა როკსა,  
რას მოგიხურავს შავი მაზარა!  
აგჭრი ალითა, მალითა,  
შავტარიანი დანიითა,  
ჩაგღებ ქვაბსა რეალისასა,  
გაგაქრობ თვალსა წამისასა!

(მთქმელის განმარტებით, ამ შელოცვას „იტყოდნენ, ძროხას რომ ბუბუ გაუსიეებოდა — რკუი რომ ექნებოდა“).



## რძის მოსამატებელი

ამოდი და ჩადი,  
ჩემო თბილო ზეო,  
ბალეიან ქალის ძუძუში  
ჩადექი, რძეო!  
ზეო, ზეო, დილა გაამზადეო,  
ძუძუში ჩამდგარო რძეო,  
ბალეი გაზარდეო!



# ბედნიერისა

1

ბედო, ბედო, ბედნიერო, სახეტურფა, მშვენიერო,  
გამოქარდი ქარივითა, გამოწყალდი წყალივითა,  
დაბრძანდი ვარდის ყვავილივითა.

უფალმა დაკლა ერთი ფური, მან მოიწვია ყოველი სული.

ბედნიერმა უთხრა: — მე რად არ მიწვიეო?

უფალმა უთხრა: — ჩასულხარ ამ კაცის ტანში

ძვალის სახრაკად, რბილის საჭმელად, სისხლის სახერეჰად.

— არა, მამამ, მემ, სულმა წმინდამ,

არც ვხრა ძვალი, არც ვჭამო რბილი, არც ვხერეჰო სისხლი.

აედულდებოდე ქოთანვივითა, ჩავცვინდებოდე ქონდარივითა.

ღმერთო, დასწერე შენი ჯვარი და გადააველე შენი მოწყალების თვალ!

(მთქმელის განმარტებით, „ბედნიერი“ არის მუწუკი (გზუკა), რომელღ  
ადამიანს უჩნდება დაუფეილობის დროს“).

2

ახალ სახელო ღვთისაო, სახელი იქნა ხთისგნითა.

ბედო, ბედო, ბედრიანო, თვალად, ტანად მშვენიერო,

რო მოქროდი ქარივითა, მოიფენდი ვერცხლივითა.

თუ ამახველ ცეცხლივითა, დაღბძანდები ვერცხლივითა.

ფეხს მეცო რკინის ქალაბანი, ხელს მეჭვირა ოქროს ყავარჯენი.

ხმელეთი შემოვიარე, ზღვა ჩქვებით გამოვიარე,

მე მაგის წამალი ვერა ვიშოვნე.

ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი: — კაცო, რას ტირი, რას სჩვიო,

რას დაგიხსრია თოლებიო? მაგის წამალი ადვილია:

თეთრი შაქარიო, პირიმზის ბალახიო, გოგრის ყელი, შავი ქათმის ჩივ:

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი . . . . !<sup>1</sup>

(„ბედრიანის“ მუწუკი ადამიანსაც და საქონელსაც უწინდება. გადაღის შხამიანი ბზალახიდან. შუულოცავენ შაქარზე, მერე ამ შაქარს შეაჭმევენ ავადმყოფს და იარაზედაც დააყრიან).

### 3

ახალ სახელო ღვთისაო!

ზღვას იქით ვიყავ, ზღვას აქათ ვიძალეობდი

ხარის ნაჭლიკავერიგა, ცხენის ნაკელფავერიკა,

ხარის ქედს მოეხვედი, ცხენის ფაფარსა,

ვაეკაცის მკლავესა, დედაკაცის ძუძუს.

ქრისტეო ღმერთო, თუ შენ არ მიცნობ, კაცი არ მიცნობს ადამიანი.

მე ვარ ბედით ბედრიანი, თოლად, ტანად მშვენიერი.

გამოდით, მამა, ძემა, სულმა წმინდამა,

თორო დაგცემთ ჩემსა დანასა, პირსა ბოროტისასა,

აგათლი ყურსა და ყელსა, ბაგესა ვარდისასა!

რა არის ამის წამალი?

გოგრის საყელო, ღიკნისა ფქვილი, ვარია ჩემის თაეისა.

(შელოცვას ჰქვია „ხარის ყოვილის შელოცვა“).

### 4

ახალ სახელო ღვთისაო, მამა-ძის, სული წმინდაო.

ბედო ბედნიერო, ტკბილო, გემრიელო,

ტან-ვერცხლო, პირ-ცეცხლო, ხარის ყოილო,

მთით მოვალ, ბარით მოვალ, მოვალ სისხლისა სმითა, ხორცის ჭამითა.

გადავხე მთასა, გადმოვხე მთასა,

ვიძალეობდი ხარის ნაქიჩვარშია, ცხენის ნატერფალშია.

ვერვინა მნახა, ვერვინა მიცნო,

ქრისტე შაბრძანდა მარჯვენა მხარსა.

მე ვარო ბედი ბედნიერის, ტკბილი გემრიელის,

მენვე გასწაველი ჩემსა წამალსა, ჩემსა გამქარ-გამწყალეებელსა:

ქათმისა შვილი ვარია, რძე დაშაქრული, გოგრის ყოილი, ბოსტნის ია.

უი, უი, ეს რა წამომცდა,

<sup>1</sup> იტვიან ავადმყოფის სახელს.

ჩემი გამქარ-გამწყალებელი, ჩემი გამნიავებელი!  
ბედო ბედნიერო, ტკბილო, გემრიელო,  
დატკბი, დაამდი დედის ძუძუსავითა, მამის ხვანჯარივითა!  
თუმცა არ დატკბები, არ დაგემრიელდები,  
გამოქანდი გველივითა, გადიქროლე ქარივითა,  
ჩაიხულე წყალივითა, გადმოგორდი ცერცვივითა!  
ესმეც გერგება ჩემი ლოცვაი,  
როგორც ცას ურო, მერცხალსა ბუდე,  
მომშეულს პური, მოწყურებულს წყალი!

## 5

სახელო სახელითა მამითა და ძითა და სულითა წმინდითა!  
შენ ხარო ბედო-ბედნიერო, ტანად ტურფაო, მშვენიერო,  
ქარისა ქარო მავალო, სირმასაგულიანო, სად დაიბადე, სად დაიარსე  
— თეთრი მთის ძირსა, შავის ზღვის პირსა,  
გამოყვე ქარსა მხვივანსა, მოკვეე წყალსა მდინარსა,  
დავიმალე ცხენის ნატერფალზედა, ხარის ნაჩლიქარზედა.  
აედეგ, ავიდე თავი, დაედეგი თეთრი კარავი,  
დაეუყურე სოფელთა, სოფელ-კარნი აყოედენ, როგორც იანი, ვარდნ:  
ჩაედე, ჩაეუყურე; ვეცი ცხენის ფაფარსა, მაუღე მუხლი მავალი.  
ვეცი ხარს კისერსა, მოვგლიჯე ქედი,  
გაგუტეხე ძვალი, ამოვარიდე ტვინი;  
ვეცი გაუქაცს უღვაშ-კოკორას, ჩამოვთიბე თმა-უღვაში,  
მაუღე მუხლი მავალი;  
ვეცი ქალსა, ჩამოვთიბე თმა და ღილი, ავატირე ქრისტეს დედა მარიამ:  
შაუტია ქრისტემა უფალმა: — რადა სტირი, დედაე მარიამო?!  
— რადა ვსტირი, ქრისტეე უფალო,  
ღვთის ნათლულო, ღვთის ნაკურთხო!  
რა იქნება სიმსივნის, სიმტკივნის წამალი?  
— ავიღებ ოქროს ყავარჯენს, შამაუელი ხმელეთს, ვკითხავ წამალსა  
შაუტია ბედმა ბედნიერმა, ტანად ტურფამ, მშვენიერმა:  
— რას ჰკითხულობ, ქრისტეო უფალო, ჩემს წამალსა,  
სთხოვე ჩემს მარსებელს, ჩემს გამამშვეებელს უფალს.  
ახლა კი ვბრძანებ ჩემს წამალს ჩემის პირით, ქრისტეო უფალო:  
ააყვავონ ჩემნი გზანი ია-ვარდითა, თეთრი ხარით, თეთრის ცხვრით  
ახლა კი ვიყრი ყოილს, ვიწერ ჯვარს, დატკბები და დაემაქრდები:



იყო პირველად ჩემი წამალი გოგრის პირის მზე შაქრით შადეღებული.  
იყო ჩემი წამალი ბადალი ბალახი, ბალბა ბალახი.  
იყო ჩემი წამალი ირმის ხუთო, ირმის წუნკელიო,  
პირის საღბობიო, ფსიტიის კუდიო.  
იყო ჩემი წამალი იფქლის ფქელიო, შაეი ქათმის შეილიო,  
შაქრით შადეღებული მალამო და გაკეთებულიო.  
წითლის ფურის ნაწველი, ბალბა ბალახი,  
კურდღლის ტყავი შაქრით, თაფლით მანანადეღებული.  
დამიღბეს ფეხის ნაღნიო, ვერცხლეული არა რა ყოფილა  
ჩემი საკადრისიო სურიელზედა, ხორციელზედა.  
დავმგზავრდი შაეის ზღვისაკა, თავის მუეფისაკა.  
შამამეყარნენ ტყის მხეცნი, ბაეოტნი;  
შემამაშაღნეს სიკედილის წარბნი,  
შამამზავთეს და გადუქნიე, გამოვაბრუნენ წყეულნიო,  
ვიყრი ყოილს, ვიწერ ჯგარს, დაეტკებები, დაეშაქრდებიო.  
არგე და აწამლე, ღმერთო და ჩემო გამშეებელი!

## 6

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.  
შენ ვერ მიცნობ, ქრისტე ღმერთო, სხვა ვინ მიცნობს ხორციელი.  
ბედი ვარ ბედნიერი, სახლმშენიერი.  
ბეთლემს ნამყოფი ვარო, ედემს გაზდილი,  
მოვედები ვერცხლივითა, გამოვეწვი ცეცხლივითა,  
მოვბლავი ბატკანივითა, მოკაკანებ ქათამივითა.  
ხარს შევეყრები, კისერს წაუხდენ, ფურს შევეყრები, ძუძუს შევაშრობ,  
ვაჟკაც შევტაცებ სისქე-ბარძაყსა, ქალს შევეყრები, ძუძუს შევაშრობ.  
რა არის ჩემი წამალი?  
დიკისა ფქელი, ქათმის შეილი, აყიროს ყვაეილი.  
ფუ, რა ვთქვი, ჩემი წამალი! შეულოცე შაქრითა.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯგარი!

## 7

ბედნიერო, სახელათ მშენიერო,  
აბძანდა დედა მარიამ კურნელი,  
წაეიდა, იერუსალიმის კარზედა დაჯდა, სტიროდა.  
გამოვიდა ქრისტე ღმერთი, ჰკითხა: – დედაე, რას სტირიო?

– როგორ არ ვიტირო? გამოვიდა, გამორიდა წვევსა მარჯვენასა,  
წვევსა მარცხენასა, რა არის მისი წაძალი?  
თავით შესულხარ, ფეხთით გამოდი,  
ფეხთით შესულხარ, თავით გამოდი,  
თორემ მოვლენ ანგელოზნი ქანიანი, ქანქანიანი,  
რკინის ჯოხითა გაგაქრონ ქარივითა, გაგაწყალონ წყალივითა!  
წაძალი ბედნიერისა გოგორა და შაქარი,  
ქულა წიწილა დაშაქრული, ქინძი დაშაქრული,  
ბალბა, ღუმა, დაშაქრული სულ ყინვარე შაქრით.

## 8

სახელითა ხეთითა, მამითა, ძითა და სულითა წმინდითა.  
სამი დანი დადიან ზღვითა-ზღობამდე,  
ქალაქის – ქალაქობამდე, სოფლის – სოფლამდე.  
დადიან და კრეფენ წამლებს. რისა წამლებს?  
თავი ზნისას, საყმაწვილოსასა,  
ყოველი ფერი ზნისა და ქარსა საყმაწვილოსასა,  
თეთრი ბატონებისასა, შავი ზნისასა,  
წითელი ზნისასა, ლურჯი ზნისასა.  
მოფრინდა თეთრი ქორი თეთრსა ხესა, გააკეთა თეთრი ბუდე,  
დადვა თეთრი კვერცხი, გამოტეხა თეთრი წიწილი,  
გაჰკრა თეთრი ჭვანგი, გეიტანა თეთრი ზნე და თეთრი ქარი.  
ბედაო და ბედნიერო, ტურფაო და მშვენიერო,  
რას მოგორავ ჯირკვივითა, მოხვალ მარგალიტვივითა,  
გაქარდები ქარივითა, გაწყალდები წყალივითა.  
ძვალში ხარ, რბილში გამოდი,  
რბილში ხარ, კანში გამოდი,  
კანში ხარ, კარში გამოდი!  
არ გამოხვალ ნებითა, გამოგიყვან ძალითა!  
ლოცვა ჩემი და რგება ღვთისა,  
მოხდენა ყოველი წმინდა ღვთისმშობლისა მადლითა და ძალითა!  
(შელოცვას ეწოდება „ზნის მუწუკის ლოცვა“).

9

ბერო, ბერო, ბედნიერო, შე სახელო მშვენიერო,  
გამო, თორო გამოგიყვან შავი ხარის ყვირილითა,  
შავი კაცის კივილითა, შავი ცხენის ჭყვივილითა,  
შავი მამლის ყივილითა!

ბერო ბედიტა, სახელო ღვითიტა!

– დავიბადე, დავიარსე თეთრისა მთისა ძირსაო, შავისა ზღვისა პირსაო.

გამოე და გამოვგორდი ქალაქს ურმის თვალივითა,  
ვიმაღლებოდი ხარის ნაქიჩვარშია, ცხენის ნატერფალშია.

ხარს ამოუღე კისერი, ქალს ამოუღე თმანია.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა, პირმა დაგლოცოს ხთვისამა!

(შემლოცველი წყალში ჩაყრის შაქარს და ჩადებს დანას. ამ დანით  
შულოცავს სამჯერ).

10

– ბედო, ბედო, ბედნიერო, შე ტურფა და მშვენიერო,  
სად იბადე, სად იზარდე?

– ჯიხვის რქაში დავიბადე, ჯიხვის რქაში გავიზარდე.  
ჩამოვჯდები ვერცხლივითა, ჩავგორდები ცერცვივითა.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

ცული ტყეში წავა, ხეს მოჭრის,  
თავის მოჭრილი ხე ტარად ვყრებაო,  
თქვენი ლოცვა მე რატომ არ მერგებაო?

(შემლოცვას ეწოდება „ციმბირის წყლულის“ ლოცვა).

11

– ბედო, ბედო ბედნიერო, ტურფაო და მშვენიერო,  
სად გაიზარდე, სად დაიბადე?

– ქორის თბოზე დავიბადე, ჯიხვის რქაში გავიზარდე,

– რა არის მაგის წამალი?

– უცეცხლო თაფლი, უწყლო კარაქი და წყლის ბაყაყიო.

(შემლოცვის დროს მუწუკზე წაუსვამენ თაფლსა და ერბოს).

12

ბედო, ბედო, ბედნიერო, ტურფაო და მშვენიერო,  
აგორდები ქვასავითა, მოხვალ მარგალიტვითა.  
სამი და-მმანი დადიოდენ ქალაქის ქალაქამდინა,  
წამალს ეძებდნენ სიმსივნისას, სიტკივნისას,  
ქარზნისას, ქარბედნიერისას,  
წითელი ზნისას, თეთრი ზნისას და ლურჯი ზნისას.  
წინ ედგათ ბატის წელები, ერთი სკვნადა, ერთი ხსნიდა.  
მხსნელმა აჯობა ყველასა. დატკებინან, დაყურდებინან,  
დაამდებინან, დაშაქრდებინან ქალი რძითა და შაქრითა.

(მოქმელის განმარტებით, „ბედნიერი“ („ბზუკა“) ძირმაგარაზე დიდი ზომის მსივნენა. შელოცვის დროს შესიებულ ადგილზე უსვამენ თაფლის სანთელს).

13

– ბედნიერო, ბედნიერო,  
ლამაზო და მშვენიერო,  
საიდან მოხვალ, საით მიდიხარ,  
საით გაგიწევნიაო?  
– მივდივარ ქვეყანაზედაო  
ადამიანის დასახიჩებლადაო,  
რბილის საკმელადაო,  
ძელის სახვრელადაო,  
სისხლის სასმელადაო.

(შელოცვის დამთავრების შემდეგ აიღებენ შაქარს, საბჯერ შემოავლენ ირგვლივ მტკივან ადგილს, შემდეგ დაჟქევენ და დააყრიან მუწუკზე).

14

ბედო, ბედო, ბედნიერო,  
შე ტურფა და შვენიერო,  
რას მოქმუვი ქარივითა,  
რას მოხუვი წყალივითა,  
დაატკებევი შაქარივითა,  
დაალბევი შალბათივითა!

15

– ბედო ბედნიერო,  
თოლ-ტანადად მშვენიერო,  
გამოგორდი კუტივითა,  
გაიშალე ვერცხლივითა.  
რა არის შენი წამალი?  
– რა არის ჩემი წამალი:  
გოგრის ყოვილი, ფქვილი, შაქარი, დიკისა.

16

– ბედო ბედნიერო, სახემშვენიერო, სა მიხვალ?  
– კაცთან, ადამიანთან. სისხლის სასმელათ,  
ბილის საჭმელათ, ძვალის სატეხელათ.  
– რაა მისი წამალი?  
– კაკალი კვერცხის ცილი, ნედლი ხორცი ცხელი  
და პრასის ფურცელი უნდა დაახვიო ზედ.

17

– მე ვარ ბედი ბედნიერი,  
ტურფა, სახემშვენიერი,  
ამოვალ ვერცხლივითა,  
დაეჯდები ცეცხლივითა.  
– რა არის შენი წამალი?  
– წყლის შვილი (ბაყაყი),  
ზღვისა ქათმისა შვილი (წიწილა) დაშაქრული დაადოს.

18

ბედო, ბედო, ბედნიერო,  
სახელითა მშვენიერო.  
რა არის მისი წამალი?  
– კვერცხისა ცილი, ქინძის კაკალი,  
ქათმისი ბურღლა მისი წამალი.

(მოქმედლის განმარტებით, „ბედნიერი“, იგივე „ფუთხუჯი“, გამონაყარია სახეზე.  
ემართებათ ბაუშეებს 1–6 წლის ასაკში).“

სახელითა ღვთისითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ბედო, ბედო, ბედნიერო,

ლამაზო და მშვენიერო,

რა არის შენი წამალი?

– ია და ვარდი, ქალის რძე და შაქარი.

ბატონო ბარბარე, ნუ გეწყინება ჩემი ლოცვა-წამალი!

(შელოცვის დროს მუწუკზე წაუსვამენ ვარდის წიკლს. შემდეგ წითელბაფიან ნემსით გაკვეთენ მუწუკს და ზედ დაადებენ ქალის რძეს, შაქარს და კვანძს ფურცელს. შელოცვა სრულდება სამჯერ).



# ავი ქარებისა

1

უფალმა ხარი დაკლა მათესა და მელიასა.

სატკივარმა სატკივარსა შეუთვალა:

– შენ რათ არ მეწვევი?

– შენ მით არ გეწვევი, შენ შეხვალ კაცისასა

სისხლის სასმელად, ბილის საჭმელად.

არ შეგიშვან კაცისასა, ნუ სვამ სისხლს, ნუ სჭამ ბილს!

გაგიტან ქედს მოგორონყვებს, ამოხვალ ვარდის ყვავსა.

სამი და-ძმანი დადიან ქალაქის ქალაქამდისა.

კრეფენ წამალს თეთრი ქარისა, შავი ქარისა,

წითელი ქარისა, გამოსავალისა, გასაპარავისა.

არა, სულმა წმინდამ, არ შეგიშვა კაცისასა

სისხლის სასმელად, ბილის საჭმელად!

წმინდა მარიამ, ბარბარე, რა ჯიხარ ზეესო.ქვასა,

რას დამერები გველივითა, რას დაქროლავ ქორივითა!

გამოდინდი წყალივითა, გამოქროლდი ქარივითა,

ხეზე შეხვალ ვარდივითა, ჩამოცვინდები ქერი ქატოსავითა!

2

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი, სამებისა ძალისანი.

ვიარებოდით მთის მთამდი, ქალაქის ქალაქამდე.

ვეძებდით წამალს ოჯონისასა, მაჯონისასა,

ჯდომისასა, ჯდომ საყმაწვილოსასა;

ქარისასა, ქართეთორისასა,

ქარისასა, ქარწითელისასა,

ქარისასა, ქარშავისასა.

არსად დაგანებებ ძვალსა სარებად,

არსად დაგანებებ პირსა სარებად.

ძვალში ხარ, რბილში გამოდი,  
მაძებარია შენი სამას სამოცდასამი წმინდა გიორგი,  
დაგაწვენს და დაგარწბილებს!

3

ვიარებოდი ქალაქს, ქალაქის ქალაქს,  
გკრეფდი წამალს, წამლის წამალს ავი ქარისასა, ქარშეევანისას –  
წითელი ქარისას, თეთრი ქარისას, ლურჯი ქარისას.  
გამოდი, დამბადებელს მადლობა,  
თორემ გამოგიყვან ჩემი შავტარიანი დანითა!  
თუ არ გამოხვალ, ჩემი ძალით გამოგიყვან, წმინდის სამების ძალით!  
ქვებს ჩაგაგდებ სინისასა, ცეცხლს აგინთებ ლალისასა! გამო!

4

სახელო, სახელისაო, მამისა; ძისათაო და სულისა წმინდისაო.  
შეგილოცამ წითელი ქარისასა,  
ქარ-სურავანდისასა, ქარ-ცეცხლისასა.  
გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა,  
შენ არ გამოხვალ შენი ნებითა,  
მე გამოგიყვან ჩემი ძალითა.  
აგიყვან მაღლა მაღლისა მთაზედა,  
გაგლეწამ აღმასის კევრითა, შავგვი მელის კულითა,  
გაგანიაკებ გველის ფხითა.  
ზენას აგიგდებ – ქვეყანას წაგაღებინებ,  
ქვეყანას ავიღებ – ზეცას წაგაღებინებ.  
გადაგკარგამ, გადაგქანცავ, არც გესმოდეს მამლის ყივილი,  
არც გესმოდეს გოჭის ჭყივილი, არც გესმოდეს ურმის ჭრიაინი.  
დაგწეროს ლმერთმა თავისი ჯვარი!

5

ჩვენ ვიყავით სამნი დანი სამებისა ძალისანი.  
დეედლიოდით ქალაქსა, ვეძიებდით წამალსა,  
წამალსა წამლისასა, ყოველი თავი ქარისასა:  
ქართეთრისა, ქარშაეისა, ქარწითლისა, ქარმავანლისა,  
კუსა, ჯითაოსა, სიმსივნისა, სატკივისა.



ძველში ხარ, ბილში გამოდი, ბილში ხარ, კანში გამოდი,  
თვარა რაეა გინდა თავის საქმე!  
მევიტან ჩემსა დანასა, პირსა აღმასისასა, ტანსა სპონტიკისა,  
დაგკრავ გულსა, ამოგახტენ სულსა!  
ჩაგაგდებ ქებასა რვალისასა, მოგინთებ ცეცხლსა ნავთისასა!  
მოგხარჩავ ფხალივითა, გაგაქარებ ქარივითა.  
არტვილი, მარტვილი, მოსიოდა გველივით, მობლაოდა ხარივით.  
წინ შამოყყარა მიქელ-გაბრიელი თავარანგელოზი, კითხა:  
— სა მიხვალ, სა მივიხარიაო?  
— ადამიანისას მივალ, სისხლის სასმელად,  
რბილის საქმელად, ძველის სამტროვად!  
— არა, მამაო და სულო წმინდავ, ნურცა უსვამ სისხლს,  
ნურცა უჭამ რბილს, ნურცა უნტროვ ძველს,  
თვარა რაეა გინდა თავის საქმე!  
მევიტან ჩემსა დანასა, პირსა აღმასისასა, ტანსა სპონტიკისა,  
დაგკრავ გულსა, ამოგახტენ სულსა!  
ჩაგაგდებ ქებასა რვალისასა, მოგინთებ ცეცხლსა ნავთისასა!  
მოგხარჩავ ფხალივითა, გაგაქარებ ქარივითა!  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, შეაწიე მადლი შენი!

## 6

მე, წითელი ქარი, მოვდიოდი მინდორზედა,  
მოვხუოდი ქარივითა, მოვგორავდი ცერცვივითა.  
— სად მიხვალ, წითელო ქარო?  
— კაცის ტანშიაო სისხლის სასმელადო,  
ძველის სამტვრეველადო, ტვინის სალოკავედო.  
— არ არის შენი წამალიო?  
— შავი ვარიის ტყავი, ანეცარი დიკისა, ყვაკილი გოგრისაო,  
ის არის ჩემი თავის მამკლავიო.  
— გამოდი, თორემ გამოგიყვან შავი ღორის ჭყვილითა,  
შავი მამლის ყვილითა, შავი ცხენის ხივილითა!  
ჩაგდებ ხევსა, ხეებნელსა,  
დაგცემო დანასაო შავტარიანსაო, პირკოლოფიანსაო!  
ჩაგაგდებ ხევსა ბნელსა,  
შამოგყრი ბერძნულ ხარებსაო, გაგლენწავ, გაგანიავებო.  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

მოვიდა წითელი ქარი. მახოხედა დათვივითა, მაცოცდა მანვივითა,  
წითელი კაბით, წითელი თავშლით, წითელი ჩაქმით.

შაეყარა ქრისტე ღმერთი:

– სად მიხოლ, წითელ ქარო?

– შოლ კაცის ტანში, ხორცს დაეაღნობ, სისხლს დაეაღენ,  
გალოს დაენაყ, ტეინს დაელოკ.

– არ შაგიტევე კაცის ტანში, არ დაგაღნობიებ ხორცსა,

არ დაგაღენიებ სისხლსა, არ დაგანაყიებ გალოსა,

არ დაგალოკიებ ტეინსა!

აგიყენებ აღმას, ჩაგიყენებ დაღმას,

აგჭრი ყელ-ყურს, ჩაგაგდებ ხეეთა-ზეებნელთა.

არ მოგდიოდას ხარის ყვირილი, არ მოგდიოდას ცხენის ჭყვივილი,

არ მოგდიოდას კაცის კივილი, არ მოგდიოდას მამლის ყივილი.

ცულის მოჭრილი ცულის ტარად აეგების,

ჩემი პირის ნათქვამი შენ კარგად შაგერგების!

გამაე, თორემ გამოგიყვან შავის ცხენის ჭყვივილითა,

გამაე, თორემ გამოგიყვან შავი ხარის ყვირილითა,

გამაე, თორე გამოგიყვან შავი ღორის ჟღმუილითა,

გამაე, თორე გამოგიყვან შავი ძაღლის ყმუილითა,

გამაე, თორე გამოგიყვან შავი მამლის ყივილითა,

გამაე, თორე გამოგიყვან შავი გველის წივილითა,

გამაე, თორე გამოგიყვან ღვითთა და ღვთისშობლითა!

– მა რაია შენი წამალი?

– წითელ შაქარი, წითელის ფურის რძეი, ბაღბა ბაღაზი,

ღიკის ფქვილი, ირმის თასმა, თიკნის ტყავზე ენდრო წაყრილი.

გამაე კაცის ტანშივით, დაცხერ-დაჭკნი, გვენდევე ცას, რვალს,

მიწას მყარს, გვენდევე დედის ძუძუს, მამის ხონჯარს.

(შელოცვის დროს ხელში უჭირავთ წითელი შაქარი (ყინვარშაქარი)  
ჟრძნის ნაჭერი).

ახალ სახელო ხთისაო, სახელი იქნა ღთისგნითაო.

გველო წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი,

იმას გამოყვა წითელი ცხენი თავის მორთო-მორთულობითა.

გველო ლურჯი კლდე, გამოვიდა ლურჯი კაცი,

იმას გამოყვა ლურჯი ცხენი თავის მორთო-მორთულობითა.  
გეღო თეთრი კლდე, იმას გამოყვა თეთრი კაცი  
თან გამოყვა თეთრი ცხენი თავის მორთო-მორთულობითა.

ჩაუყარა ეკის კალონი, შარეკნა ასი ურნი ხარნი,  
მიღეწნა-მოღეწნა, მიხენინა-მოხენინა, შანინავნა.

ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი:

– რას სტერი, დედა მარიამ, რას ჩივი, რას დაგითხრია თოღებო,  
მაგის წაძალი ადვილიაო.

ქომოთ ნუ უგდებ ნიაესა, ზემოთ კი ნუ ატანინებო,  
ზემო შაუგდებ ნიაევი, ქომოთკე გაატანინე.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი!

(ამ ქარით დააეადებულს ხორცი უსივდება და სიცხეს აძლევს. წამალს ასე  
აშზადებენ: აიღებენ ხუთაოს (კენჭია) და წყალში გაღესავენ, ნაღეს წყალში  
წითელი ძროხის რძეს გაურევენ, შემდეგ მასში გახსნიან ცოტა შაბსა და პურის  
ფქვილს, სამი კვერცხის ცილასაც მოუმატებენ და ამ სითხეს ნელთბილად  
სიმსივნეზე უსვამენ).

9

ახალ სახელო ღვთისაო, მამისა და ძისაო.

შაგილოცაე ქარისასა, ქარ-სურავანდისასა,  
წითელ ქარისასა, თეთრი ქარისასა.

გამოდი, გამონიაედი, თუ არა, მოვლენ ანგელოზები,  
გაგაქანებენ ქარივითა, გაგაწყალებენ წყალივითა,

ჩაგაგდებენ ხეეში, ხეე-ხრატში,

შეგჭამს ყვაევი და ყორანი, ჭიანჭველა ბოლოფრთიანი!

გაქრა, გაიარა!

(შელოცვის დროს სიმსივნეზე უსვამენ ზეითუნში აზვილ ცარცსა და  
ძმარს).

10

მამისა, ძისა, სახელისა ღვთისა.

როდის იყო, მაშინ იყო, ცა იყო, ქვეყანა არ იყო.

ქვეყანაზე ყინვა იყო, ყინვაზე სახტარი იდგა,  
სახტარიდან გაშევიდა სამი სიტყვანი ღვთისანი.

დაიარებოდა ქალაქის ქალაქობამდის,

მოჰკიოდა ჟამსა შუალამისახა.

მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს შეხვდა წინ წითელი ქარი, ჰკითხა:

– სად და საიში მიხვალო, ან სად ნაშოენი ხარო?

– ღობიძეიდან მოსული ვარ, ცხენის ტოფში გაზრდილი ვარ, ახლა მივდივარ კაცისას სისხლის სასმელად, ხორცის საჭმელად, ძვალის სატეხად.

– ჰაი, არ გაგიშვა მამა, ძემა, სულმა ჭეშმარიტმა!

არცა ძვალის სატეხად, არცა რბილის საჭმელად, არცა სისხლის სასმელად!

მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზო, გამოიყვანე ძალითა შენითა, გადასახე ჯვარი შენი!

## 11

ქარი მოდიოდა, მოჭყიოდა გოჭვივითა, მოფსტვინაედა გველივითა. მოჰქონდა ცა მხრად, მიწა – ფეხად.

წინ შემოეყარა მიქელ-გაბრიელი მთავარანგელოზი:

– სად მიხვალ შენ, ქარო?

– მე მივალ ადამიანთან, ძალუანისა ძალისა წავართ, ფერუანსა ფერსა წავართ, კუროსა მოზვერსა კისერსა მოვსტებ, მელოგინე ქალსა სამარეში ფეხს ჩოუდგამ.

– არა, მამა და ძემა, სულმა წმინდამ,

ნურცა ფერუანსა ფერს წაართმევ,

ნურცა ძალუანსა ძალს წაართმევ,

ნურცა დაჭრილსა კაცსა ძვალს გაუტებ,

თორემ მოვიტან ჩემსა შავტარიანს დანასა, პირსა ფოლადისასა,

აგჩებ-დაგჩებ, ჩავაგდებ ბოქლომიან ქვაბში,

გენიის ცეცხლს შეგინთებ, სამ წელიწადს გადუღებ,

აგანიავებ, დაგანიავებ, გაქრი ქარივითა, ჩადნი შაქარივითა!

## 12

წითელი კალი შევაბით,

წითელი კვერები აუბით,

წითელი უღლები დავასხით,

წითელი მეხრეები დაუსხით,

წითელი სახრეები მივეციით. –

წითელი ქარის ღოცვა ევ არი.

# საწერელისა

1

ჟამსა შუალამისასა საწერელი მოდიოდა.

წინ შემოხვდა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.

– საწერელო, სად მიდიხარო?

– ადამიანის ტანში, ადამიანის ძვალში,

შესაწუხებლად, შესაზარებლად, საწიებლად, საკივებლად,

ძვალის საკნეტად, რბილის საჭმელად,

ტვინის სატლეკად, სისხლის სასმელად!

– არა, მამამ, ძემ და სული წმინდამ, არც გასიებო, არც გაკილვებო,

არც ხორცი გაჭამო, არც ძვალი გამტკვერიო,

არც ტვინი გატლეგიო, არც სისხლი გასმევიო!

ისეთ წამალს გიზამ, გაგაქრობ იმავე წამსა!

მითხარი, რა არის წამალი ამისა?

– ელანი, მელანი, საწერი კალამი,

პრასისა ძირი, ღორის ქონი, კვერცხისა გული, იფქლის ძირი.

(შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ).

2

საწერელი<sup>1</sup> მოვიდოდა ცხრა ღამ შუალამისას.

შემოეყარა წინ მთავარანგელოზი მიქელ-გაბრიელი და უთხრა:

– სად მიხვალ, საწერელო?

– სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქად.

– რას ეძებ, საწერელო? მითხარი, თუ არა, არ გაგიშვებ!

– რას ვეძებ და უღვაშეოკობიან ვაჟსა და ძუძუოკობიან ქალსა.

– რას უზამ, საწერელო?

---

<sup>1</sup> მოქმელის განმარტებით, საწერელი „თითების წვერებს სჭამს“.

- ხორცსა ვჭამ, სისხლსა ვსვამ, ფერსა წავართმევ!
- რა არის იმის წამალი? მითხარი, თუ არა, არ გაგიშვებ!
- ელანი, მელანი, საწერელი კალამი, ღორისა ქონი, ქვებისა პური, პრასის ძირი. ვაი, რა ვთქვი, რა მოვიგონე – ჩემი თავისა ჭირი და გასაკურებელი და გასაქარებელი!

### 3

პირველსა მამლი ყივილსა ადგა გიორგი საწერელი,  
წინ მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზი შამოეყარა:

- სა მიხვალ, გიორგი საწერელო?
- როგორ სად მივალ? მივალ ადამიანის ტანში ბილის საჭმელად, სისხლის სათქელეფად, ძელის სახრაევად, სულის და ხორცის შემაწუხებლად!
- არა, ძემან, სულმან წმინდამან, შენ არ შეგიშვა ადამიანის ტანში არცა რბილის საჭმელად, არცა სისხლის სათქელეფად, არცა ძვალის სახრაევად და სულის და ხორცის შემაწუხებლად. რაა მისი წამალი?
- იფქლისა ფქვილი, ძეწნისა ცილი, ქვებისა ჟანგი, კვერცხისა გული. ვაი, რა ვთქვი, რა მოვიგონე თავისა ჭირი და შემაწუხებელი!

### 4

შუალამის ხანსა მივიდოდი გზასა.

წინ შემომხვდა საწერელი.

- სად მიხვალ, საწერელო?
- ძვალის სახრაევად, ხორცის საჭმელად და კაცის შესაწუხებლად.
- არ გაგიშობ, თუ არ მეტყვი, რაა მისი წამალი!
- მისი წამალია ელან-მელანი, საწერ-კალამი, ღორის ქონი და ძეწნის გული ზეთში მოხრაკული.

### 5

ამისა, მამისა, ძისა.

საწერელი მივა ღამისა და დღისა.

- საწერელო, სად მიხვალ?
- კაცთან.
- რა გინდა კაცთან?

- ხორცის საჭმელად მინდა, ძეაღის სატკიმელად<sup>1</sup> გინდა, ქონის სასირქელად<sup>2</sup> მინდა, სისხლის სასმელად მინდა.
  - რა არის მერე შენი წამალი?
  - ელანი, მელანი, საწერი კალამი, იქვის ქვილი, ქვა-ჯანგარი, ძერწის ცილი, ღორისა ქონი.
- ვაი, რამე მოვიგონე, ჩემსა თავსა ჭირი!

## 6

- საწერელო, სად მიხვალ?
  - ადამიანის ტანში მივალ.
  - ადამიანის ტანში რათა მიხვალ?
  - რბილის საჭმელად, ძეაღის სატკეერად, ტეინის საწურწურწმულებლად.
  - არა, მამა-ძემა და სულმა წმინდამა, არ გაგიშვა არც რბილის საჭმელად, არც ძეაღის სატკეერად, არც ტეინის საწურწმულებლად! შენი წამალი რა არის? დამასწავლე, თუ არაო!..
  - პურისა ზავინი, კვერცხის გული, ძერწისა ცილი, სუს ნახევი საწერკალამი.
- ვაი, რა მოვიგონეო, ჩემი თავისა ჭირიო!

## 7

- სახელისა მხითთა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.
- ლოცვა რაისა? – საწერელისა.
- საწერელი შემეყარა გუშინსა დილასა.
- საწერელო, შენ სად მიხვალ?
  - კაცთან, დასამართებლად, ძეაღისა მოსატეხელად, რბილისა დასაღბობელად, სატირლად, საყვირლად.
  - რაა მისი წამალი?
  - ელანი, მელანი, კაცი მწერალი, ძეწისა ცილი, კვერცხისა ცილი, ლერწამი, ქინძი.

1 სახრაუად.

2 სალოკაუად.

3 ქვამის ნახშირი.

4 ძეწის ცრემლი.

ვაი, რა ვთქვი თავისა ჭირი, გამაქარვებელი!

8

სახელისა ხეთისა, ლოცვა საწერელისა.

– საწერელო, მოხვალ ადამიანების საწუხებლად, საკრთოლებლად, უფეროსა ფერის მისაცემად და ღერიანის ფერის წასართმევად.

გვითხარი, რა არის შენი წამალი,

თვარა დაგტეხ ფენსა ჭიქისასა,

ჩაგაყრიებიებ ოქროსა კბილსა, დაგჭრი თმასა გიშრისასა.

– ნუ დამატეხ ფენსა ჭიქისასა,

ნუ ჩამაყრიებიებ ოქროსა კბილსა,

ნუ დამჭრი თმასა გიშრისასა

და გეტყვი, რა არის ჩემი წამალი:

ია და ჭუჭყუტა, კვერცხის ცილი, ზეწნისა ცილი.

გავდინდები წყალსავეითა, გავექარდები ქარსავეითა.

არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი!

9

– საწერელო დედიანო, საწერელო მამიანო,

საწერელო, სად მიდიხარ?

– ძვლის საჭმელად, ძვლის სატყვევად, ადამიანის შემაწუხებლად.

– რა არის შენი წამალი?

– კვერცხის გული, ღორის ქონი, ტირკის ცილი.

ვაი, რა ვეიტეხე ჩემი თავის ჭირი!





# ნაღრძობისა

1

უცხო მინდორში უცხო ხე იდგა,  
უცხო ფრინველსა ზედ ბუდე ედგა.  
ვევდი უფენოდ, დევიჭირე უხელოდ,  
ჩამოვიყვანე უფენოდ, დაკალი უდანოდ,  
შევწვი უცეცხლოდ, შევჭამე უპიროდ.  
გორებული გორდებოდეს,  
ნაღრძობი კი მთელდებოდეს!

2

მწვანე მინდორზედაო მწვანე ხე იყო,  
• მწვანე ჩიტი იყო, მწვანე საბუდარი ჰქონდაო.  
მწვანე კვერცხები დაედო, მწვანე ბახალეები ჰყავდაო.  
უხელოდ ავეო, უფენოდ ჩამოვეო,  
უცეცხლოთ შევწვიო, უკბილოთ შევჭამეო.  
ტარო, აგორდი, გაგორდი, ნაღრძობო, გაიშალეო!

3

მწვანეს მინდორსა მწვანე ხე იდგა,  
მწვანე ფრინველსა მწვანე კვერცხი დაედგა.  
უფენოდ ავედ, უხელოდ ჩამოვედ,  
უცეცხლოდ შევწვი, უკბილოდ შევჭამე.  
ცვირცვილაი გორავდა, ნაღრძენაი რჩებოდა.

4

მწონეს მინდორსაო მწონე ხე იდგაო,  
მწონე ფრინველი იჯდა, მწონე კვერცხი დევედაო.

უხელოდ შევეხეო, უფეხოდ ჩამოვხეო.  
თუ ეს ტყუილი იყოს, ნაღრძვენიო, გაიშალეო.

(ნაღრძობზე თითისტარს დააგორებენ და შეუხვევენ).

5

წყლი ჰირს იღგა ორი ხე, უფესური, უძირო.  
ზედ იყდა ორი ტრედი, უფრთონი, უხთონი.  
ზედ ეველი უხელო, ძირს ჩამეველ უფეხო,  
დაკკალი უდანოდ, შეეწვი უცეცხლოდ.  
აღამ დეეცა, სისხლმა ჩეექცა,  
ღამცემელს ეტკინა, ამღგომელს ეშველა.

6

აღამ დაეცა, ფეხი ეკრთო, ფეხი მეექცა,  
ძეალმა ირეწკა, ცხვარმა დაბლაველა  
სამმა და სამი დღისამა.  
— რა არი იმი წამალი?  
— თიკნისა ტყავი კუპრული.

(ნაღრძობს ხელი უნდა დაუსვა და სამჯერ შეულოცო).

7

აღამ დიეცა. სადაც დიეცა,  
ცხვარმა დაბლაველა, კრაემა დაჭყაველა.  
ვინ გეიგონა მესამე დღის მერე ნაღრძობი?

(ნაღრძობს ადგილს უხეღენ ნიგეზითა და დვინით და თან შეულოცავენ).

8

გორველა გორდებოდა, ნაღრძობი თელდებოდა.  
აღამი დეეცა, ქვაზე დეეცა,  
ცხვარმა დაბლაველა, კრაემა ხმა მისცა.  
გორველა გორდებოდა, ნაღრძობი თელდებოდა.

9

სახელით მამითა, ძითა, სულითა.  
ადამი დაეცა სამი წლის, სამი თვის,  
ხელი იმკო, ფეხი იმკო.  
მევიდა იოსებ ქრისტე და ჩოუწყო.

10

ნახტომისა ნაღრძობისა ბწყალა ავარდებისა.  
ადამ დეეცა, ადამ რამ დაცა?  
ცხვარმა დეიბლაელა, კრავმა დამუცნა.  
მაბრალები გორდებოდეს,  
ნაღრძობი მესამე დღის იქით აღარ გადაყოლოდეს!

11

ევა დაეცა, რამ დაუშავა?  
ვერზმა წიკლი ჰკრა, იმან დაუშავა.  
სამი წლის ცხვარმა მოიჭამაო,  
სამი დღის კრავმა მოილოკავო.  
ნაღრძობის წამალი ჩვენი ლოცვა,  
ნიგვზის ბაჟი (კულამსაზარი).


12

სახელითა მამისათა და ძისათა, სულისა წმინდისათა. ამინ!  
ადამ დაეცა, სუკი იერთო,  
კრავმა დაიბლაელა, ლახვარმა ღეთისამა სამოცდასამი დღისამა.  
შვიდი ფიქალნი ცისანი, შვიდი ლერწამნი ზღვისანი,  
სინლო, სისხლის ალაგასა, ძარღვო, ძარღვის ალაგასა!  
ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი!  
მწვანე მინდორსა მწვანე ხე იდგა.  
მწვანე ფრინველი ბუდეს იდგამდა.  
უხელოთ შეველ, უფეხოდ ჩამოველ,  
უცეცხლოთ შევწვი, უპიროთ შევჭამე,  
გორვალა იგორებდა, ნაღრძობი მთელდებოდა.  
ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი!

ცხვარმა იბღაეულა, კრავმა იჭყაეულა  
სამი და სამი დღისაო.

თიკნისა წელეებს დაჭყაეულაო.

გორებული გორდებოდეს,  
ნაღრძობი შეეღდებოდეს!



# ძარღვის განასკვისა (შეჭრეტილისა)

1

გვედი მაღლა თასა, გადავხედე შაესა ზღვასა.  
დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა,  
სკნელსა მხსნელი აჭარბებდა.  
შეჭრეტილი, <sup>1</sup> შეღრეკილი გეისხნა და გეიშალა.

2

ავედი სერსა მაღალსა, დავხედე ველსა დაბალსა,  
დავხედე ბარსა, სოფელსა, დედა-შვილი ჭამად იჯდა.  
წინ ედგა ოქროს სუფრა, ზეთ ეწყო წერილი წერილმალღი.  
დედა სკენიდა, შვილი ხსნიდა, მსკენელს მხსნელმა დააჭარბა.  
მსკენელს მხსნელმა დააჭარბა, მსკენელს მხსნელმა დააჭარბა!  
(შეულოცავენ სამუჯერ).

3

სახელისა ზეთისა, ლოცვა შეჭრეტილისა.  
ავედი მაღალსა ქედსა, შეჭრეტილი ჭამად იჯდა.  
დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა.  
რავარც ერწამ შეისკვენი, ისე ერწამ გეისხენი!  
შეჭრეტილის ქარო, გაქარდი!

---

1 მოქმელის შენიშეთ, „ძარღვი რუმ შეესკნება კაცს, შეიქრიტაო, იტყვიან“.

4

სახელითა ხეთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა შეჭრეტილისა, შედრეკილისა, დარღვესკნილისა.  
ქელს გადაღმა გედევხედე, დედა-შვილი იჯდა.  
დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა, სკნელს ხსნელმა აჯობა.  
უშმა ცხვარმა გირქინა, შავმა ძაღლმა გიკბინა,  
ჭანჭყალამ შემოგირბინა.  
შეჭრეტილი ხარ, შედრეკილი ხარ, გაკარ ხელი და გეიხსნება.

5

ადამ დეიბადა, შვიდი დეიძახა,  
შვიდი წყაროს წყალი ერთად შეიყარა.  
ადამ კვეთა, დგომამ კვეთა,  
ჯდომამ ქარს მისცა, ქარმა ზღვას მისცა.  
ზღვას გაღმა ხილი ხილნარი ათასფრად აყვავებულა,  
გავედი უფეხოდ, მოეწვიეტი უხელოდ, შეეჭამე უპიროდ.  
თეთრმა ყოჩმა გირქინა, შავმა ძაღლმა გიკბინა.  
შეჭრეტილი ხარ, დარღვო, გეიხსენი!  
შეჭრეტილი ხარ, დარღვო, გეიხსენი!  
შეჭრეტილი ხარ, დარღვო, გეიხსენი!

6

ადამ დეიბადა, ცხრაი დეიძახა,  
ცხრაი წყაროს წყალი ერთად შეიყარა.  
მიდი მერცხალო, მოდი მერცხალო!  
აკიდული, დაკიდული,  
ქვედალოზე დადებული, ზედ სახტარი მიდებული.  
ადამ დიეცა, სისხლი გაასხა,  
სისხლმა ხეს მისცა, ხემ ფურცელს მისცა,  
ფურცელმა ქარს მისცა, ქარმა ზღვას მისცა, ზღვამ ლოპრად მეიცვა,  
დარღვო, შესკნილი ხარ და შეჭრეტილი, გუუშვი!

---

1 ქვედა ლოდზე.

7

პეტრიმელად ჭალაში იყო, შიან არი ოქროს თასი,  
შიან არი ოქროს საინი, აკიბული, ჩაკიბული,  
ზედ სუდარად მიდებული.  
ერთი სკნიდა, მეორე ხსნიდა, სკნელსა ხსნელმა დაატარბა.

8

შეჭრეტილი ხარ, შეგრეხილი ხარ,  
დაბწნილი ხარ, დაბღვნილი ხარ,  
ცხრაი ძმაი, ცხრაი დაი, ცხრაი წყარო.  
ადამ დეიბადა, ცხრაი დეიძახა.  
ყულშავმა თვალმა მირქინა,  
შავმა ძაღლმა მიკბინა,  
გეიშალე, გეიხსენი!

9

ასამარია, დასამარია,  
ზევით და ჩემი, ქვევით მარია.  
ჯგეგე, ქრისტემ შემოგითვალა,  
ადამის შეილს ხორცი გასკენია,  
სისხლი ამღვრევია, მოეხმარები თუ არაო?  
თუ მიუსწარი, მოვეხმარები,  
თუ არა, დავშლი, მისი მადლი მეო!

10

აბა, აბაია, თაბა თაბაია,  
იესო და ლასარია, მაკო გირჩევნია.  
მარიამ ხარ-ირემი მოსულა,  
დაწოლილა, ამდგარა, დაბრუნებულა.  
ადამის სულს ზურგი განწყეპტია,  
მიუსწარი და უშველე,  
თუ არა და, ფუი, ასე გააქარვეო!

(როდესაც ადამიანს გაუწყდება კისრის ან ზურგის ძარღვი, მაშინ შემლოცავი აიღებს შავტარიან დანას, რომელსაც დაადებს იქ, სადაც ტკივილსა გრძნობს, და შეუღოცავს).

მათე, მარკოზ, მარია,  
მეგრელს ძარღვი რომ გადანასკვია,  
უშველი თუ არა?  
თუ უშველი, რა დიდი მადლია!  
(შელოცვას იმეორებენ სამჯერ).





# თიაქრისა

1

ელელია, მელელია, ჩემი ხელი წამალა.  
ცინის კარი გამიღია, გველვეშაპი გომიყრია.  
შენ ურჯულო თიაქარო, შენ ალაგზე დადექი!  
ჭახრაკაზე, ჭახრაკაზე ძაღლი მყავდა გვერდწითელი,  
ფეხწითელი ბაუჭი.  
სუსში, დუსში, მუსულელი გუსში.

2

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!  
ერთიკელა, ბურბუშელა, ყავარჯენა.  
ისარი მქონდა ლერწმისა,  
მოეშიე, წკიპურტი უყავ, იმერეთ თავი გადუყავ.  
იმერეთ კოშკი მაღალი, ღერეფან დაკაეხული,  
ციცა გამოძერა რქიანი, კამეჩი მონაგრიანი.  
ძაღლი მყავდა, აუსში, თავდაღმართზედ დაუსში.  
დაწყველილო თიაქარო, ეს ყმაწვილი გაუსში.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯავრი!

3

თია სულო, თია გულო,  
თიავე, მაღლა დადებულო,  
რასა ღელავე ზღვასავითა,  
რასა ფშინავ ქარსავითა!  
მოიარე, მეიარე,  
მიეგდევი ქვასავითა!

4

იავო, თიავო, რას იელავ სასავებ,  
რასა ბღღვინავ ზღვასავებ.  
მიიარე, მოიარე, დღეიდგევი ქვასავებ!  
ქეთ-ქეთ ძაღლი ჩამორბოდა ფეხწითელა, ბაუჟიო,  
ამ ადამიანს მუცელი სტკივა,  
უშველე და გაუშვიო!

5

იავ, ბიავ, თიავ,  
რას ელავ ცახავეთა,  
რას კანკალებ ზღვასავეთა,  
მიიარე, მეიარე,  
გული დაღე ქვასავეთა.  
წითელი ქარიდან ხარ,  
მწვანე ქარიდან ხარ,  
ყვითელი ქარიდან ხარ,  
შავი ქარიდან ხარ,  
ღმერთო, შენ შუუკოჭე!  
მე ვარ ლოცავი და ღმერთია მშველელი!

(შეულოცავენ შვიდნაირი აბრეშუმის ძაფით. თითო შელოცვის დამთავრებზე შემდეგ თითო ძაფს გამოკოჭავენ და ასე განაგრძობენ შევიდამდე. ბოლო შეუბერავენ: „ჟუ!“).

6


თიავ ლულო, თიავ გულო,  
თიავ მარწვეის კაკალო.  
მოგუგუნე ზღვასავით, ნუ ჭინვინებ ცხენსავით!  
მიიარე, მოიარე,  
თავი დაღე ქვასავით!

7

თიაქარო, ნიან-ქარო,  
აქ რა გინდა ზიანქარო,  
ჩვენ . . . . .თან<sup>1</sup> არ მოხვიდე,  
არ მოეკარო!

8

ძალდი მყვანდა ტუსიო,  
პირაღმართზე გაუშვიო,  
ჯამი მქონდა ზიარიო,  
კოვზი უფრო თავისიო.  
დალოცვილო თიაქარო,  
ყმაწვილი გაუშვიო!



<sup>1</sup> იტყვიან ავადმყოფის სახელს.

# მუცლის ტკივილისა

1

ანანია, მანანია, ჩემი ხელი წამალია.

ქრისტე – სტუმრად, ქვა – სასთუმლად,

ბღელი თავი – მოსასვენად.

ერთი ჯამი ცივი წყალი ნახევარი ქერი პური

მუცელ-გულის წაშალი.

არიელი, მარიელი, ღიტი ბუდე ცარიელი.

გორ შევდექი ჯორნალელსა, წყალსა უმზერ ფილაფოტსა.

ღმერთო, უხსენი ამას!

(ამ შელოცვის დროს ერ უკამ ცივ წყალს დადგამენ ავადმყოფის წინ და იმ წყალში ამოვლებულ ნახევარ პერანს პურს შეატყევენ).

2

ქედ-ქედ ძაღლი გამორბოდა ყურწითელა ბაუჯი.

ოუშვი და გოუშვიო, მუცლის ტკივილო, გოუშვიო.

ჩემს ბალანას გიეყარე, სხვის ბალანას შიეყარე,

ჩემს ბალანას გიეყარე, სხვის ბალანას შიეყარე!

3

ქედ-ქედ ძაღლი ჩამორბოდა, ფეხწითელა ბაოში,

მუცლი ტკივილო, გეხვეწები, ჩემი . . . . . გოუშვი!

4

მეფე, მეფე მეფედაო, დედა-შვილი მაზანდაო.

---

1 იტყვიან ავადმყოფის სახელს.

აღონი და დაღონი, კიდობანი დასკა.

ღმერთო, შეურგე შელოცვებულ წამალი ქალსა (კაცსა)!

(შემლოცველს ხელში უნდა ეჭიროს რაიმე ტყვიანული და ავადმყოფს შეაჭაპოს).

## 5

პირველი ვარ დედისა,

წამალი ვარ ჩხვერისა,

პირველი ვარ დედისა,

წამალი ვარ ჩხვერისა!

(მთაწმილის მენიშვნა: „თუ საჭინელს მუცელი ტკივა, წვეს და ვერ დგება, ამას დაჩხვერვას ეძახიან. ამას შეულოცავენ. შელოცვამდე უზნის (ხეა ერთი) ჯოხს დეიკავენ და ულოცავენ. ულოცავს დედის პირველი შვილი. თუ უზნის ჯოხი ვერ ნახე, ნიუზაინა გეიძრო და ის ურტყა ძროხის მუცელზე და შეულოცო, ძროხას გუუშვებს ავანტყოფობა“).



# წელის ტკივილისა

1

ღმერთმა უთხრა ანგელოზსა: — გადახედე ხმელეთსა, ან ქალი ხო არ ჩივის, ან ობოლი ხო არ ტირის?

— არცა ობოლი ტირის, არცა ქალი ჩივის.

..... წელი უტკივნია, ტირის, ჩივის.

— გადავიდეს ბოსტანში, გადმაიტანოს სამი კილო ფოთოლი, ქალმ უზილოს, ქალმ უპოხოს.

ანგელოზებ ამინობენ, ღმერთო, დასწერე ჯვარია.

(დაიჭერენ ცულს, ხელზე დაიდებენ საპოხს (ერბო ან კარაქი) და უზედენ წელს, თან შელოცვას ამბობენ. შელოცვა სრულდება დღეში — სამჯერ დილით, სამჯერ შუადღისას, სამჯერ საღამოს).

2

ქრისტემ უთხრა ანგელოზსა: — გადახედე ხმელეთსაო, ან ქერივს ხო არავინ სცემსა, ან ობოლი ტირისაო?

— არცა ვინა ქერივსა სცემსა, არც ობოლი ტირისაო.

..... წელი იტკინა, ის ჩივის და ტირისაო.

გადავხედე ბანსა, გადავაკლე სამკეცი კანაფი.

ქალმა ზილოს, ქალმა პოხოს, ის არი იმის წამალი.

ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი!

(შელოცვისას ავაღმყოფს ზედენ არყით ან ერბოთი).

3

ღმერთმა უთხრა ანგელოზსა: — გადახედე ხმელეთსაო, ან ქერივი ხომ არ წუხდება, ან ობოლ ხომ არ ტირისაო.

---

1, 2 იტყვიან ავაღმყოფის სახელს.

– არც ქერივ წუხდება, არც ობოლ ტირისა.  
. . . . წელი უტყენია, ის ჩივის და ის სტირისო.  
– გადავიდეს ბაღჩაშიო, გადმოიღოს სამუენა ფოთოლიო,  
ქალ მოუზილოსა, ქალ მოპოხოსაო.  
ანგელოზებ ამინობენ, ღმერთო, შენ დასწერე ჯგარი!

(ავადმოფს წელს უზუელენ ერბო-კარაქით და თან რკინეულსაც გადაუსვამენ).

#### 4

სახელისა ღვთისა, ლოცვა წელკავისა.  
წელო, წელიკავისა, თემო და ბარკალისა, ქაშო და ქაშავატისა!  
გააქროლე, ყველა წმინდა ღვთისმშობელო, შემოსული წელკავი!  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი!

#### 5

ანკალი, ბანკალი, ყვაჭიჭეს ბარკალი.  
– რაა წელკავის წამალი?  
– რა არის და ატმის ბილი და ნამგალი.

(ამ შელოცვას ასრულებენ, ძროხას წელკავი რომ დაემართება. ატმის შტოს ზურგზე გადაუსვამენ და თან შეულოცავენ).

#### 6

ადამ დიეცა, სისხლი ჩეექცა.  
ადგა – ეშველა, – დაჟდა ეტყინა.  
დამტყეცნილმა ფჩხილს მიცა, ფჩხილმა შტოს მიცა,  
შტომ ფურცელს მიცა, ფურცელმა ქარს მიცა.  
ქარმა ზღვას მიცა, ზღვამ ლაპლაპად მოიგდო.

#### 7

ადამ დეიბადა, სამი დეიძახა,  
ცხრა წყაროს წყალი ერთად შეიყარა.  
ჯორჯმა ძაღლმა გიკბინა,  
შავმა კერძმა გირქინა, ვაი დაქცნილსა!<sup>2</sup>

1 იტყვიან ავადმოფის სახელს.  
2 წელის ტკივილი.

(მ)ქქქქქის ბანმარტიბა: „რო შეულოცაუდო, თ დით, იაღს<sup>1</sup> ჩავაგდებდით, მარილს ჩავაყრიდით და ს დავზულდით“).

8

ადამი დეიდრა, თან სამი დეიძახა,  
სამი წყარო წყალი ერთმანეთში შეიყარა.  
შავმა ძაღლმა გიკბინაო,  
შავმა ვერძმა გირქინაო.  
უმურაპა უუშვიო,  
დაქცნილო, შენ გუუშვიო!  
დაბლა ჭალასაო კკრეფდი კანაფსაო,  
ან აგწევ ბეღლი კარსა,  
ან გუუშვებ ძვალსა, ბილსა!

9

ადამ გაჰკვეთა, ხორცმა ხორცი ჰკვეთა,  
ხორცმა ირემ მისცა, ირემმა ტყეს მისცა,  
ტყემ ზღვას მისცა, ზღვამ პირზე შეიცივა.  
რა ვთქვათ და რა მევიგონოთ... უი დაქცნილსა!

10

დაო, დაო, დავითაძე,  
ჭახრაკიძე და გუმიშაძე,  
ჩაუში ჩაღმა ჩარბოდა,  
იმას მიდეედა ჯუნკლი ძაღლი,  
თავწითელა გუმიშვი.  
დაქცნილო, ნულარ უყურეფ,  
დრო მოვდა, გუუშვი!

---

1 ერპო.



# ყელის ტკივილისა

1

სახელისა ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.

ლოცვა ყელმოსრებულისა.

პეტრე-პავლე ჭამად იჯდა წყალსა იორდანისასა.

პეტრემ უთხრა: – რად არ ჭამ პურსა?

– გულთა ყია დამემართა კისერსა და ყელსა.

– გადაგისვამ ნეკსა, გადაეაგდებ კლდესა, სამარასა.

ქრისტე წირვად დგანასა,

ქრისტეს წირვა შეგეწია კისერსა და ყელსა!

2

სახელითა ზეთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

მე ელოცავ ყელმოსტრობილსა.

პეტრე-პავლე ჭამად იჯდა კარსა იორდანისაო.

პეტრემ უთხრა პავლეს:

– რათ არა ჭამ პურსაო, რათ არა სვამ წყალსაო?

– ვჭამდი პურსა, ვსვამდი წყალსაო,

იდგა კისერსა და ყელსაო.

– აუხკრამ ნეკსა, გადაეაგდებ კლდესა,

გაეაქრობ წამსა შუალამის ხანსა.

3

იორდანეს კარსა ზედა პეტრე-პავლე ჭამად იჯდა.

გაიარა ქრისტემ, კითხა:

– რათ არა სჭამ პურსა, რათ არა სვამ წყალსა?

– ვერ ვჭამ პურსა, ვერ ვსვამ წყალსა,

დადგომილი დადგომილსა კისერისა და ყელისა.

– გაჭმევ პურსა, გასმევ წყალსა,  
გადავისვამ ნეკსა, გადაგიშლი ყელსა.  
ხუნაგი მოსულიყო, მოსულ-მობრძანებულებიყო.  
როგორც მობრძანებულებიყო, ისე წაბრძანებულებიყო.  
არგე, ლოცვა, ღმერთო!

4

პეტრემ უთხრა პაველსა: – რათ არა სჭამ პურსა?  
– მით არა ეჭამ პურსა, ლუკმა მადგას გულსა.  
სამჯერ ხელი ჩაუსვი, ჩავარდება ძირსა.

5

სახელისა ღვთისა, მამისა, ძისა.  
ლოცვა ყელმოსრობილისა.  
სამი ძმა მივიდოდა ღმერთოსანი, სამი ჯირყვალოსანი.  
პეტრე ჩადგა მარანში, პეტრე უჩიოდა პუტრესა:  
– შენ რაფერ ჭამ პურსა?  
– მე რაფერ ეჭამო პური, ყელსა ჭია გამეკეტა.  
– ამოგისვამ ნეკსა ჩემსა,  
გავაქრობ სულისა წმინდისათა!

6

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა ყელმოსტრობილისა.  
აზრომილი მისდგომია კისერსა და ყელსა,  
გადუუსვამ ცერსა, გავაქროლებ დღესა.

7

ზეციდანა გადმოვარდა ერთი ფიქალი ქვისანი,  
ზეთ ეწერა ხუთი სიტყვა ღვთისანი:  
ერთი სავაჟოსანი,  
მეორე მატაეროსანი,  
მესამე პილწის ქარისანი,

მეოთხე ყელმოსტრობილისანი,  
მეხუთე გაქარდოსანი.

(ამ შულოცვას იტყვიან ყველა ჩამოთვლილი ავადმყოფობის დროს).

8

აესაღ ცოლსაი მოქრისტესაი,  
მიქელ-გაბრიელ დამბადებელ,  
დახკრა ჯვარი შენი აღმარწული,  
თფუი, გაქრეს შენი მტერი!



# კისრის ტკივილისა

1

ადამ კვეთა, რა კვეთა, ხორცსა ხორცმა უკვეთა.

ზღვასა გაღმა ხინარი, უპატრონი, უნუქთური.<sup>1</sup>

ზედ იჯდა სამი ტრედი. ეველი უფეხოთა, უხელოთა,

დაკკალი უდანოთა, დაუძღვლრე უმდუღროითა, შევწვი უცეცხლოთა.

ჯოჯმა ძაღლმა გიკბინა, შავმა გველმა გირქინა, ვუკ დატყეცნილსა!<sup>2</sup>

(შელოცვასთან ერთად ავადმყოფს უზეღენ კისერს. შეულოცავენ დღემო სამჯერ სამი დღის განმავლობაში).

2

ზეტას ევედი უფეხოთ,

ტრედი დევიჭირე უხელოთ,

დაკკალი უდანოთ, შევწვი უცეცხლოთ,

გადაკვლაპე უყორყოთ.

სამო სახტარო ცისანო,

სამო ფრონვანო წყლისანო.

ყვავო, ყორანო, ყანჩავო,

ღმერთზე რა შენი მადლია,

საბრალო კაცი დაჩხვავო?<sup>3</sup>

უუსვამ ცერსა, დუუსვამ ნეკსა, გუუჯავრებ სენსა,

ილოცავ და მუუსწრობდა ყელსა!

---


1 უქონელი.

2 გადასკენილი, გადანასკული.

3 დააავადო.

3

უანგი ჭამს რკინასა,  
როგორც ხარი თივასა.  
მოვა წმინდა გიორგი,  
გაგიწყრება დილასა.



# ჩიევისა

1

არნანო, მარნანო,  
ყიევი, პასტო, პარნანო,  
ნუ ჩამყვები ჯამსა,  
ნუ ამომყვები ლუკმასა,  
ნუ დამიყვირებ დიდსა,  
ნუ დამიძვირებ ბედსა!  
ნარდებოდე ნარივითა,  
ქარდებოდე ქარივითა,  
დადნებოდე იალივითა!

2

ეიყარა ნისლი, მთვარემ ჰკრა პირი,  
ვარსკვლავებმა უთხრა ზარი.  
ჩიევისა-ფლიევისა გუუნმა ძირი!  
(შელოცვა სრულდება სამჯერ).



# კბილის ტკივილისა

1

სახელითა ზეთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
წმინდა გიორგი ზღვისაო,  
ნუ ამატკივებ კბილსაო,  
ორშაბათ-პარასკეობით  
არსად მოვიჭრი ფჩხილსაო,  
არცა შევჭამ შავ ბოლოკს,  
არცა ბერძნულსა თხილსაო.  
ღმერთო, შენ დასწარე შენი წყალობის ჯვარი!

2


სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.  
წმინდა გიორგიე ზღვისაო,  
ნუ ამატკივებ კბილსაო,  
ოთხშაბათ-პარასკეობით  
არსად მოვიჭრი ფჩხილსაო,  
არცა შავჭამ შავ ბოლოკსა,  
არცა ბერძნულსა თხილსაო.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!



# წარბეზის ტკივილისა

1

მეუფალ ბარბალ, მანგი შენი,  
გაჰკარდიო შაში კოლოფს,  
ლუფსუყვარი მაღალური,  
ღორი შენი, კაცი შენი,  
კერეტანი სრან სრან, ლაზარე,  
მიქრიელ-გაბრიელ მოვიდა,  
თეთრი გველი მოსაგვიდა,  
თეთრი ფუცხვა.<sup>1</sup>



---

1 რკინის ფოცხი.



# სლოკინისა

1


ჭია მახსენებელსა,  
გველი მაგინებელსა!  
ციებ-ცხელება, არგადარჩენა  
შენს ავად მახსენებელსა!

(შელოცვას იტყვიან სამჯერ).

2

ია-ვარდი ჩემსა გულსა,  
ჩემს კარგად მახსენებელსა,  
სამი წლის ციებ-ცხელება  
ჩემს გლახად მახსენებელსა!

(ადამიანს სლოკინი რომ აუვარდება, ამ შელოცვას იტყვიან სამჯერ და კინი გაუწერდება.)



# ხველისა

1

ელამა თუ მელამა, ჩიტო ზველამა.  
იმ დამწვარ დედაბერმა როკი შიშა მეიტანა,  
როკი შიშა არ დეიწვა, ნარმი კაბა დემეწვა.  
ვოიმე, ჩემო ხარაიავ, საპონ წყალში გავლებულო,  
შვიდ კოლოფში ჩაწყვებულო!

2

სახელი სახელითა ღთისათა, მამისათა, ძისათა, სულითა წმინდი  
ერთსა კაცსა ქორწილი აქ,  
ქრისტე ღმერთი წოულია.  
ცივი მოვა, ლოგინია ცივი,  
ძვალი სახრავია, ხაპით ღვინო სასმელია.  
კისერში აქვს გაბოგირებული, ან ძირსა და ან ზევით,  
ოლღას ძვალი, ან ძირსა ან ზევით.

(საქონლის ხველებისას შეულოცავენ).

3

– წრინტო, წრიანტელო,  
ხრინწო, ხრიანწელო,  
ფურღია ფურფუტა, სა მიხვალ,  
ჭირო ბაბახილო?  
– მე მივალ ქათმი ტანში შესასვლელათო,  
ჭირის გასაჩენათო.  
– რა არის მისი წამალი?  
– კირი, ძიმწარა, მყრალა ბალახი.

(შეულოცავენ, როცა ქათამს ხრიწი შეეყრება).

# ფერდში ჩამდგარი წყლისა

1

ანი იყო, ბანი იყო, ხმელეთ შუა წყალი იყო,  
ნავის თავზე ციხე იყო.  
ციხეში დიდი კაცია, ტანზე არაფერი აცვია.  
დიდმა კაცმა გადმომიგდო კალამი და მელანი.  
ღმერთს წერილი გაუგზავნე; დაიბარა ყველანი.  
კაცია თუ ქალია, მან გაუქრო წყალია!  
(შელოცვა სრულდება სამჯერ).


2

ანი იყო, ბანი იყო, ხმელეთ შუა წყალი იყო.  
წყალთა შუა ნავი იყო, ნავის თავზე ჯამე იყო.  
ჯამეში დიდი კაცია, ტანთ არაფერი აცვია.  
დიდმა კაცმა გადმომიგდო კალამი და მელანი,  
ღმერთს წერილი გაუგზავნე, დაიბარა ყველანი.  
კაცია თუ ქალი, მან გაუქრო წყალი!  
(შელოცვა სრულდება სამჯერ).

3

წყალო, წყალო, წყლისა,  
გაჩენილო ღვთისა.  
დედაჩემმა დამაბარა,  
არ მიწყინო შეილსა.  
თუ მიწყენ შეილსა,  
გაგიხმობ ძირსა!  
თუ არ მიწყენ შეილსა,  
გაგიხარებ ძირსა.

წყალო წყლისაო,  
გაჩენილო ღვთისაო.  
დედამ შემოგიტვალა:  
ბაეშეს არაფერი მიწყინო,  
თორემ სათავეს დაგიშრობო!



# პაპასკირისა !

1

სახელითა ღვთისათა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ზემოთგან მოდიოდა სამი მამა-შვილი,  
ქვემოთიდგან მოდიოდა გიორგი პაპასკირი.  
წინ შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი:  
– სად მიხვალ, გიორგი პაპასკირო?  
– მე მივალ ადამიანის ტანში, შესაწუხებლად, შესასუსტებლად.  
ბატონმა სადილი ითხოვა: ათი ქათამი, კაცის სათავი.  
კურდღელს კუდი მოუყარა, მოუპარტყუნებიაო.  
ორდანი დედოფალი, ცაში ანგელოზები,  
წალდი, ცული, ქერ-ბოშანი.  
შენ, უფალო, რა შეგცოდე, რომ დამმართე პაპასკირი!

2

ზეით მოვა გიორგი პაპასკირი, ქვეით მოვა სამი მამა-შვილი.  
ბატონმა სადილი სთხოვა, ქათამი, კაცის თავი.  
ატიატორი, მატიატორი, ქარი, ფუ, ასე გააქრე ამის პაპასკირი!

3

ზეით მივა, ქვევით მოვა სამი ძმანი ანგელოზნი,  
მას მიჰქონდა ცელი, ცული, მანგალა და კაპარჭინა.  
ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე რათ დამმართე პაპასკირა.

---

1 შარდის შეკაევა.

# ტყირპისა<sup>1</sup>

1

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.  
სამსა მამლის ყივილსა სამჯერ სახელო ღვთისაო.  
ტყირპო, გაქრი და გაწყალდი, ბრძანება არის ღვთისაო!  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!  
(ცულის პირი უნდა მიიტანონ ტყირპთან და ისე შეულოცონ).

2

სახელო სახელითა მამისათა და ძისათა, სულისა წმინდისათა.  
პირველ მამლის ყივილსა სამჯერ სახელო ზვთისაო.  
ტყირპო, ჭკნებოდე, დნებოდე, ბრძანება არის ღვთისაო.  
ტყირპო, ასრე დნებოდე, ვითარ მარილი წყალში!  
რა არის შენი წამალი?  
– უცუცხლო თაფლი, ცხრა მარილის კეინტი წყალში ჩააგდე,  
პურს შეულოცე, პური ძაღლს შეაჭამე,  
წაუსვი უცუცხლო თაფლი ცხარე ოტკით დაადე.  
ეს არის იმისი წამალი.

3

პირველსა მამლის ყივილსა სამჯერ სახელო ღვთისაო,  
ტყირპავ, ჰქრებოდე, ჰლზვებოდე, ილეოდე მთვარესავით  
ადამიანის მუცელში, ბრძანება არის ღვთისაო!

---

1 ელენთა.

4

სამუერ სახელო ღვთისა, სამო მასკვალო ცისა, სამო ფუქადლო ზღვისა!  
ზღვაში ერთი იხვია, იხვისა ძირშია განჩია.  
შენ, ტყლიძო, რაზე მოგიკლავს აა საბატეო კაცია.  
ტყლიძო, ჭკნებოდე, ზმებოდე, ბრძანება არის ღვთისა!

5

ზეტას ხე იღვა უბტო, უბტლო,  
ზედ ფრანგელი იღვა ყურთო, ყბოლო  
ივედი უფესოდ,  
ჩამოგიყვანე უხელოდ,  
შეეწვიე უცეცხლოდ,  
ჩაენთქი უსელოდ.  
გაქრა ტყლიძი უწყალოდ!



# ჭიპისა

1

სახელითა ხვითთა, მამითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა ჭიპისა.

აღმოსაველეთის მზეო,  
დასაველეთს მიეხმარეო,  
ჭიპზე დაპორულო წყალო,  
მუცელში გაიპარეო.

(ჭიპზე სამჯერ ხელს მოუსვამენ და ხელს შეუბერავენ).

2

აღმოსაველეთში ამოსულო,  
დასაველეთში ჩადიო,  
ჭიპო, შენს ბუდეში ჩადიო.  
ამ ჭიპის წყალო,  
მუცელქვეშ ჩადიო.

3.

სახელითა ღვითთა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ჭიპში ჩასაეალო წყალო,

ფეხის გულში გეიარე!

(ჩვილ ბავშვს პირველად რომ დაბანენ, მასინ შეულოცავენ).



# მეჭეჭისა

1

სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა მეჭეჭისა.

რაეარც აგი მარილი ღნებოდეს, ქრებოდეს,  
ისე . . . . ს<sup>1</sup> მეჭეჭი ღნებოდეს და ქრებოდეს!

(შელოცვის დრის ქაღალდში გახეუულ მარილს უხეამენ მეჭეჭის ირგვლივ და მარილს წყალში ჩაყრან).

2

სახელითა მამისათა და წმინდისა სულისათა.

მეჭეჭმა უთხრა მთვარესა: — მე გჯობივარ შენა!

მზემ ჩაკრა თავშია, ჩააძვრინა ძირითა.

(შეულოცავენ ახალ მთვარეს).

3

სახელითა მამითა და ძისათა და სულისა წმინდისათა.

მეჭეჭმა უთხრა მთვარესა: — მე გჯობივარ შენა!

მზემ ჩაკრა თავშია, ჩააფრინა ძირშია.

4

ვარსკვლავებო, მეჭეჭი მოგმართავს, შენი ძმა ვარო.

თუ შენი ძმაა, შენთან ღააყენე ანდა გადააყენე!

(სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათ (ერთი კვირის დღეები უნდა იყოს) საღამოს მეჭეჭიანს გარეთ გაიყენენ და ამ სიტყვებით მიმართავენ ვარსკვლავებს).

---

<sup>1</sup> იტყვიან მეჭეჭიანის სახელს.

## 5


მთვარეუ, მეჭეჭი მოემართავს,  
მე შენ გაჯობებო.  
მაჯობებ და მაჯობებ,  
არადა შენთვის მიჯობნია!

(საშშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს (ერთი კვირისა) მთვარიანი ღამით შეულოცავენ ისე, რომ თვითონ მეჭეჭიანმა ამისა არა იცოდეს რა. შეულოცვა სრულდება სამჯერ.).

## 6

მთვარე ახალო, . . . .ს<sup>1</sup> მეჭეჭი აქეს,  
მეჭეჭი გეუბნება, შენ გჯობივარო.  
თუ გჯობია, იყოს, თუ არა ღა გააქრე!

(შეულოცავენ ახალ მთვარეზე. შემლოცველმა უნდა იცოდეს იმისი ღედ-მაზის სახელი, ვისაც ულოცავს).



---

<sup>1</sup> იტყვიან მეჭეჭიანის სახელს.

# ჭიისა

1

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

შეულოცამ ადამის ძესა . . . .სა<sup>1</sup> ჭიისასა.

იჟდა ღვდა მარიამი და ტიროდა.

გადმოიხედა იესო ქრისტემ, ჰკითხა მიზეზი.

– იმათ ვტირი, ძეო ჩემო,

რომ გახდომია ადამის ძესა . . . .სა<sup>2</sup> შეილი . . . .<sup>3</sup>

უკლამს შეილსა ღვდასა უსულო, უფებო, უგულო, უთვალო, უყურო.

არ ვიციტ, იმის წამალი რა არის.

– ის არის იმის წამალი:

ულოცე ნებებით, მარილით, ნივრით, შაკტარა დანით.

(შელოცვა სრულდება დღეში სამჯერ).

2

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

უგონოსა ღვდ-მამასა შეილი მოგპარა ჭიამა.

უსულომა, უგულომა, უფებომა, უთავომა.

ჭიავე, დაიცვიედი, თორემ მოვიტან ბარსა, ჩაგფლავ ნებესა!

თუ არ გამოხეველ ნებითა, მე გამოგიყვან ძალითა.

მოვიტან დანასა პოლიპრიანსა, შაკტარინსა,

დაგჭრი, დაგკეპავ, დაგუწვაე, მიგცემ წყალსა მდინარესა.

ღმერთო, შენ არგე ჩემი ლოცვა . . . .სა!<sup>4</sup>

(ჭიებანი ავადმოფი ცხვირს იჭიჭენის, ფეხები უცივდება და მუცელი აწუხებს. შემლოცველი იღებს ახალ ნებესა და მარილს, დანით უსეამს ავადმოფის ნებეს კუჭზე, წელზე, საფეთქლებსა და ხელის გულზე და აყრის მარილს.

1 იტყვიან ავადმოფის სახელს.

2 იტყვიან ავადმოფის მშობლის სახელს.

3, 4 იტყვიან ავადმოფის სახელს.

3

სახელო სახელითა ძითა, მამითა, სულითა.  
ჭიამ შვილი მამპარა, ჭიამ რა ჭიამ –  
უსულომ, უგულომ, უთვალომ, უყურომ.  
დაკვრავ დანასა, მოვჭრი თავსა!  
ცული პირით მონაჭერი ცულ ტარად დაეგებოდა,  
ჩემი ხელით შანალოცი ავანტყოფ შეერგებოდა.

4

ჭიამა შვილი მომპარა, ჭიამა, ჭიაღუამა.  
დავჭრი ბართა, დაეგვი ცოცხითა.  
ზღვას მივცემ, წავაღებინებ, ბრძანება არის ღვთისაო!

5

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!  
მოდიოდა უძვლო, უთმო, თმიანსა და ძელიანსა სჭამდა.  
რა არის მისი წამალი?  
სამჯერ შეულოცე მრავალძარღვას ძირზედ  
და ის მრავალძარღვა მოჭერი.  
იმ ამოჭრილზე მარილი დააყარე  
და ის მარილდაყრილიც ისევ ამოსჭერი და გადააგდე.  
მატლო, ისე შენ იხარე . . . .ს<sup>1</sup> ჯანში,  
როგორც ამ მოჭრილმა მრავალძარღვამ იხაროს!  
ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი!

6

ბეწვებწველა დიოდაო,  
ბურდოთ გამოდოდაო.  
გამოდო და გამოქარდი,

---

1 იტყვიან აეადმყოფის სახელს.

გამოყე ჩემსა ლოცვასა!  
თუ არ გამოხვალ ნებითა,  
გამოგიყვან ძალითა,  
ელვითა და ჭეჭითა,  
შავი მოზერის ბლუვილითა.  
წითელ ბეწველა იყო, გამოდი!  
შავი ბეწველა იყო, გამოდი!  
წყლის ბეწველა იყო, გამოდი!  
გამოდი და გამოავდი,  
გამოყე ამ ჩემ ლოცვასა!  
თუ არ გამოხვალ ნებითა,  
გამოგიყვან ძალითა,  
ელვითა და ჭეჭითა,  
შავი მოზერის ბლუვილითა!

## 7

სამნი ძმანი ისხდნენ შარა გზასა,  
ჩიოდნენ, ტიროდნენ.  
ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა:  
– რას ჩივით, სამნო ძმანო, რას ტირით?  
– როგორ რას ვჩივით, როგორ რას ვტირით!  
კბილიანს უკბილო გვიფუქვავს,  
რა არის ამის წამალი?  
– ცხრა ჭინჭრის ფოთოლი,  
ცხრა ატმის ფოთოლი,  
შავტარა დანა, შაბიამანი.  
გაეღვი ფიცარი, გაესხეპე ისარი,  
მატლო, ისე გასცვიედი,  
როგორც წყალსა ქვიშანი!

# გველისა და მორიელის ნაკბენისა (დასუნულისა)

1

შავი, შავი, შამანია, შავი გველი ვეშაპია.  
ოქროს ტაბაკზე წერია: ჯუფთი ვარ, ჯუფთი მაცვია,  
ჯუფთეთიდან მოსული ვარ, დავეჯექი, წიგნი დავწერე,  
ეს დედაჩემს მუუტანე, ვეღარ მოგივალ ჩქარადა.  
ვეიღე, ღაღღა დაკკარი, სისხლი ვერ ამოვადინე.

2

შავი, შავი, შამანია, შავი გველი ვეშაპია, მისი დედა ანჩახია.  
ცოციალა მოდიოდა, ყავარჯნიანი კაცი უკან მოსდევდა.  
გველი ფხასა ხელი სტაცა, გადაცვა თავარასა.  
სამი კუტალი წყალია, ოქროს ტაბაკზე სწერია,  
რომ დალიოს, მოუხთეს, დასუნული მოხდომია.

3

შავი, შავი, შამანია, მისი დედა ანჩახია, შავი გველი ვეშაპია.  
ცოციალა მოდიოდა, კაცი უკან მოსდევდა.  
სამი კუტალი წყალია, რომ დალიოს, მოუხდეს, დასუნული მოურჩეს.

4

სურუნა და სურუნა, ფურუნა და ფურუნა,  
არიელი, ტარიელი, შიგა წევს თავჭრელი.  
მისი დედა აღმასია, იმის დედა კაპასია.  
სამი კურტანი წყალია, ოქროს ტაბაკზე სწერია:  
ვინც იმას დაღვეს, გვარი გვარს არგებს.

(წყალს შეულოცავენ და ავადმყოფს გადაასხამენ).

5

ეს მინდორი გადვიარე, იმ მინდორში ლოდი დევს,  
ლოდის ქვეშა გველი წევს. გველის დედა მარიამი  
გავგლიჯე, გავანიავე, თავს დაეყარე თაკარა.  
გველის დასუნული იყო, ბაყაყის დასუნული იყო,  
ხელიკის დასუნული იყო, ამას გამეცაღე, ამას გამეესახე!

(შელოცვის დროს კოვზზე ადნობენ თაფლის სანთელს და წყლით სავსე ჭიქაში ასხამენ. წყალში დამსუნავე ქვეწარმავლის ფორმა გამოისახება. შემდეგ სანთელს დაადებენ დასუნულ ადგილზე.)

6

დავეყვი წყალსა წყაროსა, ვნახე გველი,  
ვსტაცე ხელი, დავსწვი და დავანიავე.  
სამი კურტანი წყალია, ოქროს ტაბაკზე წერია:  
აქ მოციქულმა დალია, იქ მისი მოსახდენია,  
ვისაც დასუნული ჰქონია.

7

სახელი ღვთისა, მამისა, სული წმინდისა.  
ანდა-ბანდა, ანდა-შევანთა, ხელისა ბეშტითა.  
კბენელი მოკედეს, ნაკბენი მორჩეს.

8

საქონელს რომ გველი დაგესლავს, პატრონი მიდის შემლოცველთან და თან მიაქვს თხილის ჯოხი. მისული უბრად აგდებს თხილის ჯოხს მიწაზე, შემლოცველის ფეხებთან. ორივენი უბრად არიან. შემლოცველს მოაქვს დოქით წყალი და მინის ჭიქა. სამჯერ ავსებს ჭიქას წყლით, ულოცავს წყალს და ასმევს საქონლის პატრონს. შელოცვა ორვარაინტანია:

ა) ანთე-მანთე, სანთე-ხანთე, იოხტურ-ტაბახტურ.  
ვისაც ჭიროდეს, მას ვასვათ, ან მის მოაშბესო!

ბ) არასალა-მარასალა, გველის საკვირველი მარა,

არა, არა, შავი ვეშაპი, დედამისს ერჩქვა მონთიო.  
ვისაც ჭიროდეს, მას ვასკათ, ანდა მის მოამბესო!

(ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ამბის მომტანი შემლოცველს გააცნობს ავადმყოფი ცხოველის მდგომარეობას. შემლოცველი რჩევა-დარიგებას მისცემს და გაატანს სამყურა ბაღასს, რომლის დეროც „ურწმუნოს“ (გველის) რნას წააგავს. ეს ბაღასი ავადმყოფ ცხოველს უნდა შეაჭამონ).

9

აღე, მაღე, საღე, მაღე, საღე, უკუღოა.  
გველსა უღელს დაადგამენ, მთას მოახვნევეინებენ,  
თხილის ჯოხს გადაარტყამენ, წელს მოაწვეტიანებენ.

10

სურუხა და სურუხა, ფურუხა და ფურუხა.  
არიელი-ტარიელი, შიგა წევს თავჭრელი.  
მისი დედა აღმასია, იმის შვილი კაპასია.  
სამი კურტანი წყალია, ოქროს ტაბაკზე სწერია:  
ვინც იმას დაღვეს, გვარი გვარს არგებს.

(შეულოცავენ წყალს და ავადმყოფს გადაასხამენ).

11

სახელი სახელითა მამითა, ძითა.  
აანთე, მაანთე. თოფად თოფადხური.  
ვანტა, კებნარი მოკედა, ნაკებნი მორჩა.

(შელოცვის დროს ნაკებენ ადგილზე ადებენ ველური მსხლის ან ლობიოს მოხარშულ ფოთლებს).

12

სახელი სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ლოცვა მორიელის ნაკებნისა.  
სხალი ვარ, სხალს ეჭამ,  
სხალი მივია, სხალი მახურავს, თითონ სხალი ვარ.

(შელოცვის დროს ნაკებენზე უსვამენ მსხალს).



13

მსხალს ეჭამ, მსხალს ესევამ, მსხალი მიფენია,  
მსხალი მაფარია, მსხალი ვარ!  
ქლიაესა ეჭამ, ქლიაესა ესევამ, ქლიაეი მიფენია,  
ქლიაეი მაფარია, ქლიაეი ვარ!  
ჭინჭარსა ეჭამ, ჭინჭარსა ესევამ, ჭინჭარი მიფენია,  
ჭინჭარი მაფარია, ჭინჭარი ვარ!

(აეადმყოფს შემლოცველთან მიაქვს ცხრა მსხალი, ცხრა ქლიაეი და ცხრა ჭინჭრის ფოთოლი. ამათ ცველას ერთად ნაყავენ და შელოცვის შემდეგ უსვამენ მორიელის ნაკებენზე).

14

მსხალსა ეჭამ, მსხალსა ესევამ,  
მსხალი მიგია, მსხალი მახურავს.

(სამჯერ შელოცვის შემდეგ მორიელის ნაკებენზე დატყეპტილ მსხლის ფოთოლს დაადებენ).

15

მორიელი, მორის შვილი,  
ცხრა დედა, ცხრა შვილი.  
არც დედამ და არც შვილმა  
არ გაუძნელოთ ტკივილი!  
მსხალი მახურია, მსხალსა ეჭამ,  
მსხალი დაგიგე, მსხალი გარჩენს!

16

მორიელო, მორის შვილო,  
სამი დედა, სამი შვილი.  
არც უკბინო, არც დაჭრა,  
არც გულში შეესიო.

# გველის გასაჩერებელი

1

პიტი, პიტი, პისტანამა, ასტანგა და აჩანაგა,  
გველო, მოგვირაკრაკდი, მოხრილო ჯოხო, გაშეშდი!  
ფირქსა ფირქი მაცვია, ფირქთა ბეჭედი მაცვია,  
ფირქისა ღთისამშობელო, შენ გააშეშე გველია!

(ამ შელოცვის დროს გველს თხილის ჯოხი უნდა გადაუქნით და იქვე გაშეშება).

2

მიშა, მიშა, მიშაშური, გველი მოდის მოქარგული.  
გველო, აქა გამიჩერდი, წაველ ტყეში,  
მოვიტან თხილის ჯოხს, ჩაგარტყამ თავში, არ გაგიშვებ ტყეში!

3

გველო, ესტატო, მესტატო,  
მისტი ოსტი საქორგულო,  
გაჩერდი და ხმას არ გაგცემ!

4

ჭიი, ჭიი, ჭიჭმანაქი, ისპანახი და ჩანახი,  
მოთხრილო ჯოხო, მოშეშდი, მოგველო, მოუღალღალღდი!

(შელოცვისას ხელში უნდა გეჭიროს თხილის ჯოხი).


წი, წი, წიწმანახი, ჩაანახი<sup>1</sup> მამე, გველო,  
ალაჯინჯალა, გული ზაქარა, ქარ ქარქარა,  
მოსრილო ჯოხო, გაშემდი გველო!

(გველის დანახვაზე ამ შელოცვას იტყვიან და გველი იქვე გაწერდება).



---

1 ენა.



—

# სიმსივნისა

1

მთვარე ამოვიდა აღმოსავლეთისა,  
მას ამოყვა სამი ფიცარი კლდისანი.  
სადმე ზღვა არი, ზღვაზე ყინული არი,  
ყინულში ბრძანდებიან სამნი დანი:  
ერთი თეთრი, მეორე წითელი, მესამე შავი.  
წავიდა თეთრი, მიყვა წითელი, დარჩა საღი . . . . .!

2

სამი ძმაი ძმანოსანი,  
სამი დაი დანოსანი  
ციქვანიზე მივიდოდა,  
პირსა იხდიდა, ხელსა იხდიდა.  
ერთსა ჰქვია ბარბალოსანი,  
მეორეს — ჯირყვალოსანი,  
მესამეს — განქაროსანი.  
გააქრე, ყველაწმინდა ღვთიშობელო,  
ყველა წანალებული<sup>1</sup> სატკივარი, რაც ქონდეს!  
არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანებაა თქვენი!



---

1 იტყვიან სხეულის იმ ნაწილის სახელს, რომელიც დასიებულია.  
2 დასიებული.

# სისხლისა

1

ელია, მელია, გუდა გამიბერია,  
ტიკში ღვინო ჩამისხია, სული ჩამიბერია.  
ორი ურია მორბოდა, მესამე თეკლესია.  
ზეით ბერი გამომდგარა.  
სისხლო, გოუშვი, გაგიშო, უტიე მგელს!  
სამი სოსელი სამი სოფელი,  
სამი ურია, სამი სომეხი, ხელში ეჭირათ შუბი-ლახვარი,  
ესროლა კტეს, მოხვდა მგელს.  
სისხლო, გოუშვი, გაგიშო, უტიე მგელს!  
ბაბანი მოი ბაბანი, ზეიდან მოდის მერცხალი,  
ქვეიდან კესროლე ლახვარი, კესროლე მგელს, მოხვდა კტეს.  
სისხლო, გოუშვი, გამიშვი, უტიე მგელს!

2

დიდება მამასა, ძესა და წმინდასა სულსა!  
სამი კაცი მოდიოდა, სამივე წითელქუდიანები.  
ერთსა ერქვა კუნკრუხელა,  
მეორესა — კანკრახელა,  
მესამესა — თვალის წამწამი.  
ცოდო ჰქონდეს ცოდვანისა, ბერისა და მოლოზნისა,  
კარს უკან მაყურებლისა ავი მამასახლისისა.  
სისხლო, მდინარეე, რად არ დადგები!

(აგადმყოფს სამჯერ შემოკრავენ ხელს შუბლზე და სამჯერ შეულოცავენ!)

3

ახტა ელია, მელია, ზამთარი მოდის გრძელია.

საქათმის კარზე მივდექი, დედალი ენახე ძველია.  
ბოსტანშიდაც გადვიხედე, ხახვს ამოუგდია ძირია.  
ბოლიბოზანი, ბოლიფოზანი, მას მოჰქონდა ასკილის შვილდი,  
ტანზე ისარი მოხვდა ცხენსა მაკესა.  
სისხლო, გაუშვი, ნუ ხარ ამ გაბერილთან! ეჭუ, გაუშვი!

4

მგელი მოდის თოფითა, შუბითა და ლახვრითა,  
ვითა მელა, მერცხალი, სამი სოფელი თათარი.  
დამ მოკლა ძმა, ძმა მოკლა გამბერმა.  
გამბერმა გაბერა, სისხლი გოუშვი, ნულარ გაბერაე!

(ამ შელოცვას მაშინ იტყვიან, საქონელს რომ სისხლი გაბერაეს. შეშლოცველს უში ცხვირსახოცი უჭირაეს. აუადმოყო საქონელს სამჯერ უნდა უკბინოს უნე შეშლოცველმა. ტექსტს სამჯერ იმეორებენ).

5

მაისისა პარასკეებსა იორდანე მოდიოდა.  
რკინა მოაქ კინოთისა და აღმასი სპილენძისა და ისარი ეკლისა.  
სისხლო, გაბერე? ნულა გაბერაე! ჰუ-ჰუ მგელსა!  
(სისხლით გაბერილ საქონელს შეულოცავენ და ატმის ჯოხს დაჰკრავენ).

6

ან-სოფელსა, ბან-სოფელსა, სამი ურია სამ სოფელსა.  
დამ და მოკლა, ძმამ ძმა მოკლა, ასკილის ჯოხი გაქონდა.  
რკინა მოაქ კინოთისა და აღვირი სპილენძისა.  
სისხლო, გაუშვი, ნუ გაბერაე უხუმ მგელსა!  
ივანე მოდიოდა მაისისა პარასკევსა.  
დამ და მოკლა, ძმამ ძმა მოკლა, ასკილის ჯოხი გაქონდა.  
რკინა მოაქ კინოთისა და აღვირი სპილენძისა.  
სისხლო, გაუშვი, ნუ გაბერაე უხუმ მგელსა!  
იორდანე მოდიოდა მაისისა პარასკევსა.  
დამ და მოკლა, ძმამ ძმა მოკლა, ასკილის ჯოხი გაქონდა.  
რკინა მოაქ კინოთისა და აღვირი სპილენძისა.  
სისხლო, გაუშვი, ნუ გაბერაე უხუმ მგელსა!

7

ორი სოსელი, ორი სოფელი – პასკა და შალოურია.  
შევა ქალაქში, გამოვა ქალაქში.  
დამ და მოჰკლა, ძმამ ძმა მოჰკლა.  
სისხლო, გაუშვი, თვარა მევიდა უხუ მგელი!  
სომხის ცოლი მოდიოდა კამკითა და კამკამითა,  
ოქროს ჩაბურსატებითა. მას მოჰქონდა სპილოს ძვალი.  
ვესროლე მტერსა, მოხვდა მგელსა,  
სისხლო, გოუშვი, ნუ ხარ გამბერი!

8

აბელი-ბელი, სოფელი გრძელი.  
სამი ურია, სამი სოსელი.  
ერთ კაცს მოჰქონდა შვილდი – ისარი,  
ესროლა კაცსა, მოხვდა მგელსა.  
სისხლო, ნუ ხარ გამბერავი,  
ოუშვი და უჰუ მგელსა!

9

სახელი სახელითა ღვთისა, მამისა, სულისა წმინდისა.  
ძმამ ძმაი მოკლა: კაენმა აბელი,  
სისხლო, დადექი, კმარა ნადენი!

(შელოცვაკენ ცხვირიდან სისხლის დენის დროს. ცხვირიდან ნადენ სისხლზე  
ზააწებენ კალამს და ამით დაწერენ შელოცვას ქალაღღზე; ამ ქალაღღს შუბლზე  
დააფენენ ავადმყოფს და სისხლის დენა შეტერდება).

10

ძმამან ძმა მოკლა: კაენმა აბელი,  
სისხლო, დაწყნარდი, კმარა ნადენი!  
(შელოცვის ტექსტს სამჯერ იმეორებენ).



# ხოკისა<sup>1</sup>

1

მთასა გაკედი ლილოსა, წყალი მოდიოდა ლილისა.

ჩამოიარა ცხვარმა – არ დაღია,

ჩამოიარა საქონელმა – არ დაღია,

ჩამოიარა ღორმა და დაღია.

შეხვდა ხოკი და ონკოლი.

რა არის მისი წამალი?

– ქალა შაქარი, გვიკრიჭის ძირი,

ღორტაკი და ტყვიანაცარი.

ის აჭამე იმასაო,

მოუხდება ყიასაო.

(შელოცვა სრულდება სამჯერ. მთქმელის განმარტებით, „ეს აუადმყოფობა ბატმაც იცის და ღორმაც“).

2

აჯანჯალი მოჯანჯალობს

კარსა მელორისასაო.

მელორემა მიაძახა:

– გასწი ხეარასანთანაო!

ხეარასანმა მიაძახა:

– გასწი ნიშადურთანაო!

სამო ძმანო ხოკორკოლო,

დაგიყრიან თივასაო.


---

<sup>1</sup> ღორის დაკავება.

რომ ჩემი ლოცვა არ მოსწრებოდა,  
დაგასობდნენ რკინასაო.

3

აჩანჩალაძე, მაჩანჩალაძე, კარი მეღორისაო.  
ძელი დაკრა, წადი მეზობლისაო.  
რა არი ხოკის და ონკოლის წამალი?  
ტყეია, ქერი, პური ან ნაქვეტო ასეარე,  
აჭამე და მორჩება ღორი.



# თურქულისა<sup>1</sup>

1

გადმობრძანდა ქრისტე ღმერთი  
სამოცი მოციქულითა, ორმოცი მოწაფითა.  
შამაყეარა დედა მარიაჲ:  
– სად მიდიხარ, ჭირო-ჭინხრო?  
– მიედივარ ცა-ქვეყანაზე  
ადამიანის პირის სატკივებლათ,  
ხარის ჩლიქის საყრელათ.  
– ნუ მიხვალ, დამბადებლის მადლმა,  
თორემა დაგწვამ, დაგდგამ მარიანობის მზისით,  
შაგილოცამ შაბით, უმზეური წყლით,  
მარილითა და ძმრით ოთხშაფათ-პარასკეობით.

2

სახელითა მამისათადა ძისათა წმიდისათა.  
მოდლიოდა ჭირი უხსნელი  
მთასა ნისლივითა, ბარსა ცეცხლივითა,  
შემოყეარა იესო ქრისტე, ჰკითხა:  
– ჭირო უხსნელო, სად მიხვალო?  
– მივალ კაცთა პირთა შესაყრელათა  
და პირუტყვთა ჩლიქთა შესაყრელათა.  
– არა, მამამ, ძემან და სულმან წმინდამან, არ გაგიშვებ  
არცა კაცთა პირთა შესარყელათა  
და არცა პირუტყვთა ჩლიქთა შესაყრელათა!

---

<sup>1</sup> რქოსანი საქონლის (აგრეთვე ღორის) ჩლიქებისა და პირის ღრუს ინფექციური დაავადება. თურქულით დასწებუნებულ ხორცის ჭამისას ავადდება ადამიანიც.

# ცოფისა

1

ჰერე-ბერე, ჰერე-ბერე, აეთელო, კავთელო,  
ქრისტეე, შენა ხარ წამალი ცოფისა!

2

ბერე, ბერე, სერე, სერე, აეთელო, კავთელო,  
ქრისტეე, შენა ხარ წამალი ცოფისა!

3

ცოფიანის შელოცვა და წამალი: თუ ცოფიანმა ძალღმა უკბინოს, მაშინვე ის ადგილი ამოსჭერ. პირიდან სასაქმებელი მიეცი, ან, იაკობის მიწას ემახიან, ის დააღვინე. თუ ის არ იყოს, ცოფის ჭია რომ არის, ბუზი, ორ-ორი დაჩეჩქეე წყალში უთავოები და გაწურე, დააღვინე და მორჩება; ლეკვებს დააყრევენებს და ორმოცს დღეს ყოველთვის ეს ლოცვა პურის ნატეხებზე დაწერე და ჭამოს. ყოველს დილას ერთს ნატეხზედ — „აქასა“, მეორეზე — „ბაქასა“, მესამეზე — „საბაქასა“ და თუ იშოვნო გარიელის<sup>1</sup> ხორცს აჭმევდე და იმის წვეწს ასმევდე.



---

<sup>1</sup> ერთგვარი ფრინველი, ბატების ოჯახისა.

# ავი სულგბის მოსაშორებელი

1

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი:  
იროხ, მაროხ და კვირსტინე.  
გვედით მთასა მაღალსა სანადიროთ  
და ვერა ვპოვეთ კვალი ნადირისა,  
ვპოვეთ კვალი ალისა და ეშმაკისა:  
ისხდნენ კლდის ძირსა,  
ხელში ეყრათ ბადე აბრეშუმისა.  
და შევიპყართ იგინი ხელთა ჩვენთა.  
მათ ესხნეს თმანი გიშრისანი,  
კბილნი რვალისანი, წვიენი ჭიქისანი.  
ოროხ თქვა: – მოგკვეთთ ალსა თმანი გიშრისანი!  
მოროხ თქვა: – შთაგაყრევინთ ალსა კბილნი რვალისანი!  
კვირსტინემ თქვა: – დავაღეწთ ალსა წვიენი ჭიქისანი!  
მიუგო აღმან და ეშმაკმან:  
– თქვენ, სამნო ძმანო, სამებისა ძალისანო:  
იროხ, მაროხ და კვირსტინე!  
ნუ მოგკვეთთ თმათა ჩვენთა გიშრისათა,  
ნურცა შთაგაყრევინებთ  
კბილთა ჩვენთა რვალისათა,  
და ნურცა დაგვიღეწთ  
წვიეთა ჩვენთა ჭიქისათა!  
სადაც იხსენებოდეს სახელი ხეთისა,  
მამისა და ძისა და სულისა წმინდისა,  
და სახელი თქვენი,  
იქ ჩვენ არა მივახლოთ  
და არცა ვაენოთ მშობიერსა,  
და არცა ყრმასა ჩვილსა,  
და არცა ქრისტიანესა ნათელღებულსა!

და თუ შეყრილ ვიყოთ,  
დავდნეთ, ვითარცა თოვლი და კვამლი,  
და ვითარცა მარილი, და ვითარცა ქარი,  
ეგრეთ განვექარდეთ და განვეშოროთ  
და წავიდეთ ასს მილიონზე  
და არა ვაენოთ ჩვენ მონასა ღვთისასა!

## 2

ვიყავით სამნი ძმანი,

სამებისა ძალიხანი:

კეროზ, კუროზ, კერასტინე.

გავედით მთასა, ენადირობდით და ვერ ვიპოვეთ კვალი ნადირისა,

ვიპოვეთ კვალი აღისა და ვშმაკისა.

იჯდა კლდისა ძირსა, კანკურაზს შიგნით.

ეუწყარით ბადე დიდი,

დავიჭირეთ იგი ხელთა ჩვენთა!

მას ესხა თმანი გიშრისანი,

კბილნი რვილისანი, წვიენი ჭიქისანი.

კეროზ სთქვა: – მოვაკვეცოთ აღსა თმანი გიშრისანი!

კუროზ სთქვა: – დავაყრევინოთ აღსა კბილნი რვილისანი!

კერასტინემ სთქვა: – დავალეწოთ აღსა წვიენი ჭიქისანი!

მიუგო მათ აღმა და ეშმაკმა:

– სამნო ძმანო, სამებისა ძალიხანო:

კეროზ, კუროზ, კერასტინე,

ნუ მომკვეცავთ თმათა ჩემთა გიშრისათა,

ნურცა დამაყრევინებთ კბილთა ჩემთა რვილისათა,

ნურცა დამალეწავთ წვიეთა ჩემთა ჭიქისათა!

სადაც იხსენებოდეს სახელი ღვთისა,

მამისა და ძისა და სულისა წმინდისა,

იქ ჩვენ არ მივახლოვდეთ არცა ას მილიონზედა.

თუმც მივიდეთ, საჩქაროდ გაეშორდეთ

და არა ვამზნით რა ჩვენ ადამიანის სულსა!

(„ჩვენს ხალხსა სწამს, რომ ხშირად მოუნათლავ ყმაწვილებს ეშმაკებს ეპატრონებიან და დამ-ლამობით თავში სცემენ. რომ მაცდურს აღარა ბქონდეს ყმაწვილზედ მოქმედება, ასე ულოცავენ“).

3

აღლი, აღლი აღლისა, იკრიკალი ქალისა.  
საჩეჩელი ჭერსა, კილტუ სათიმაულისა, ვაი აღლისა თავსა!  
სამი ძმანი თაქტირიძე, სამი ძმანი ღალსულძე!  
დგანან კარსა, ჭრინან ნალსა, ვაი აღლისა თავსა!  
ადექ, აღო, კარში გადი, თუ არა, მოგჭრინან თავსა!  
(„აღლი“ ქალის ავადმყოფობა მშობიარობის შემდეგ).

4

აღლი, აღლი აღსა, საჩეჩელი-კარსა.  
ადექ, აღო, კარში გადი, ექვსი ძმა ყავს მასა.  
არ გახვალ და დაგარჩობენ, მოგაჭრინან თავსა!  
გაგპენტავენ და სიგცემენ ცეცხლსა და ნიავსა!

5

აღლი, აღლი, აღსა, ბადე – სასთუმალსა, საჩეჩელი – გვერდსა!  
ჩვენ ვიყავით სამი და, სამი ძმა, სამობისა, კერენჩხე<sup>1</sup> წმინდისა.  
– ნუ მოსტეხავ წელსა, ოქროსა და წვევსა,  
აღლი, აღლი, აღსა, ერდოის კარი ბიგსა.<sup>2</sup>

6

აღლი, აღლი აღსა, კალაპოტი-კაღსა, ბადე-სასთუმალსა.  
საჩეჩელი-გვერდსა, მიაყრიდი ჭალასა,  
მიაყრიდი ლილასა, ვარალიას თავსა.  
თავში თუ შესული არი, რას არკევედა მიწასა.

7

სახელითა ხეთისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმინდისათა!  
ედენიენთა ღაიღუ შამათე, ეღენია იავე ეგრამათე,  
ეგრესემ იოსი ერივანე და იონა იოსავე.

1 ავადმყოფობა, რომელიც ნელში ხრის, კაკავეს.

2 ერდოს კარი მომქერალა.

3 ამ სიტყვების მნიშვნელობა უცნობია.

ამათითა სახელითა შეიკრა პირი დევთა,  
ქაჯთა და გველთა და ყოველთა საჩინოთა და უჩინოთა მავნებელთა.  
იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო ცხოველისაო,  
იხსენი ყოველივე ჭირისაგან და ყოვლისა საეშმაკოსაგან  
და ყოველისა ცრუსა მავნისა და საცთურისაგან მონა ესე ღვთისა!

8

ეს ალაგი ბუკასია, ბუკას ხატი ასვენია.  
შიგნი ჯაჭვი, გარეთ ხაზი, ეშმაკების საფრთხობია.  
ეშმაკო, ჩამოეთხოვე, არა არს შენსა ნებასა!

9

ჰეე პიო, ჰიო პიო,  
ქალამანი კოპიო.  
წინ დამესვა ეშისა,  
ქალამანი შეეშისა.  
წმინდა გიორგმა დასწყევლოს  
ეშმაკების ფერხისა!

10

არკოს, მარკოს, ლოცვამ გარგოს!  
იანგრის მთასა, მთასა მივდივარ ლელაძისასა.  
კვალს ვეძებ ნაქაჯურებისასა!





# ყვავილ-ბატონებისა<sup>1</sup>

1

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!  
აქ ბატონები მობრძანდნენ, ვარდო ნანინაო!  
მობრძანდნენ და გაგვაზარეს, იავ ნანინაო!  
ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო!  
ქვეშ გაუშლით ხალიჩასა, ვარდო ნანინაო!  
იმასაც არ დავაჯერებთ, იავ ნანინაო!  
ზედ გაუფენთ ორზოსაცა, ვარდო ნანინაო!  
ამ ბატონების ღედასა, იავ ნანინაო!  
უღვია ოქროს აკვანი, ვარდო ნანინაო!  
შიგ უწევთ ბატონიშვილი, იავ ნანინაო!  
უსხიათ ოქროს ქორორი, ვარდო ნანინაო!  
ატლასის საბანი ჰხურავს. იავ ნანინაო!  
ზარ-ბაბთისა არტახებით, ვარდო ნანინაო!  
მოვის პერანგი უცვიათ, იავ ნანინაო!  
მთვარე გრეხილად უვლიათ, ვარდო ნანინაო!  
ვარსკვლავი ღილათ უბიათ, იავ ნანინაო!  
ლალის ჩანჩხურა უბიათ, ვარდო ნანინაო!  
გადაჰკვრენ, გადაარწევენ, იავ ნანინაო!  
ამოდ ბრძანებენ ნანასა, ვარდო ნანინაო!  
— შვიდი ბატონი და-ძმანი, იავ ნანინაო!  
შვიდ სოფელ მოკეფინეთო, ვარდო ნანინაო!  
შვიდგანვე დავციტ კარავი, იავ ნანინაო!  
შვიდგანვე მოვილხინეთო, ვარდო ნანინაო!  
იავუნდის მარანშია, იავ ნანინაო!

---

1 ბატონებისადმი (სხვადასხვა ინფექციური დაავადება) მიძღვნილი შელოცვები, რაკი ეს დაავადებანი უმთავრესად მცირეწლოვანებს ემართებათ, ძველთაგანვე სააკენო სიმღერებს დაუკავშირდა; ამდენად, ბატონების შელოცვათა ტექსტების უზრავლესობა სიმღერით სრულდება, რაც შელოცვის ზოგადი ნუსისათვის უცხოა.

ღვინო სდგას და ღალი სჭვივსო, ვარდო ნანინაო!  
შიგ ალვის ხე ამოსეღა, იაგ ნანინაო!  
ტოტუბი აქვს ნარგოზისო, ვარდო ნანინაო!  
ზედ ბუღბუღი შემოშვადარა, იაგ ნანინაო!  
შავარდენი ფრთახა შლისო, ვარდო ნანინაო!  
ია ვკრიფუ, ვარდო ვშალუ, იაგ ნანინაო!  
წან ბატონებს ვაუშალუ, ვარდო ნანინაო!

2

იაგ ნანა, ვარდო ნანა, იაგ ნანინაო!  
ბატონებინა ღელახა, იაგ ნანინაო!  
უდგია ოქროს აკვანი, იაგ ნანინაო!  
შიგ უწევს ბატონიშვილი, იაგ ნანინაო!  
უხხია ოქროს გონიორი, იაგ ნანინაო!  
ხანდისან ვაღაარწუგუნ, იაგ ნანინაო!  
ტკბილათ ეტყვიან მანასა, იაგ ნანინაო!  
იაგ ნანა, ვარდო ნანა, იაგ ნანინაო!  
ღატკბით, ღატკბით, ბატონებო, იაგ ნანინაო!  
შაქრათ, შაქრათ, ღააბღითო, იაგ ნანინაო!  
– თუთრი სღვიდან გიანუღით, იაგ ნანინაო!  
შვიდი და-მშანი ბატონი, იაგ ნანინაო!  
შიდ სოფელს შევეთინენით, იაგ-ნანინაო!  
ასე ღავდიგარო: სოფელში, იაგ ნანინაო!  
არც კაცი ღავვიწყენია, იაგ ნანინაო!  
არც რწყილი აგვიფრენია, იაგ ნანინაო!  
იაგ ნანა, ბატონებო, იაგ ნანინაო!

3

იაგ ნანა, ვარდო ნანა, ვარდო ნანინაო!  
აქ ბატონები მობრძანდნენ, იაგ ნანინაო!  
შვიდი ჯამი შარგალიტი, ვარდო ნანინაო!  
შიდ სოფელს ვაღაავაფინეთ, იაგ ნანინაო!  
იგრე შვეულთ ეზოსი, ვარდო ნანინაო!  
ძალლი არ შევაყუყუვით, იაგ ნანინაო!  
იგრე გავადეთ კარები, ვარდო ნანინაო!  
კარი არ დავაჭრიადეთ, იაგ ნანინაო!

იგრე ავხადეთ საბანი, ვარდო ნანინაო!  
ძილი არ შაურხიევით, იავ ნანინაო!  
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!  
ეს აკვანი ანწლისაო, იავ ნანინაო!  
შიგ მწოლეღი ცხრა წლისაო, იავ ნანინაო!  
იადონის მარანშია, იავ ნანინაო!  
.ღვინო დგება ლალი ფრისა, იავ ნანინაო!  
შიგ ალვი ხე ამოსულა, იავ ნანინაო!  
ნორჩია და ფრთებსა შლისა, იავ ნანინაო!  
მოულხინეთ ჩვენს ავადმყოფს, იავ ნანინაო!  
იგრე მშვიდობით წაბრძანდით, იავ ნანინაო!  
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!

#### 4

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!  
ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო!  
ქვეშ გაუშლი ხალიჩასა, ვარდო ნანინაო!  
ფარჩის საბანს წამოვასხამ, იავ ნანინაო!  
ჩვენს ყმაწვილებს ულხინევით, ვარდო ნანინაო!  
შვიდობითაც მაიბრძანდებით, იავ ნანინაო!  
მშვიდობითაც წაიბრძანდებით, ვარდო ნანინაო!  
გაუმარჯოს თქვენ მოსვლასა, იავ ნანინაო!  
გაუმარჯოს თქვენ წასვლასაც, ვარდო ნანინაო!  
ჩონგურითაც გაგისტუმრებთ, იავ ნანინაო!  
სუფრასათამც მოგართმევთა, ვარდო ნანინაო!  
იას და ვარდს გაგიფენთა, იავ ნანინაო!

#### 5

იავ ნანა, ბატონებო, ტყბილად, ბატონნო!  
დასტყბით, დაშაქრდით, ბატონნო, იავ ნანინაო!  
შედი და-მმანი წამოვედით, შედი სოფელს მოვეფინეთო.  
ისე დაედევართ სოფელში, ბავშვი არ დაგვიწვენია,  
არც ჩიტი აგვიფრენია, ტყბილად, ბატონნო!  
ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო!  
უდგია ოქროს აკვანი, შიგ უწევს ბატონიშვილი, იავ ნანინაო!  
საბან-არტახი ღიბისა, ჩანჩხურა მარგალიტისა, იავ ნანინაო!

გარს უსხედს ძიძა გამზრდელი, გადაჰკერენ, გადააკრავენ, იავ ნანინა-  
ტკბილად ეტყვიან ნანასა, იავ ნანინაო!  
ღასტკბით, დაშაქრდით, ბატონნო, იავ ნანინაო!  
ჰანტამა კბილი მომკვეთა, იავ ნანინაო!  
ჰანტამა, ჰანტუნამა, იავ ნანინაო!  
ვაჰ, თუ რამე გაწყვინე მე ჭკუადაფანტულმა, იავ ნანინაო!  
ულხინეთ ჩვენს ავადმყოფსა, იავ ნანინაო!  
სალხენი ოფლი უბოძეთ, იავ ნანინაო!  
ზეცას ვიყავ, ზეცა ენახეო, ვარსკვლავებსაც განვეზრახეო.  
მთვარემ კაცი მომიგზავნა: – აქ იყავ და რათ არ მნახეო? იავ ნანინაო  
– შენმა მზემა, არ მეცალა, სიძის ქუდსა კვერავდიო,  
გარ მურდა ხელსა ვუვლებდი, იავ ნანინაო!  
იასა კერეფ, ვარდსა ვკონავ, ბატონების გზასა ვფენავ, იავ ნანინაო!

## 6

– ბატონებო მხიარულო, კარგო, სამართლიანებო!  
– შეიდი და-ძმანი მოედინვართ, შეიდ სოფელს მოვეფინებით.  
ჩიტი არ აგვიფრენია, კაცი არ დაგვიწვევია.  
– თქვენი გზა დეილოცება, თქვენი აქ მობრძანებაო!  
ბატონებო, ვენაცვალებთ, დატკბებით და დაამდებთ!  
ძიძა-გამზრდელი გვერდით უზის, ხანდინან გარდუწვიანებს,  
ნანა, ტკბილად, ბატონებო!  
იას ვთესავ, ვარდსა ვკონავ, ვენაცვალებ თქვენს სახელსა!

## 7

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!  
აქ ბატონები მოსულან, იავ ნანინაო!  
გვიზაროდეს ყველასაო, იავ ნანინაო!  
ია და ვარდი ეფინოს თქვენს სატარებელ გზასაო, იავ ნანინაო!  
ბატონებისა დედასა ვარდნი უსხედან კერასა, იავ ნანინაო!  
– შეიდნი დანი, შეიდნი ძმანი შეიდ სოფელ შევეფინენით.  
იგრე შევედით ეზოში, ძალლი არ ავაყეფეთო.  
იგრე შევედით სახლებში, კარი არ შავაჭრიალეთ.  
იგრე შევეფინენით ბავშვებსა, დედას არ გვაგებინეთ.

(მთქმელის შენიშვნა: „ბატონებიან ავადმყოფთან ჩონგურს დაუკრავდით !

ეუბლოდით ხოლმე. ზოგჯერ საცვლებსაც იხდიდნენ და ჭერს ესროდნენ:  
„გაიხარეთ, ბატონებო!“).

8

დალოცვილო ბატონებო, მადიანებო,  
თქვენ წახვალთ და ჩვენ დაგეტოვებთ, გენაცვალეთყე!  
მუდამ თქვენი მადლობელი, დალოცვილებო,  
ია და ვარდი თქვენ გზასა, დალოცვილებო!  
თქვენ წახვალთ და ჩვენ დაგეტოვებთ, დალოცვილებო!  
მუდამ თქვენი მლოცავები, გენაცვალეთყე!

9

ქრისტემ დაკლა წითელი ფური,  
მოიწვია ყოველი სული და დაბადებული.  
წითელა-ბატონებმა უთხრა: — მე რატომ არ მიმიწვიეო?  
— შენ იმიტომ არ მიგიწვიეო, ჩახვალ ადამიანის ტანში,  
სიცხეს მისცემ, დაახველებ.  
— არა, იცოდეს მამა-ძემ და სულიწმინდამ,  
არ ჩავიდე ადამიანის ტანში,  
არც დავახველო, არც სიცხე მივცე!  
ავყვავდები ქონდარივით,  
ჩამოვცვივდები პურის ქატოსავით.

10

ბატონებო მშვენიერო,  
ლამაზო და ბედნიერო!  
ბატონებისა ჭალაში  
სულ ცეკაა და თამაში.

# ძილისპირული

1


ივანეო ღამისაჲ, მომცემელო ძილისაჲ!  
ძილი მიე მძინარესა და გონება მღვიძარესა!  
. . . . .სა<sup>1</sup> სძინავ, ქრისტე ჰფარავს, სულო წმინდაჲ, რა გინდა?  
შენ ქრისტესი ხარ, ქრისტე შენია, ქრისტეს ბეჭდითა დაბეჭდილი ხარ;  
მამა გაცვია, ძე გარტყია, სული წმინდა გარემოსნია.  
ოთხო თაო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე!  
საცა თქვენი სახსენებელი იხსენებოდეს, ყოველი მანე გაქრებოდეს!  
ჯვარი გეჭირა ჯვართა, სამებისა ძალითა.  
ჯვარი გწყალობს ჯვარცმული, ვერას გაცდენს მაცდური.  
გწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი.  
დასწვები, დაგეძინება: პირჯვარი დაგეწერება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი,  
მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზ დასხდებიან, დაღადობენ:  
უფალო, მოგვე ბადი ელისა, ბორკილი რკინისა,  
შეგვრათ, შეგვტედოთ მოარული ღამისა, მაკლებელი ძილისა!...

2

დაეწვები, დემეძინება, პირჯვარი დემეწერება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი პირითა დამესვენება.  
მე ქრისტე ვარ, ქრისტე ჩემია, ქრისტეს ბეჭედით დაბეჭდილი ვარ.  
მამა მაცვია, ძე მახურავს, სული წმინდა ზე მაფენია.  
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაკლებს მაცდური!

---

1 იტყვიან იმის სახელს, ვისაც უღოცავენ.



3

დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დემეწერება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავ-ფეხთან დემესვენება.  
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, მე ვერ მაცდენს მაცდური.  
მე ქრისტე ვარ, ქრისტე ჩემია,  
ქრისტეი ხელით მონათლული ვარ,  
ქრისტეი ბეჭედი ნეკი თითზე მაქ.

4

დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დამესვენება.  
იციინიან, ღადღადობენ, რკინა მოცეივა ბროლისა,  
ბეჭედი – სოლომონისა.  
მე მძინავს და სულიწმინდა მალეძებს.  
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მიზამს მაცდური.  
მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი!

5

დავწვები, დამეწერება პირჯვარი.  
ჩემთან არი ასი ხატი, ასი ჯვარი, ასი წმინდა ანგელოზი,  
წმინდა გიორგი, მთავარანგელოზი.  
შე ეშმაკო, არა ვარ შენსა ნებასა!  
ქრისტემ დამიხსნა, იორდანეს ნათლული ვარ,  
წყალკურთხევას დამხვდარი ვარ.  
შე ეშმაკო, დამეთხოვე, არა ვარ შენსა ნებასა!  
წმინდა გიორგო, შენ გამომისახე შენი პირი და ჯვარი!


6

დავწვები, დემეძინება, დიდი ღმერთი შემეწევა,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დემესვენება.  
ღმერთო, მარიდე ეშმაკი, ღმერთო, მარიდე ცდუნება,  
ახლა კარგად დამაძინე, დილით მომეცი გუნება!





დასწები, დეგემინება, პირჯვარი დეგეწერება,  
 ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დეგეფინება.  
 ჯვარი გწყალობს ჯვარცმული, კერას გაკლებს მაცდური.  
 გწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი.  
 ერდოს ჯვარი, კარ ბეჭედი,  
 ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!  
 ეს ადგილი მოსესია, მოსეს ხატი ასენია.  
 ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!





# სამეურნეო შეღობები





# აბრეშუმის ჭიისა

1

ლადიკამ უთხრა მაროსა:  
– ყაჭი კეთებას ვარობსა.  
მარომ უთხრა ლადიკას:  
– ღმერთი მაგას არ გვიზამს!  
მოი, ერთი შეულოცოთ,  
ენახოთ, მაშინ რას იზამს:  
შავი მუა შავითაო,  
შავი მისი ჯარითაო.  
შავსა პირი აუხვიე  
შავი აბრეშუმითაო  
უსულოსა, უგულოსა,  
წელმოწყვეტილსა, გლახასა!  
მთას ირემი დაცემია,  
იქაა მისი საჭმელი,  
იქაა მისი სასმელი.

2

შავი მუა შავითაო,  
შავი დიდი ჯარითაო.  
ბაკითა და ბუკითაო,  
შიშითა და ნარითაო,  
მაზრა მისი თავითაო.  
ჯარს ჩვენ ფეხი შეუკარით  
შავი აბრეშუმითაო.  
შენ უსულო, შენ უგულო,  
წელმოლწყვეტილო, წასულო,  
მე არ მშობი მშობარასა,

შენ ნუ მიზამ მე ზიანსა,  
შენ ნუ იზამ ამ ზიანსა!  
მთასა ირემი მომკვდარა,  
გადი, გავარას ჩაუქვი,  
იქაა შენი სასმელი,  
იქაა შენი საჭმელი  
ჰაიდა, ჰაიდა, გაეცალე, გაეცალე!

### 3

შავი მუა შავითა,  
შავი მისი ჯარითა.  
შავსა პირი აეუკრათ  
შავი აბრეშუმითა.  
გადი, გადიარე,  
გადი, გადიარე,  
გადი, გადიარე!

(ამ შელოცვით აბრეშუმის ჭიაზე შესეულ ჭიანჭველას აშორებენ).

### 4

შავი მოვა შავითაო,  
შავი პიხუ პიხუთაო.  
შავსა პირი აუხვიე  
შავი აბრეშუმითაო.  
იარე, მიარე,  
ჩემი აბრეშუმი  
აღარ დამიზიანო.  
შენი გზა აქ არაა,  
კარში გადიარე.

### 5

შავი მუა შავითაო,  
შავი მისი ჯარითაო.  
შავსა პირი აეუხვიე  
შავი აბრეშუმითაო.  
შავო, კარში გამეცალე

შენი შავი ჯართაო.

(აბრეშუმის ჭიას ჭიანჭველა რომ არ შესეოდა, აიღებდნენ ქინძის წვალს, მოასხამდნენ და შეულოცავდნენ).

6

სახელითა ღვთითა, ზამითა, ძითა, სულითა წმინდითა.

შავი მუა შავითა,

შავი მისი ჯართაო.

შავსა პირი შეუხვიე

ხამი აბრეშუმითა.

(ყაჭს რომ შავუფეხი (ჭიანჭველა) შეეხევა, მაშინ შეულოცავენ. შელოცვა სრულდება სამჯერ. სასურველია, სამი გვარის ქალმა შეულოცოს).

7

ავითაო — შავითაო,

შავი მაღაზონითაო.

შავი პირი მიეხურე,

მე არავის თავისაო.

ფუი, თეში გაქარი!

8

ჰუხუ, ჰუხუ, უსულო,

ჰუხუ წელში გაწყვეტილო!

შე უსულო, შე უგულო,

იარე, იარე, დინა-მიწაში შეიარე!

(ჭიანჭველა აბრეშუმის ჭიას რომ დააზიანებს, მაშინ შეულოცავენ. შელოცვა სრულდება სამჯერ).

9

აბდულო გლახაო,

ბჟუტურო გლახაო,

რა ხელი გქონლდა აქაო?

(აბრეშუმის ბობოღას (ჭიას) ჭიანჭველა რომ არ დასეოდა, სამჯერ შეულოცავენ. ჭიანჭველას სახელს არ ახსენებდნენ).

ყანჭო, ნუ გეშინია  
ელვასა და ჭუყელასი.  
შაეი კვიცი შამოგვხედა  
აბრეშუმის ძაფითაო.

(ამ შელოცვას ასრულებენ ჭკპა-ჭუხილის დროს. სამჯერ შეულოცავენ და ფანჯრებს ჩაკეტავენ).





# ამინდის მართვისა

## ახალი მთვარისა

1

მთვარე ვნახე შეიდანზე,  
გულით გახარებაზე.  
– მთვარეე, რა მომიტანე?  
– წელი მთელი, გული მთელი,  
ხელნაქმარი ზევერიელი,  
ჩემი ხელის დანაწყოები  
შაქრის უგემრიელესი,  
მიწის უხვევრიელესი.  
ჩემი საფულე ფულით გაესილი,  
მტერის თვალი დავსილი!

2

მთვარე ვნახე ნებაზე,  
ჩვენსა გახარებაზე.  
– მთვარეე, რა მოგვიტანე?  
– წელი მთელი, გული მთელი,  
ხელნაქმარი ზევერიელი.  
ჩვენი სკივრი ავსილია.  
მტერის თვალი დავსილია,  
ჩვენი ნამზად-ნარიგები  
შაქარზე უგემრიელესია.

3

თვარე მობრძანდა ნებაზე,

ჩვენსა გახარებაზე.

– თვარევ, რა მოგვიტანე?

– ტერი დაქცეული,  
მოყვარე აშენებული.

ჩვენი ხელით დანადები  
ყველაფერი ხეაერიელი,  
საჭმელი გემრიელი.

4

მთვარე ენახე ნებაზედა,  
ჩემსა გუნებაზედა.  
პურის ცომი ღვიერი,  
საქმე ბარაქიანი.  
მე ვცხონდე და შენ იზარდე!

5

მთვარე ენახე გორაზედა,  
საქმე ხანებაზედა.  
საფუარი მაფუანი,  
ზელი ბარაქიანი,  
შენამც გზაი გაიხანდებ,  
მეამც საქმე მიხანდება,  
კბილი მთელი, ჭია მკედარი.

6

შენ – დიანი, მე – ძმიანი,  
შენ – ქაჩალი, მე – თმიანი,  
შენ – თხიანი, მე – ცხვრიანი.

(ფშავში ახალი მთვარის დანახვაზე დაუწრუწუნებენ და ამ შელოცვას იტყვიან).

7

მთვარევ, მოდი ნებასა,  
ჩემსა გახარებასა.

გული თელი, ტანი თელი,  
საქნარი კი ხევერიელი.

(შელოცვის დროს ახალ მთვარეს პირდაპირ უნდა უყურო, ხელში უნდა გეჭიროს ფული და ოქრო. შელოცვის ბოლოს დაუწრუნუნებ. შელოცვა სრულდება სამჯერ).

## გვალვისა

1

ეხ, ლაზარე, ლაზარე!  
ლაზარ მოდგა კარსა,  
იფრიალა მთასა.  
მიდგა-მოდგა თაროსა,  
დაემგზავსა მთვარესა!  
ღმერთო, მოგვე ტალახი,  
აღარ გვინდა გორახი!  
შენ მოგვიყვან წვიმასა,  
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა!  
ორღობეში ტალახი,  
მინდვრის ბოლოს ბალახი.  
თეთრი ფური, ფურბერწი  
შენთვის მოგვირთმევია.  
თეთრი თხა და ციკანი  
თქვენთვის მოგვირთმევია.  
ეხ, ელია, ელია,  
რასა მოგიწყენია.

(„დედაკაცები ივლიან, გაღლობენ, თან დააქეთ ხატი. თეთრი ბამბის ფარჩის (მატყლის) კუკს გააკეთებენ, კარდაკარ სიარულში თან წყალს ასხამენ ამ კუკს“).

2

ახ, ლაზარე, ლაზარე...  
მიდგა, მოდგა თაროსა.  
დაემსგავსა მთვარესა.  
ცხავი აცხავებულა,

წვიმა განქარებულა.  
ორღობ-ორღობ ტალახი,  
მინდორს კაი ბალახი.  
აღარ გვინდა გორახი,  
ღმერთო, მოგვეც ტალახი!  
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა,  
შენ მოიყვან წვიმასა!

### 3

ლაზარ მოდგა კარსა,  
მიდგა-მოდგა მთასა.  
ცხავეი აცხავებულა,  
წვიმა მოჩქარებულა.  
ღმერთო, მოგვე ტალახი,  
აღარ გვინდა გორახი!

### 4

ლაზარ მოდგა კარებსაო, ლაზარ ბატონო!  
აბრიალებს თვალებსაო, ლაზარ ბატონო!  
წვიმა განქარებულაო, ლაზარ ბატონო!  
ცხრილი აგორებულაო, ლაზარ ბატონო!  
ღმერთო, დაგვენამე, დაგვენამე, ლაზარ ბატონო!  
მარგალიტის წვიმითაო, ლაზარ ბატონო!  
აღარ გვინდა გორახიო, ლაზარ ბატონო!  
ახლა მოგვე ტალახიო, ლაზარ ბატონო!

### 5

ლაზარ მოდგა კარსაო,  
აბრიალებს თვალსაო.  
მიდგა, მოდგა მხარესა,  
დაემსგავსა მთვარესა.  
ა, ელია, ელია,  
შენთვის რა მიწყენია?  
ერთი თხა და ციკანი  
შენთვის მოპირთმევია.

აღარ გვინდა გორახი,  
ღმერთო, მოგვეც ტალახი!

6

ლაზარია, ლაზარია,  
ლაზარ კარსა მოსდგომია,  
ატრიალებს თვალსაო.  
ღმერთო, მოგვეც წვიმის წყალი,  
შეგვინახე მზისა თვალნი!  
ამინ!

(ბავშვები შეიკრიბებოდნენ, გააკეთებდნენ ჯოხისაგან ჯურის გამოსახულებას, გადაცემოდნენ კაბას, წინ წაიმძღვარებდნენ ამ თოჯინას და დადიოდნენ მუზობლებში. მუზობლები მისცემდნენ კარაქს, კვერცხს, ფქვილს. ბოლოს ერთ ოჯახში მოიყრიდნენ თავს, გააკეთებდნენ სადილს და ყველა შეექცეოდა).

7

გონჯა მოდგა კარებსაო,  
აბრიალებს თვალებსაო.  
აღარ გვინდა გორახიო,  
ღმერთო, მოგვეც ტალახიო.  
გონჯას წყალი შემოასხით,  
დააყენებს ტალახსაო,  
ააყევებს ყანებსაო.

(„ზემო იმერეთში გვალვის დროს წყალს ხნადნენ, გზას დახეიბადნენ, ანდა „გონჯაზე“ წავიდოდნენ. განგებ გამურულ ქალს — „გონჯას“ მიჰყვებოდნენ ფეხშიშველი ქალები და ბავშვები და სიმღერას ამბობდნენ. რომელიმე ოჯახის დიასახლისი გამოვიდოდა და ცხრილით შეასხამდა წყალს მიმღვრავთ. ხალაძო ყველა შეიკრიბებოდა და იქეიფებდა).

8

ა, ბარბარე, ბარბარე,  
ცხრა ღრუბელი შაკყარე.  
ჩამოუშვი წვიმა,  
ჩამოუძეხ წინა.  
აღარ გვინდა გორახი,  
ღმერთო, გვინდა ტალახი!

## მზისა, წვიმის გადაკარებისა

1

მზეო, მზის მყოლო ანგელოზო,  
დაგელოცა სავალი და სადგომიო.  
დაგვადექი თვალწაღმე და გულწაღმე!  
ბედით მომაველო,  
დაგვიწერე კაც-საქონელს ჯვარი,  
ნურას გვიმატე ფურსა, ფურის ხბოსა, ფურის წველასა!

2

მზეო, მოდი ვაკესა,  
ცხვარ დაგიკლავ მაკესა  
დიგიმარილაჲ, შიგიწვაჲ, გაჭმეჲ,  
შენც გათბი და მეც გაეთბები.

3

მზეო, მზეო, გამოდი,  
ჩვენს ეზოში ჩამოდი.  
მიანათე ბაკებსა,  
ცხვარს დაგიკლავ მაკესა.

4

ლაზარია, ლაზარია,  
ლაზარ კარსა მოსდგომია,  
ატრიალებს თვალსაო.  
ღმერთო, მოგვეც მზისა თვალი,  
შეგვინახე წვიმის წყალი!

5

ახ, ლაზარე, ლაზარე,  
ცას ღრუბლები აჰყარე!

აღარ გვინდა ცის ნამი,  
ღმერთო, მოგვე მზის თვალი!  
აღარ გვინდა ტალახი,  
ღმერთო, მოგვე გორახი!

6

ოფროფინო, ოფროფინო,  
მზემა პირი გარმოფინო.  
შუუ, მზეო, ჩახე, მზეო,  
შენსა დედას ოყა ხყვანდა,  
არცა ხქონდა აკავანი,  
არცა გადასაკრავანი.  
ციხით ქალმა დაუძახა:  
— მია მაქვა აკავანი,  
ოქროს გადასაკრავანი.  
— არც მინდ შენი აკავანი,  
არცა გადასაკრავანი.  
შვილ მამიჭანს აკავანსა,  
ოქროს გადასაკრავანსა.

7

ლაზარიკო, ლაზო,  
აზანზარებ თასო.  
ჩვენ არ გვინდა წვიმა წყალი,  
ღმერთო, მოგვე მზისა თვალი!  
ამინ!

(დიდი წვიმების დროს ბავშვები ჩამოივლიან სოფელში, მ ერიან და თან სანოვაგეს აგროვებენ. შემდეგ ერთ-ერთ მოსახლესთან მოიყრიან თავს და თღეფებენ).

8

აღარ გვინდა ტალახიო,  
ახლა გვინდა გორახიო.

(გვალის დროს თუშეთში იციან წყალში მიცვალებულის ძვლის ჩაგდება. თუ ამან გამოიწვია ხანგრძლივი აედარი, ძვალს ამოი ებენ და დარს შესთხოვენ).

9

წვიმა, იკარე, იკარე,  
ცხრა მთასა გადაიკარე!  
ცხრა მთას იქით გორასა  
ვირი ხნავდა ბოსტანსა.  
— ვირო, ვისია ყანა?  
— ასის არის, ბასის არის,  
ქუთათელა კაცის არის.  
ქუთათელა კაცუნამ  
ძალლი გამომისიანა.  
გერც მიკბინა, ქეც მიკბინა,  
ისე დამასისხლიანა.

## ნისლისა

1

ნისლო, ინდი ყარე, მინდი ყარე,  
ცხრაი გორა გადაყარე.  
შენი ცოლი ორსულადაა,  
სამი შვილი მისცემია:  
ერთი — გონჯი, ერთი — კოჭლი,  
ერთი — ყველას უკეთესი.  
სახლის მამალი დუუკლან,  
შენდა თავი შეუნახვან.  
ადრე მიხვალ, შიგინახვენ,  
გვიან მიხვალ, შიგიჭამენ.

2

ნისლო, ნისლო, გადიყარე,  
ცხრაი მთაი გადაიარე.  
შენი ქალი ორსულად ყოფილა,  
სამი ბაღანე მისცემია:  
ერთი — ბრუნდი, ერთი — კოჭლი,  
ერთი — ყველაის უკეთესი.  
იგიც ჭურში ჩუუყრიენ.



ქალიც აკივლებულა.  
წათელი ხარი დუუკლიან,  
თავი შენთვის შუუნახვან.  
ადრე მიხვალ, შევინახვენ,  
გვიან მიხვალ, შევიჭამენ.

3

ნისლო, ნისლო, აიყარე,  
ცხრა მთას იქით გადიყარე.  
შენი ქალი დაწოლილა,  
ცხრაი ბაღვი ყოლია.  
შვიდი ღელეს მიაქ,  
ერთი იწვის, ერთი ღებება.  
თუ მუუსწრობ, ყველაი მოგიჩრება,  
თუ ვერ მუუსწრობ, ყველაი მოგიკდება.

4

ნისლო, ნისლო, ვიყარე,  
ცხრა მთას იქით გედიყარე.  
შენი ქალი დაწოლილა,  
სამი ბაღვი ყოლიაო:  
ერთი – კუტი, ერთი – ლალი,  
ერთი – სულ ყველაზე კარგი.  
ღელე-ღელე შეიარე,  
კოპით წყალი უუტანე,  
მალე ახვალ, მოგიჩრება,  
გვიან ახვალ, მოგიკდება.

5

ნისლო, ნისლო, ვიყარე,  
ცხრა მთას იქით, ცხრა გორასა.  
შენი ქალი ავათ არი,  
ტყუპი შეილი ყოლია:  
ერთი კაი და ერთი გონჯი.  
ღელე-ღელე შეიარე,

კობი წყალი უუტანე.  
მალე ეხვალ, მოგირჩება,  
გვიან ეხვალ, მოგიკტება.

## 6

ნისლო, ნისლო, ეიყარე,  
ცხრა მთას იქით გედეიყარე.  
მზევ, ჩამოდი ვაკესაო,  
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო.  
შიგიწვავ, შიგიმარილავ,  
შამოგიდევ თავქვეშო.  
თუ მოხვალ, შენ შეჭამო,  
თუ არა და მე შეეჭამო.

## 7

ინდი ყარე, მინდი ყარე,  
ნისლო, ნისლო, გადიყარე.  
შენი ქალი ორსულადაა,  
სამი ბიჭი მისცემია:  
ერთი – კაი, ერთი – გლანა,  
ერთი – ყველას უკეთესი.  
წიკარაი დუუკლიან,  
შენდა თავი მუუნახვან.  
ადრე მიხვალ, შიგინახვენ,  
გვიან მიხვალ, შიგიჭამენ.

## 8

ადექი, ნისლო, ეიყარეო,  
ცხრა მთას იქით გედეიყარეო.  
დედაშენი დალოგინებულაო,  
შეიდი ვაჟი ყოლიაო:  
ერთი – კუტი, ერთი – თოფალი,  
ერთი – ქორი, ერთი – ყრუ...  
და ერთი ყველას ჯობიაო.  
მიუსწრებ, მორჩებთან,

ვერ მიუწრებ, მოკტებიანო.

9

ნისლო, ნისლო, ეიყარე,  
ცხრა მთას იქით გედეყარე.  
შენი ქალი ორსულად ყოფილა,  
სამი ბალანაი ყოლია.  
ერთი გელ წუუყვანია,  
ერთი დათვ წუუყვანია,  
წადი, მიეშველე და მოძებნე.

## სეტყვისა

1

კვარკვალო ბედნიერო, ღელე-ღელე იარუო.  
კოხის წინამძღომელო, გვიშველე!  
დამბადებელო, გვიშველე!  
გვიშველე შენის მადლისათვის,  
მთაგარანგელოზო, გვიშველე!


2

კოხი წავიდეს, კოხს ნუ მოიყვან,  
მოსავალში გაგვიმარჯვე!

(კოხის დროს გამოიტანდნენ ხოლმე ტაშტებს, უძრახუნებდნენ და იხე შეულოცავდნენ).

3

თოვს, თოვს, ხოშკაკლავს,  
დარიჯანაი ყორ დაკლავს.  
დააჭრის და ბაყეებსა,  
გამოგზავნის ბლაყეებსა.



1

ქარი ბრძანდები ქარსავე,  
 ქარი ბრძანდები ქარწითელ...  
 ქარი ბრძანდები ქარყვეთელი,  
 ქარი ბრძანდები ქარლურჯი,  
 ქარი ბრძანდები ქართეთი,  
 ქარი ქართვეიქისა ზარ,  
 შინ მოხვეოდი ძირთა ყანასა.  
 ქვეყანაში ყივნილია<sup>1</sup>,  
 ყივნილში საყდარია,  
 სამი ხეთის ამბავი ეწერა.  
 — შე პირდამტვრეული ქარო,  
 სად გაზდილი ხარ, სად გაშობილი?  
 — დიდ მინდორში გაზრდილი ვარ,  
 ცხენისწყალში გაშობილი.  
 ფუ, ქარი გაქარდა,  
 ფუ, ქარი გაქარდა,  
 ფუ, ქარი გაქარდა!

2

ქარო, ადექი, ჩადექი,  
 შენსა მზესა მიადექი!  
 შენსა ცოლსა მარიამსა  
 ჰყოლებია სამი შვილი:  
 ერთი-კოჭლი,  
 ერთი-ბრუციანი,  
 ერთი-ყველაზე კარგი.  
 რომელიც კარგი ყოფილა,  
 ის კი ავად ყოლია,  
 ადრე ჩახვალ, მოვირჩება,  
 გვიან ჩახვალ, მოგიკვდება.

<sup>1</sup> ყინული.

## 3

ავარდი, ქარო, ჩავარდი,  
 შენს ბუდეში ჩავარდი.  
 შენი ცოლი ოსულია, <sup>h</sup>  
 ადრე მიხვალ, მოგიჩეხა,  
 გვიან მიხვალ, მოგიკვდება.  
 ქარი-ქოთანს ქვეშ,  
 ქოთანი – ქვას ქვეშ.

(სამჯერ შეულოცავენ, დაამზობენ ქოთანს და ზედ ქვას დაადებენ).

## 4

პირველი ვარ დედისა,  
 წამალი ვარ ქარისა.  
 ჩადექ, ქარო, ჩადექი!  
 პირველი ვარ დედისა,  
 წამალი ვარ ქარისა.  
 ნუ დაამტვრევ ჭირნახულს,  
 ნამუშევარს კაცისა!

(შეულოცვას იტყოდნენ და სახლის ოთხივე კუთხეში წყალს ჩაასხამდნენ).

## 5

პირველი ვარ დედისა,  
 წამალი ვარ ქარისა.  
 ქარი – ქვის ქვეშ,  
 ქვა – ქოთანქვეშ.  
 ჩადგა ვირი, უუუუუ!..

## 6

ქარო, ადექი, ჩადექი!  
 შენი ქალი ორსულადაა.  
 თუ ჩადგები, ქე მორჩება,  
 თუ არა და ქე მოკვდება.

(დედი ქარის დროს დობის ჩაღას მიაკრავდნენ კიბეზე და ისე შეულოცავდნენ).

7

პალო ასვია, ვირი აბია,  
ქარო, ცოლი ორსულად გყავს.  
ადრე ჩახვალ, მოგიჩეხა,  
გვიან ჩახვალ, მოგიკვდება.

(ქარი რომ ამოვარდება, კარის ყურეში წყალს ჩაასხამენ და სამჯერ შეულოცავენ).

## ჭექა-ქუხილისა

1

თავ რკინა, გული მაგარი,  
ჩვენი ყანა გამძღარი,  
ლეკის ყანა დამძალი,  
ჩემი წელი მაგარი,  
ლეკის წელი დამძალი!

(გაზაუხულის პირველ დაქუხებაზე გულსა და წელზე რკინას მიიდებდნენ და ისე შეულოცავენ).

2

ზურგი, ზურგი მაგარა,  
ჩვენი ყანა მძღარა,  
ლეკებისა დამძალა.



# ბოსტნის ჭიისა

1

უცხო პეპელა მოვიდა, უცხო, უცხოსა ჯერიო,  
მან მახუნძველი გვიშობა წაღმა-უკულმა მჭრელიო,  
არგან ტებუცი წამოგარ, გამრუდდა, ვითა კერიო,  
მას მაცხოვარი შერისზდა, დაჰკარგა, ვითა მტვერიო.  
აზნაურო, მეცა მკითხე მეზოზისა დიაცისა,  
ზურგსამცა ვინც დააკერა უკუდელისა მოზურისა,  
მისიმცა არს წამალი ზედა ნაცარი დაყრითა,  
მე ელოცავ და ქრისტე ჰკურნავს ჯვარიცა ქაჯიოსნითა.

2

ჭიამა შეილი მამპარა,  
ჭიამა, ჭია-ღუამა.  
უსულომა, უგულომა,  
უფეზომა, უხელომა.  
დაეცემ ბარსა,  
მოეჭრი თაესა,  
გაეკრამ ცოცხსა,  
მიეცემ ზღუასა.

3

სახელო, სახელითა ძისათა, მამისათა, სულისათა შმინდესათა.  
პირშავმა შავმა ჭიამა  
დამიჭამა ხარით ნახნავი,  
კაცისა ნამუშევარი.  
რა არის იმისი წამალი?  
– შადეგ ცივსა ქვაზედა,



გადასძახე წმინდა ნინოსა,  
ის ვასწავლის იმას წამაღება.  
სამი გოჯი ნატარი, სამი გბრლი ნიორი,  
სამი კენიწი მარილი, მყრაღა ბალანე,  
ნიგეზის ფოთოლი, შავტარა დანა.  
პირბანელა ხელითა, პირბანელა პირითა,  
ემეფლება ხელითა.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი პირუჯარი!

4

საბელო სახელეთა.  
მალლა შეგდექ ციხესაო.  
გადაეხედე ზმეფლეთსაო:  
კაცი მოღის, ღოტირის, ღოჩივის.  
— რა გატირებსო, რა გაჩივლებსო?  
— კაცისა ნამუშევარსა, ზართა ნახნავსა  
ჭია-ღუა მიჭამს.  
რა არის იმის წამალი?  
— ნიერის კბილი, მარცლის კენიწი,  
კაკლის ფოთოლი, მყრაღა ბალანე.  
ეს არის შენი წამალი!  
მოსტრის კბილსა, ჩააწურებს თვალში.  
ეგ არის მაგის წამალი!

5

მაბრა ზიღის თაგის საბლში,  
ზიღის, მიუხარია.  
ვინც იმას არ მოკლავს,  
იმას არ გაუხარია!

(მიწია დაბეშავეებისას ზაბრას რომ დაინახავენ, მოკლავენ და თან საბუჯერ  
შეულოცავენ).

6

არდალოლდი, მარდალოლდი,  
მატლო, ჩემს ფხალს დიებსენი,

სხვის ბაღჩაში გადალოდი!

(ახალ ფხალს რომ მატლი დაესოდა, ადამიანის თმის ბეწვს მოაბამდნენ მატლს წელზე, ხაშარზე ჩამოჰკიდებდნენ და შეულოცავდნენ).

7


აა, ფულუ და ლუფუს კვერი,  
აა, მიწა და უკუძვერი!

(იმერეთში ფულუს ფორმის კვერებს დააცხობდნენ, ეზოს გადაღმა გადაიტანდნენ, თვალდახუჭულები შეულოცავდნენ და კვერებს შეჭამდნენ).

8

ენძელ, ენძელ ყურადაო,  
ჭია-ღვია კარადაო.  
შენ ქვას ქვედა, მე ქვას ზედა,  
შენ ქვიშით, ქვით გამძღარიო,  
მე პურით და ყველით გამძღარიო.

(„როცა ენძელა აყვავდება, მის თაუთავს შუაზე გახლენენ, ორივე ყურთან მიიღებენ და იტყვიან“).



# გართ დარჩენილი საქონლისა (ნადირის პირის შესაკრავი)

1

შაულოცამ მგლისასა.  
გკენია, ბეკენია,  
ბეკენ ხატი ასვენია.  
ერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრაკლიტური რკინისანი!  
შაკარ, შახეჭდე  
პირი მგლისა, ხელი მეკობრისა!  
მიე მგელსა ყური ბანდისა,  
კბილი დინდგილისა,  
თვალი ფისისა,  
ენა ნაბდისა,  
გაზნი სანთლისა!

(საყარცხელზე ახევეენ ძაფს და თან შულოცვას იმეორებენ სამჯერ, მერე  
საყარცხელს ხელუკუღმა დასდებენ კარებს უკან).

2

სახელო, სახელითა მამითა ძითა, სულითა წმინდითა.  
შაულოცამ მგლისას, ნადირისას.  
ერთო ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრა კლიტური რკინისაო!  
შენ შაკარ და შახეჭდე  
პირი მგლისა, ხელი მეკობრისა!  
შენ მიე ყური ბანდისა,  
თვალი ფისისა,  
კბილი გაზმი სანთლისა,

ენა ნაბღისა.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

(დაპარტუღული სატონელი რა? მგელმა არ შექიზა, შეულოცავენ. შელოცვის დროს საერთოცხლის ცბილებს კრავენ ღაფით და ასე შეკრულს მანამდე შეინახავენ სანამ სატონელს არ იძონიან).

3

საბელითა ღვთითა, მაშითა, მითა, სულითა წმინდითა.

აი, ღმერთო, გადმოუშვი  
ცხრაკლიტული კლიტოსანი,  
ნადირს კბილი შოუკარი,  
მარშალოსა ხელი, ფხარი.  
მერცხალი შუა შუილით,  
შენ, ანგელოზო, კილტე მომე,  
ჩაეგდებ ზღვასა,  
არ ამოუშობ ჟანსა

საბელითა ღვთითა, მაშითა, მითა, სულითა წმინდითა.

ლოცვა ჩემი, ბრძანება ღვთისა,  
წარგება წამსა  
ჩვენც ტყეში დატიებული ძროზისა.

4

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
საკინდლები რკინისანი!  
ღმერთო, შეკარ პირი მგლისა,  
ხელი მტრისი, მეკობრისი,  
ჩვენ საქონზე მომავლისი!

(შეშლოცველს ხელში უჭირავენ მაგრატელი და შელოცვასთან ერთად ზედ ბაწარა ახუნებს, მერღ მაკრატელს შეკრავს და საჭონლისა პოვნამდე შეინახავს).

5

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრა კლიტენი რკინისა!  
შაკარ, შაბოჭე პირი მგლისა!  
ჩვენსას ერიდებოდეს,

სხვისას ემტერებოდეს.  
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

6

ეკენია, ბეკენია,  
ბეკენს ხატი სვენებია.  
იოვანე მოღაღღადებს  
მეუფისა კარზედა.  
მეუფეო, ჩამოაგდე  
ხიბორკალი რკინისა,  
ჩააგდე ზღვაში  
ამაღამ ჩენი პირუტყვების,  
უწვაე-უხარშავის მჭამელი!  
ნადირს კბილი შეუკარი,  
ნუ გაუშვებ გზაში!

(„სამჯერ გაიმეორებენ ამ სიტყვებს და შემდეგ შეახვევენ აბრეშუმის სარტყელში მარტყელს, სავარცხელს და სია ქვას. მერე გამოიტანს შემლოცველი ამაღს გარეთ, გაიშვებს ცისკენ ხელს და იტყვის:

სამო ძმანო მარსკელავო,  
შენ გებარებოდეს ამაღამ ჩემი პირუტყვები!

ამასაც სამჯერ გაიმეორებს. შემდეგ შამოტრიადღება წაღმა და ამაღს გარეთვე შაინახამს. სარტყელს არ გამოხსნიან მანამღი, სანამ ან მკედარს და ან ცოცხალს არ იპოვნიან პირუტყვს.“)

7

სახელი სახელითა, სულითა წმინდითა.  
ეკენია, ბეკენია,  
ბეკენს ხატი ასენია.  
შიგნით ჯაჭვი, გარეთ ხმალი  
ეშმაკისა მადეგარი.  
ღმერთო, შეკარ, შებოჭე  
კბილი დათვისა, კბილი მგლისა,  
კბილი უწვაე-უხარშავის მჭამელისა!  
მალლა ღმერთმა გადმოაგლო  
ხიბორკალი რკინისა.

ნადირს კბილი შეუკარი,  
მეკობარსა ხელი, მხარი!  
ჩააგდე ზღვაში,  
ნუ გამოუშვებ სახლში!  
დასწერე, ღმერთო, შენი ჯვარი,  
მიქელგაბრიელ მთავარანგელოზო,  
გამჩენო ღმერთო,  
სანამ აი მე არ გაეხსნა,  
მანამდე ნუ გახსნი ნადირის კბილსა!

## 8

ეკენია, ბეკენია,  
ბერსა ხატი ჩვენებია.  
სადაც ჩვენი ძროხა არი,  
ის ადგილი წმინდანია,  
წმინდა მეუფლისანია.  
მეუფეო, ჩამოყარე  
ცხრა კლიტული რკინისაო,  
ნადირს პირი შოუკარი,  
მეკობრესა ხელი, ფხარი,  
ჩააგდე ზღვასა,  
ნუ გოუშობ გზასა!  
ღმერთო, გოუხადე კბილი ბამბათა  
და ტოტი მატყლადა!

## 9

ეკენია, ბეკენია,  
ბეკსა ხატი სვენებია.  
ღმერთო, ღმერთო, ჩამოკიდე  
ცხრა კლიტე და კლიტოსანი,  
ნადირს კბილი შეუკარი,  
მეკობრესა ხელები!  
ჩააგდე ზღვაში,  
ნუ ამოუშვებ გზაში,  
სანამ ჩვენი ძროხები  
არ მოვლიან სახლში!

(მოქმედის რწმენით, ამ შელოცვის შემდეგ მგელი ვერაფერს დაატლებს საქონელს. შელოცვისას სარტყელს ახვევენ როდინის ქვას, მაკრატელს, ხაეარცხელს და თაროზე შემოსდებენ. შელოცვა ხრულდება ხაშკურ).

## 10

ეკენია, ბეკენია,  
ბეკენ ხატი სვენებია.  
ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრაკლიტული კლიტოსანი ბეჭეღია.  
გადაგდე ზღვასა,  
ნუ გოუშვებ გზასა.  
ბოსტანსა მზე ამოსულა,  
ეფარება გრძელ ყორესა,  
რუსუდან, ქვეყნის ასულო,  
დაიფარე ჩემი საქონელი  
ნადირისა კბილისაგან!

## 11

ანეკია, ბანეკია,  
ნადირ კბილი დარეკია.  
ღმერთო, ღმერთო დიდებულო,  
ჩამოყარე ცხრაკიდული კიღობანი.  
ნადირ კბილი შეუკარი,  
მეკობარსა ხელ-მხარი,  
ჩააგდე ზღვაში!  
ღმერთო, მიეცი ანწლის ფეხები,  
ხანთლის კბილები!  
სამო და სამო მასკვლაგო,  
შენ დეიპატივე ამაღამ ჩვენი საქონელი  
ნადირი კბილისაგან,  
გლანა საქმისაგან,  
ავი საქმისაგან!

(მაკრატელს და ხაეარცხელს შეკრავენ ქაპრით და თან შეულოცავენ. შეკრულ ნივთებს ბოსლის თავზე აწვობენ. საქონელს რომ იპოვნინან, მერე გახსნიან).

12

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
ცხრა კიდული კიდოსანი,  
ნადირს კბილი შეუკარი,  
მიზღებულთა ზელთა მსარე!  
ჩააგდე ზღვასა,  
ნუ აუშვებ ჟამსა.  
კბილი უქციე ნაბდათა,  
მუზლი უქციე ანწლადა!  
სამოცდასამო მარსკელავო  
და სამოცო ანგელოზო,  
შენ გებარებოდეს ჩემი საქონელი!

13

ეკენია, ბეკენია,  
ბერსა ხატი სვენებია.  
ღმერთო, ღმერთო, ჩამოაბი  
ცხრაკლიტული რკინისაო.  
შეკარ, შებეჭდე  
უწვაგ-უნარშავის მჭამელი!  
ააშორე ჩემს ცხვარს,  
გადააგდე ზღვას!  
ღმერთო, დასწერე ჯვარი შენი,  
გადააგლე შენი წყალობის თვალი!  
ლოცვა ჩემი და ბრძანება შენი.  
დაღუპე, მოსპე ნადირი და ქურდი,  
შოუკარი კბილი!

(შელოცვისას საკეცვს (მაშა) თოკით პირს შეუკრავენ და შეინახავენ).

14

ეკენია, ბეკენია,  
ბეკენს ხატი სვენებია.  
შიგნით ჯაჭვი,  
გარეთ დაეხვდი



ემმაკი და მაცღურიო.  
მეუფეო, გადმოუშვი  
შენი ოქროს ბეჭედო,  
შენ შეკილტე, შენ შებეჭდე  
მახარანცის კბილებიო!  
ჩააგდე ზღვაში,  
არ გაუშვა გზაში!

15

ეკენია, ბეკენია,  
ბეკენს ხატი სვენებია.  
ივანე მოლაღაღობსო  
მეუფისა კარსა.  
ივანე, კლიტე მათხოვე,  
გადავაგდე ზღვაში!  
სამას სამოცდახუთო წმინდა გიორგი,  
ნუ გოუშობ გზაში,  
გებარებოდეს ჩემი დაკარგული!

16

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ეკენია, მეკენია,  
მეფეს ხატი სვენებია.  
იოანე მოლაღაღებს  
მეუფისა კარსა.  
ჩააგდო ხიბორკალი რკინა ზღვასა.  
შეუკარი ნადირს კბილი,  
ნუ გაუშვებ გზასა.  
ღმერთო, შენ ააშორე ჩემ ძროხას  
უწვაე უხარშავად მჭამელი,  
სტოლზე დაუღებელი,  
მარილწოუყრელი!

17

მგელი მოვა მგელოსანი,  
თვალი მოაქვს ცეცხლოსანი,  
კბილი მოაქვს ოქროსანი.  
მეუფეო, გადმომიგდე  
ცხრა კლიტე და კლიტოსანი.  
მეკობრესა ზელსა, მკლავსა,  
მხეც-ნადირისა კბილსა  
შეკრაუ, შევბეჭდაუ,  
ჩავაგდებ ზღვასა, არ ამოუშვებ.  
ღმერთო, შეუკარი მანენს,  
უსწავე-უხარშავის მჭამელს კბილები!

(ამ შელოცვის შემდეგ ფილთაქვას და სავარცხელს შეკრავენ სარტყლით და ზედ გადაამხობენ კოთხოს).

18

მგელი მოვა მგელოსანი,  
თვალი მოაქვს ცეცხლოსანი.  
სამი მგელი ელეს მივა,  
მკერდი მისდევს შუბითაო.  
ივანე მოლაღადებსო:  
— ჩემი ძროხა რა იქნაო?  
ა, ციხე და ა, ქალაქი,  
წმიდად შეუფარებია.  
წმიდაო, ღმერთო, გვედრები,  
გადმომიგდე ცხრაკლიტული,  
ჩააგდე ზღვაში,  
ნუ გაუშვებ გზაში.

19

სახელი სახელითა ხვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
ორშაფათს დილასა  
პრასას ეჭამდი და ჭადსა.  
მოგელა შემეყარა  
პირსა ლამის კოცნასა.

მამა დგებოდა.

უფალო, ნადირს კბილი შეუკარი,  
მეკობრესა – ხელ-მხარი.

ჩააგდე ზღვაში,  
არ გაუშვა გზაში!

მამაო უფალო,  
ჩემი საქონელი მშვიდობით მანახე!

20

ცას აეკიდე კიღობანი  
აღისა თუ მალისაო.

შინა ყრია ფხარ-ბარკალი  
თიკნისა თუ კრავისაო.

ღმერთო, გამჩენელო, შენ ჩამუგდე  
საგდებელი კინისაო!

ღმერთო, გამჩენელო, შენ შუბუბუტდე ნადირს კბილისაო!

(შემლოცველს ხელში უჭირავს ჯაჭვი და კოჭავს. შელოცვის დამთავრების შემდეგ ჯაჭვს დადებს და სჯერა, რომ „საქონელთან ნადირი ვერ მივა, კბილი დიეკოჭება“).

21

ეგერ გელი!

კილტე მინდა.

რავა რათ მინდა!

ჩემ ძროხასთან მიმსლელისა

ნადირისა კბილები

ჩაეკოჭიჭე, ჩაებეჭიჭე,

ქვას ქვეშ შამოუდე.

ცხელი კინა ზეიდან დავადევი,

მივეც ქარსა და ნიავსა.


22

არარია, ვარარია,

ვახ, რა წმინდა ალაგია!

ქრისტე, შეჰკარ-შემოჰკარი,


ააგლე-ჩააგლე ზღვაში,  
ნუ გამოიყვან უკუნის ქამში,  
ნუ არონიებ საქონლის კვალშიო!



# დახლოართული ძაფის გამოსარჩევი

სამნი ძმანი ს. კლანჯი.  
სამთავ წითელ ქუდეები.  
ერთი – ხელანჯი,  
ერთი – კვლანჯი,  
ერთიც – გამოსარჩეველი.

(ქსოვის დროს ძაფი რომ გაიკეანებოდა, საზჯერ შუულოცაფენ და გაიხსნებოდა).



# ვენახისა

1

აგუნა, აგუნა, გამეიარე,  
ბახვი, ასკანა გადმეიარე.  
ჩვენს მამულში ყურძენიო,  
მტრის მამულში ფურცელიო.  
ჩვენს მამულში გოდრითაო,  
მტრის მამულში გიდლითაო.  
აგუნა, აგუნა, გადმეიარე –  
ბახვი, ასკანა გადმეიარე...  
ჩვენს მამულში ყურძენიო,  
მტრის მამულში ფურცელიო!  
ჩვენს ქალებს ჩერია-კვირისთავიო,  
მტრის ქალებს „ჩხირი“ და ვირის თავიო.  
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო,  
მტრის მამულში კიმპალ-კიმპალიო.

3

აგუნამ ჩამეიარა,  
ჩვენი მამული ჩეიარა,  
წივი შეიტეხა,  
ღვინის ღვარი ააყენა,  
ისხა, ისხა, ისხა...  
გამოდმა ყურძენი,  
გაღმა ფურცელი!

4

ჩვენს ვენახში ძინძა-ძინძა,



სხვის ვენახში კუმპლა-კუმპლა  
ჩვენს ვენახში ფურძენიო,  
სხვის ვენახში ფურცელიო!

(„დიდ ხუთშაბათს ბავშვები დაანთებდნენ ცეცხლს და დაიძახებდნენ“).

## 5

ჩემს ეზოში გოდრა-გოდრა,  
სხვის ეზოში მუჭა-მუჭა!  
ჰოურული, კუდიანო!  
ჩემს ეზოში გოდრა-გოდრა,  
სხვის ეზოში კუმპლა-კუმპლა!  
ჰოურული, კუდიანო!  
შენი სვი და შენი ჭამე,  
ჩემი კარგად შეინახე!  
ჰოურული, კუდიანო!  
შენი სვი და შენი ჭამე,  
ჩემსას ჯვარი დამიწერე!

(დიდ ხუთშაბათს ვენახის ბოლოში წაიღებდნენ ვაზის ღერწებს. დაკრიდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. იქვე მიიტანდნენ რკინეულობას, უბრაახუნებდნენ და სამჯერ შეულოცავდნენ).

## 6

ჰაუ, ჰაუ, ქვარიანო,  
შენი სვი და შენი ჭამე,  
ჩვენსას ჯვარი დაგვიწერე!  
ჩვენს ვენახში ძარა, ძარა (გოდრა, გოდრა),  
თქვენს ვენახში კიმპლა, კიმპლა (ბურდა, ბურდა),  
ვეერული კუდიანებსა,  
ჯვარი აქაურობასო!

(„დიდ ხუთშაბათს დილაზე უბრად გაეიდოდნენ და მწარე ბაღს დაასობდნენ ჭურის თავზე, ვენახში, სახლში და სხე... საღამოს აანთებდნენ ცეცხლს ეზოში, ვენახებში, ზედ ხტებოდნენ... და გაიძახოდნენ...“).



# მკისა .

1

მიუხეივ, მაუხეივ,  
არისა, მარისა,  
მთისა, ბარისა,  
ზენაური, ქვენაური,  
გალმური, გამოდმური,  
სულ ულოში შაიხეივ.  
დართ მომკილი,  
დართამც გაილეწები.  
ჩადი გოდრადა,  
გადი ძველადა!  
შენ ძველი, სხვა ახალი,

2

მშვიდობაში, გამარჯვებაში,  
ვაჟების ქორწილობაში!  
ქალების გათხოვებაში!  
ორმოს ჩადი, ძველად გადი,  
ეს ძველი და სხვა ახალი!

3

დარში მომკილო ყანაო,  
დარშიაც გაილეწები!  
ორმოს ჩადი, ძველად გადი,  
შენ ძველი და სხვა ახალი!  
ღმერთო, პატრონს მშვიდობაში მოახმარე!

4

დარ მოხნულო, დარ მომკილო,  
დარშიამც გაილეწები!  
ორმოს ჩადი, ძველად გადი,  
სალხინოდ დაიხარჯები!

(მკის დროს, ბოლო ხელეურის მომკისას, ილოცებთან).

## ლეწვისა

1

ოროველ,  
ორმო ჩასთხარე ქვიანი,  
მოგვეც ბარაქაო!

2

ოროველ, მოდი კალოსა,  
არავინ მოგიპაროსა.  
არავინ შეგსვას, შეგჭამოს,  
არავინ წაგიყვანოსა.

3

ორმოს ჩადი,  
ძველად გადი,  
შენ ძველი და სხვა ახალი!  
ღმერთო, მოახმარე პატრონს  
ლხინში და ქორწილში,  
გაყუების დაქორწილებაში,  
ქალების გათხოვებაში!  
ვინც ჩვენ ავი თვალით შემოგვხედოს,  
თვალი აეგოს გკალზეო!

ალალმე, საკირე ჩავდგი,  
ორმო ჩავთხარე ქვიანი,  
შეშა ბლომათ მიუძარჯვე,  
იფნი და ნეკერჩხლიანი.  
ჩვენს ავათ მახსენებელსა  
ენა გაუხმეს ძვლიანი.



# პურის ტილისა

1

სახელო, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩამოიარა ქრისტეს ნაწილმა

ჟივილითა, ხივილითა, კივილითა.

შემოეყარა ღედა მარიამ.

– სად მიხვალ, ქრისტეს ნაწილო,

ჟივილითა, წივილითა და კივილითა?

– ერთმა შაგმა ჭიამა,

უწვერომ, უულვაშომა,

პური შემიჭამა,

ყმაწვილები მშიერი დამეზოცა.

რა არის მისი წამალი?

– სამი გოჯი უზანი,

სამი გოჯი ასკილი

შეკარ წითელი ძაფითა,

შეკარ კბილი ჭიისანი.

სამი კოვზი ძმარი,

სამი კოვზი ნაცარი,

დადე კენიტი მარილისა –

შეკრას კბილი ჭიისანი.

სამ-სამი კოვზის პირი ძმარი,

ნაცარი – ღეთისა მადლით არგებს.

სამჯერ ძმრითა, ასკილითა,

ნაცრითა, უზნითა და მარილის კენიტითა შეულოცე.

2

შავსა მუხი ძირასა

იჯდა შავი ბებერი.

წემეესხა შავი ნაბადი.  
ტიროდა ცხარე ცრემლითა.  
გადმაიხედა უფალმა, კითხა:  
– რათ ტირი, ბებერო,  
შავსა მუხი ძირასა?  
– იმას ეტირი, უფალო,  
უგულოს, უთვალოს, უფეხოს  
დაუჭამინია ადამიანის საზრდო.  
რა არის იმი წამალი?  
– ის არი მაგი წამალი,  
ნიერის თავი, მყრალა ბალახი,  
რკინეული, მარილის კენიწი.  
შაულოცე, მოსტრის კბილსა,  
ჩაცევივა ძირსა.

### 3

ტილეთ-მილეთი მოვიდა,  
დაგვიჭამა სეფისკვერი.  
გადადექ და გადასძახე  
ჩვენსა წმინდა ნინოსა:  
– რა არის იმის წამალი?  
– კენიწი მარილი, დამწვარი ნაცარი,  
მშრალი ბალახი, შავტარა დანა.



# სამონადირო

1

ღვეღვეო, ღვეღვეო, ღვეღვეო,  
განთორ გახვალა, გაიგოგვება,  
გოგვა შენია, მქარმებია.

განზე გახვალა, გაიმსველება.

მსველადო შენება,

მე ვარ და მენება.

მაგრე გახვალა, გოგვით გახვალა,

მანის თვალთანა ხაჭვა ყრიანა.

ღვეღვეო, ღვეღვეო, ღვეღვეო.

(ფრინველების მოსაჯადოებლად იტყვიან ამ შელოცვას („მითვლას“).

2

ღვეღვეო, ღვეღვეო, ღვეღვეო.

განთორ გახვალა, გაიგოგვება,

გოგვა შენია, მქარმებია.

განზე გახვალა, გაიმსველება,

მსველადო შენება,

მე ვარ და მენება.

მაგრე გახვალა, გოგვით გახვალა,

მანის თვალთანა ხაჭვა ყრიანა.

ღვეღვეო, ღვეღვეო, ღვეღვეო.

განზე გადია, გაიგოგვეა,

გოგვა შენია, მქარმებია.

განთორ გადი, გაიგოგვე.

ლივლივა, ლივლივა, ლივლივა.

ფეხი გიჩაესა,

ღმერთი გრისხავსა,

რას იბუსები,

გაები მახეში!

# ცეცხლისა


1

ცეცხლო, ელოდე, მელოდე,  
მე მელოდე, მზეს ელოდე,  
მთვარეს ეთაყვანებოდე.  
დილით ადრე ავმდგარიყო,  
ბეჩხოური დამხედებოდე. ~

(სალამოს ნაღვერდალს ნაცარში შეახვევენ და შეულოცავენ, რომ დილაზე არ ჩამქრალიყო).


2

ცეცხლო, ელოდე, მელოდე,  
მე მელოდე, ბზეს ელოდე,  
თვარეს ეთაყვანებოდე.  
დილას ადრე ავდგებოდე,  
დონჩაურა დამხედებოდე.




# წყაროს დასაწმენდი

მურღვავ, წადი,  
წმინდავ, მოდი,  
მარიამის თვალს!  
მურღვავ, წადი,  
წმინდავ, მოდი,  
მარიამის თვალს!









# სამკურნალო შელოცვები

## შეზინებულისა

1. მთქმელი ნანა ჯაფოშვილი-შიოშვილისა. ჩაწერილია 1966 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაბეში თ. შიოშვილის მიერ. დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის სასწავლო-სამეცნიერო არქივში, № 16992. (შემდგომში ამ არქივს მოვისხენიებთ შემოკლებით: თსუფა №...).
2. მთქმელი ზ. მზახაშვილი. ჩაწერილია 1974 წ. კახეთში, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში თ. ჩხაიძის მიერ. თსუფა № 19749.
3. მთქმელი მარო გიგაური-ქეთარაძისა. ჩაწერილია 1946 წ. მთიულეთში, სოფ. ქიშპარიანში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 5032.
4. მთქმელი ნ. მამალაძე. ჩაწერილია 1973 წ. გურიაში, ჩხატაურის რაიონის სოფელ ქვაბლაში მ. კერესელიძის მიერ. თსუფა № 16 367.
5. ს. შაქარაშვილი, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 205.
6. მთქმელი ნ. სიმონიშვილი. ჩაწერილია 1968 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში ლ. გაბიტაშვილის მიერ. თსუფა № 7 293.
7. მთქმელი ნინა უკლები. ჩაწერილია 1968 წ. იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფელ ღიმში მ. ფანაიას მიერ. თსუფა № 6584.
8. მთქმელი ვასიონ ბოჭორიძე. ჩაწერილია 1946 წ. იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფელ ობზაში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 4913.
9. მთქმელი ქრისტინა გურგენიძე. ჩაწერილია 1962 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფ. ნიკორწმინდაში ლ. გრიგოლაშვილის მიერ. თსუფა № 353.
10. მთქმელი მ. შაველაშვილი. ჩაწერილია 1962 წ. ქართლში, კასში გ. შაველაშვილის მიერ. თსუფა № 2217.
11. მთქმელი ს. გოჩაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. ქართლში, ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში ნ. ელბაქიძის მიერ. თსუფა № 9213.
12. მთქმელი ნ. მესხი. ჩაწერილია 1970 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფ. კორტში ნ. ენუქიძის მიერ. თსუფა № 8784.
13. მთქმელი მ. ურუმაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. ბოლნისში ნ. ურუმაშვილის მიერ. თსუფა № 8743.
14. მთქმელი ქ. ბუნისკაშვილი. ჩაწერილია 1968 წ. თბილისში მ. ჩაგანავს მიერ. თსუფა № 7349.
15. მთქმელი ლ. სალაძე. ჩაწერილია 1971 წ. იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფ. დილიკაურში ნ. სალაძის მიერ. თსუფა № 9476.
16. მთქმელი ნუცა ლებანიძე. ჩაწერილია 1962 წ. იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფ. დილიკაურში მ. ცომაიას მიერ. თსუფა № 145.
17. მთქმელი ვლადიმერ აბაძე. ჩაწერილია 1962 წ. იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზემო საქარაში ო. გამასხურდიას მიერ. თსუფა № 23.
18. მთქმელი აელავია ბიქაძე. ჩაწერილია 1961 წ. ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ავღში მ. კობახიძის მიერ. თსუფა № 1457.
19. მთქმელი ვ. რეხვიაშვილი. ჩაწერილია 1972 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ურაკში მ. ბერიძის მიერ. თსუფა № 13222.
20. მთქმელი მ. დოლიძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩხატაურის რაიონის სოფ. ზემო

სურებში მ. მყავიას მიერ. თსუფა № 10580.

21. ქართველ მთიელთა ზეირისიტყვიერება (მთავლეთ-გუდამაყარი), ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1958 წ. გვ. 271.

22. მთქმელი თალიე დუმბასე. ჩაწერილია 1978 წ. აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ მემიბნაში ი. იაშვილის მიერ. ბათუმის ნ. ბერაქნიშვილის სახელობის სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, საქმე № 228, გვ. 6. (შემდგომში მოვიხსენიებთ შემოკლებით: ბსკიფა...).

## უქმურისა

1. მთქმელი სოფიო მაზნაშვილი-შიოშვილისა. ჩაწერილია 1967 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარასეში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 19320.

2. ა. შმიქაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1964, № 72, გვ. 167.

3. მთქმელი ანიკო ოსფოვი. ჩაწერილია 1964 წ. გარდაბნის რაიონის სოფელ კემისში მ. გუერქოვის მიერ. თსუფა № 2781.

4. მთქმელი ფ. ინაშვილი. ჩაწერილია 1972 წ. კახეთში, სიგარეჯოს რაიონის სოფელ პატარაულში ნ. ენაგელის მიერ. თსუფა № 14114.

5. მთქმელი ბ. ჯანგირაშვილი. ჩაწერილია 1970 წ. თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეებში ნ. პაიციძის მიერ. თსუფა № 9240.

6. მთქმელი მ. ურუმაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. ბოლნისში ა. ურუმაშვილის მიერ. თსუფა № 8741.

7. ა. შმიქაშვილი, დასახ. ნაშრ., № 74, გვ. 168—169.

8. მთქმელი მარო სიხარულიძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში ი. მყავიას მიერ. თსუფა № 10584.

9. ს. მაქალაქია, ხევი, გვ. 205—406.

10. მთქმელი ვასიონ ბოჭორიძე. ჩაწერილია 1946 წ. იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფელ ობზაში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 4920.

11. მთქმელი მაიკო მუმლაძე. ჩაწერილია 1962 წ. კახეთში, ღაგორღების რაიონის სოფელ მსხალგორში ი. ურიდაის მიერ. თსუფა № 125.

12. მთქმელი ფ. ბენდელიანი-ზურაბიანისა. ჩაწერილია 1970 წ. სვანეთში, ღვინტუხის რაიონის სოფელ ტიბში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 8183.

13. ა. შმიქაშვილი, დასახ. ნაშრ., № 73, გვ. 168.

14. მთქმელი თომა შამყულაშვილი. ჩაწერილია 1968 წ. კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ქ. ცეცხლაძის მიერ. თსუფა № 7463.

15. მთქმელი ფედოსია გუდაძე-გოლიაძისა. ჩაწერილია 1974 წ. იმერეთში, ზარაგულში ს. ჩოხელის მიერ. თსუფა № 17132.

16. მთქმელი მ. ბარამიძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში ქსენია სიხარულიძის მიერ. თსუფა № 9856.

17. მთქმელი თ. ლეთოლიანი. ჩაწერილია 1962 წ. ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარაში გრ. ფარულავას მიერ. თსუფა № 511.

18. მთქმელი ფედოსია ლობჯანიძე. ჩაწერილია 1973 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ აბარში ლ. ბერძენიშვილის მიერ. თსუფა № 5161.

19. მთქმელი ვ. მოღვაძე. ჩაწერილია 1966 წ. მესხეთში, ახალციხის რაიონის სოფელ ურაკელში თ. შიოშვილის მიერ.

20. მთქმელი ა. ცაბაძე. ჩაწერილია 1978 წ. იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ ბაჯითში ხ. გაგნიძის მიერ. თსუფა № 23447.

21. მთქმელი ა. ცაბაძე. ჩაწერილია 1978 წ. იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ ბაჯითში

ბ. გაგნიძის მიერ. თსუფა № 23448.

22. მთქმელი მელიკო შანიძე. ჩაწერილია 1961 წ. იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლგებში ნ. ჭკუასელის მიერ. თსუფა № 1519.

23. მთქმელი ი. თერსაგა. ჩაწერილია 1961 წ. გურიაში, ლანჩხუთში რ. გოგიანიშვილის მიერ. თსუფა № 1994.

24. მთქმელი სოფიო მახანაშვილ-შიოშვილისა. ჩაწერილია 1967 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 19320.

25. მთქმელი ეუფუნა გორგოშასკი. ჩაწერილია 1971 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ერგეში ნ. ნოლაიძელის მიერ. ბსკიფა, საქმე № 150 ვვ. 61-62.

26. მთქმელი ა. ცაავა. ჩაწერილია 1973 წ. სამეგრელოში, საღინოში გ. ბარკალაიას მიერ. თსუფა № 14272.

27. მთქმელი ქესვერ მსუქნიშვილი-მუსხიძისა. ჩაწერილია 1988 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათში თ. შიოშვილის მიერ.

## გათვალვლისა

1. მთქმელი სოფიო მახანაშვილი-შიოშვილისა. ჩაწერილია 1967 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 19322.

2. მთქმელი თებრო თათრულაძე. ჩაწერილია 1967 წ. თსუფაში, ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში თ. შიოშვილის მიერ.

3. ს. მამასლაძე, თესეთი, ტფილისი, 1933 წ. ვვ. 189.

4. მთქმელი მარგარიტა გელაშვილი. ჩაწერილია 1968 წ. ბათუმში ნ. სურგუას მიერ. თსუფა № 6509.

5. მთქმელი ფატყუმე თურმანიძე. ჩაწერილია 1982 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალმენში ნ. ნოლაიძელის მიერ. ბსკიფა, საქმე № 50, ვვ. 20.

6. მთქმელი მარო გაყრინდაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფ. დაბლაციხეში მ. მყავიას მიერ. თსუფა № 10582.

7. მთქმელი მ. ლიქოკლი. ჩაწერილია 1974 წ. ხევსურეთში, ღუშეთის რაიონის სოფ. სამტრედიეში მ. ჯანიაშვილის მიერ. თსუფა № 20057.

8. მთქმელი რეზოე ანანიძე. ჩაწერილია 1981 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში რ. ანანიძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 242, ვვ. 194-195.

9. მთქმელი ნანი თეთაშვილი-ჯანელიძისა. ჩაწერილია 1990 წ. იმერეთში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაშირში თ. შიოშვილის მიერ.

10. მთქმელი გალინა კუხალიძე. ჩაწერილია 1961 წ. ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ აღვში მ. კობახიძის მიერ. თსუფა № 1456.

11. მთქმელი ნ. თეთრაძე. ჩაწერილია 1971 წ. თბილისში ნ. ბელიშვილის მიერ. თსუფა № 9035.

12. მთქმელი შ. კეკელიძე. ჩაწერილია 1961 წ. იმერეთში, ქიათურის რაიონის სოფელ ჭლორჯანში ი. რამიშვილის მიერ. თსუფა № 2432.

13. მთქმელი თ. ოქროშელიძე. ჩაწერილია 1958 წ. მესხეთში, ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში ლ. გიგინეიშვილის მიერ. თსუფა № 17237.

14. მთქმელი დ. არაბული. ჩაწერილია 1968 წ. ხევსურეთში, ღუშეთის რაიონის სოფელ გველეში მ. ჭინჭარაულის მიერ. თსუფა № 5671.

15. მთქმელი მ. ქავთარაძე. ჩაწერილია 1946 წ. მთიულეთში, სოფ. ჭალისციხეში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 5008.

16. მთქმელი ი. თარგამაძე-აბრამიძისა. ჩაწერილია 1943 წ. იმერეთში, ვანში ნ. წაქაძის მიერ.

თსუფა № 23827.

17. კართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, გვ. 269–270.

18. მთქმელი ი. ტრაპაძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუასერებში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 10093.

19. მთქმელი მ. კოროშინაძე, ჩაწერილია 1973 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბელავში მ. კერესელიძის მიერ. თსუფა № 16384.

20. მთქმელი ნატაშა შკავია. ჩაწერილია 1968 წ. ქუთაისში გ. ფარცხანიას მიერ. თსუფა № 6491.

21. მთქმელი მ. გამყრელიძე. ჩაწერილია 1971 წ. იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფ. ბოსლევში ტ. ქუმბურიძის მიერ, თსუფა № 8937

22. მთქმელი მ. გამყრელიძე. ჩაწერილია 1971 წ. იმერეთში, ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში ტ. ქუმბურიძის მიერ. თსუფა № 8938.

23. მთქმელი თომა შამყელაშვილი. ჩაწერილია 1968 წ. კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ქ. ცეცხლაძის მიერ. თსუფა № 7464.

24. მთქმელი ვასიონ ბოქორიძე. ჩაწერილია 1946 წ. იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფ. ობჩაში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 4907.

25. მთქმელი მ. ურუშაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. ბოლნისში ნ. ურუშაშვილის მიერ. თსუფა № 8740.

26. მთქმელი ვასიონ ბოქორიძე. ჩაწერილია 1946 წ. იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფ. ობჩაში, ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 4911.

27. მთქმელი დ. ღლოსტი. ჩაწერილია 1973 წ. გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვემო აკეთში ე. მათითაიშვილის მიერ. თსუფა № 17054.

28. მასალა მოგაწვრდა კრიფილდა აფხაზეთში 1968 წ.

29. მთქმელი ფ. ბესდელიანი-ზურაბიანისა. ჩაწერილია 1970 წ. სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფ. ტიბში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 8177.

30. მთქმელი თ. ლეთოდიანი. ჩაწერილია 1962 წ. ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარაში გრ. ფარულავას მიერ. თსუფა № 510.

31. მთქმელი გოგუცა აბაშიძე. ჩაწერილია 1961 წ. ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ წილაშიერში ე. დევდარიანის მიერ. თსუფა № 2531.

## საყმაწვილოსი

1. მთქმელი თ. ლეთოდიანი. ჩაწერილია 1962 წელს ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარაში გრ. ფარულავას მიერ. თსუფა № 513.

2. აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი მეორე, ჯ. ნოღაიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული, ბათუმი, 1940, გვ. 189.

3. მთქმელი მერიკო ქობულაძე-კოკობინაძისა. ჩაწერილია 1990 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეში თ. შიოშვილის მიერ.

4. პ. უშიშაშვილი, დასახ. ნაშრ. № 50, გვ. 161.

5. იძუბე, № 114, გვ. 180.

6. მთქმელი ფ. სულაძე-ლობჯანიძე. ჩაწერილია 1972 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ აბარში გ. ბერიძის მიერ. თსუფა № 13179.

7. მთქმელი ე. ბარამიძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ტობაჩოში მ. ბაკურიძის მიერ. თსუფა № 9600.

8. მთქმელი რეზიბე ანანიძე. ჩაწერილია 1981 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვამი რ. ანანიძის მიერ. ბსკიფა, ხაქეე № 242, გვ. 201–203.

9. აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი მეორე, ჯ. ნოლიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული, გვ. 188.

10. მთქმელი სულიერ რამიშვილი. ჩაწერილია 1971 წ. გურამში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხერებში (ვალა დობორძინი) ო. ონიანის მიერ. თსუფა № 9691.

11. მთქმელი მერიკე ზოიძე. ჩაწერილია 1961 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩიხუბანში ც. კაკაბაძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 60, გვ. 72-73.

12. მთქმელი ც. ჰაიჭაძე. ჩაწერილია 1973 წ. გურამში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავეში ე. სიხარულაძის მიერ. თსუფა № 15954.

13. აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი მეორე, ჯ. ნოლიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული, გვ. 188.

14. მთქმელი ხაყერ ხორიშვილი. ჩაწერილია 1989 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზემო ჯოჭონი თ. შიომღვიმის მიერ.

15. მთქმელი რევიე რესლიძე. ჩაწერილია 1970 წ. აჭარაში, შუახევის რაიონის სოფ. ნიგაზეულში ნ. ცქიტიშვილის მიერ. ბსკიფა, საქმე № 142, გვ. 7-8.

16. მთქმელი ხერიე ბალაძე. ჩაწერილია 1960 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფ. აკყევისთავში ზ. თანდილაძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 38, გვ. 23.

18. მთქმელი ბ. ფანშელიძე-ბრეგვაძისა. ჩაწერილია 1971 წ. იმერეთში, თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში ხ. აბესალაშვილის მიერ. თსუფა № 11065.

19. ა. შამიბაშვილი, დასახ. ნაშრ., № 76, გვ. 169.

20. მთქმელი ნ. ჩიჩილაძე-ლამაშვიძე. ჩაწერილია 1970 წ. იმერეთში, ხარაგაულის რაიონის სოფ. წყალფორეთში ანა ლამაშვიძის მიერ. თსუფა № 7712.

21. „ძველი საქართველო“, ტ. 1, გვ. 14, 1909 წ., გვ. 91.

22. მთქმელი ლ. ხელაძე. ჩაწერილია 1970 წ. რაჭაში, ონის რაიონის სოფ. ფარახეთში მ. ბაკურიძის მიერ. თსუფა № 6949.

23. მთქმელი რეზიძე ანანიძე. ჩაწერილია 1981 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფ. ლელვანში რ. ანანიძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 242, გვ. 199.

## შაკიკისა

1. მთქმელი ზეკიე ქათამაძე. ჩაწერილია 1981 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფ. ზენითში ე. ზოიძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 240, გვ. 66-67.

2. მთქმელი ნუშკა გიგოლაძე-გელაშვილი. ჩაწერილია 1972 წ. სამურის რაიონის სოფ. ქვიშხეთში ს. ჩოხელის მიერ. თსუფა № 13435.

3. მთქმელი ნ. ხარძიანი-ხურაბაიანისა. ჩაწერილია 1970 წ. ხუანეთში, ლენტეხის რაიონის სოფ. ტიბში თ. ხესიაშვილის მიერ. თსუფა № 8152.

4. მთქმელი დ. ზურაბიშვილი. ჩაწერილია 1968 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინში ლ. გაბიტაშვილის მიერ. თსუფა № 7316.

5. მთქმელი ე. ჯანელიძე. ჩაწერილია 1962 წ. კახეთში. ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში ნ. ჯანელიძის მიერ. თსუფა № 164.

6. ს. შამიბაშვილი, თსუფა, გვ. 190.

7. მასალა მოგვარდა კრიმფილდა აფხაზავამ 1968 წ.

8. მთქმელი ნაზი აფციაური. ჩაწერილია 1971 წ. ლეშეთის რაიონის სოფ. ლუმატხონი თ. ხესიაშვილის მიერ. თსუფა № 10946.

9. ს. შამიბაშვილი, ხევი, გვ. 204.

10. მთქმელი ა. ჩოხელი. ჩაწერილია 1971 წ. ლეშეთის რაიონის სოფ. ჩოხში მ. გიორგაძის





8. მთქმელი ნ. რაბაქიძე-ბოჭორიშვილისა. ჩაწერილია 1971 წ. იმერეთში, თერჯოლის რაიონის სოფ. მხარში ნ. აბესაძის მიერ. თსუფა № 11069.
9. მთქმელი პელაგია კუბანისძე. ჩაწერილია 1961 წ. იმერეთში, წალტუბოს რაიონის სოფელ ჯგუფში გრ. საღამაშვილის მიერ. თსუფა № 23.
10. მთქმელი ნ. გელაშვილი. ჩაწერილია 1972 წ. ხაშურის რაიონის სოფელ კვიშხეთში ს. ჩაბუღის მიერ. თსუფა № 13436.
11. ს. შაბაძის თქმით, გვ. 190.
12. შენიშვილი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 345.

## სურათების

1. მთქმელი სარა კერძოვლიანი. ჩაწერილია 1967 წ. თსუფაში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემანოში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 5 334.
2. მთქმელი თინა ლევიშვილი. ჩაწერილია 1965 წ. ბესლეთში, ასინძის რაიონის სოფელ იაკობი თ. ქერდოვანიძის მიერ. თსუფა № 4058.
3. ქარის საღებური სიტყვიერება, წიგნი მეორე, უ. ნოდარდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული, გვ. 190.
4. მთქმელი ხაჯერ ხორიშვილი. ჩაწერილია 1959 წ. აჭარაში, ბელაშაურის რაიონის ზემო ურკოში, თ. შიოშვილის მიერ.
5. მთქმელი მ. მახოშვილი. ჩაწერილია 1956 წ. სოფელ კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში ი. გაბიტაშვილის მიერ. თსუფა № 7236.
6. იგივე.
7. მთქმელი დ. ბერიძე. ჩაწერილია 1973 წ. ვარაზში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩხაკურაში ი. დათუკიშვილის მიერ. თსუფა № 15845 ბ.
8. მთქმელი ლილი ჯაფარიძე. ჩაწერილია 1961 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ელინოში უ. ნოდარდელის მიერ. ბსკიფა, საქმე № 52, გვ. 76-77.
9. მთქმელი რეზიბე ანანაძე. ჩაწერილია 1981 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელავში რ. ანანაძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 242, გვ. 189.
10. მთქმელი ყუყუსა სურმანიძე. ჩაწერილია 1955 წ. აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ ქერში ნ. სურმანიძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 111, გვ. 29.

## ქანის დავადადებებისა

### სირსვლისა

1. მთქმელი ც. მახარაძე. ჩაწერილია 1969 წ. გურიაში, ლანსხეის რაიონის სოფელ ახალსოფელში რ. ევგენიძის მიერ. თსუფა № 7183.
2. მთქმელი ნუსუა ვიოლაძე-გელაშვილი. ჩაწერილია 1972 წ. ხაშურის რაიონის სოფელ კვიშხეთში ს. ჩაბუღის მიერ. თსუფა № 13440.
3. მთქმელი თ. კვიციანიშვილი. ჩაწერილია 1961 წ. იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ სათიჯში მ. ორბელიანიშვილის მიერ. თსუფა № 2049.
4. მთქმელი ხასან ბარამიძე. ჩაწერილია 1972 წ. აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურში ე. ზოიძის მიერ. ბსკიფა, საქმე № 171, გვ. 3.
5. მთქმელი თ. მართალიშვილი. ჩაწერილია 1989 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ნაცხავატეში თ. შიოშვილის მიერ.
6. მთქმელი შორეა ბარამიძე. ჩაწერილია 1987 წ. აჭარაში, კეღის რაიონის სოფელ ხარაუ-

ლამი თ. შიოშვილის მიერ.

7. მთქმელი ტათლი კახიძე. ჩაწერილია 1960 წ. აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მხუტუნეთში გ. ხალუკვაძის მიერ. ბსკიფა, ხაქმე № 50, გვ. 32.

8. აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი მეორე, ჯ. ნოღაიძელის მიერ შეკრებილი და დაბეჭდვებული, გვ. 190.

### მუნისა (მღერისა)

1. მთქმელი თ. მართალიშვილი. ჩაწერილია 1987 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ნაცხავატევეში თ. შიოშვილის მიერ.

2. პ. უმიკაშვილი, დასახ. ნაშრ. № 32, გვ. 174.

3. მთქმელი თ. მართალიშვილი, ჩაწერილია 1987 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ნაცხავატევეში თ. შიოშვილის მიერ.

4. მთქმელი ი. მგელაძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში მ. კეკელიძის მიერ. თსუფა № 9976.

5. მთქმელი თ. მართალიშვილი, ჩაწერილია 1987 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ნაცხავატევეში თ. შიოშვილის მიერ.

6. მთქმელი ღ. ხულაძე. ჩაწერილია 1970 წ. რაჭაში, ონის რაიონის სოფელ ფარახეთში მ. ბაკურიძის მიერ. თსუფა № 6952.

7. მთქმელი ვახიონ ბოჭორიძე. ჩაწერილია იმერეთში, ბაღდათის რაიონის სოფელ ობაში ქ. ბურჯანაძის მიერ. თსუფა № 4910.

8. მთქმელი ზეკე ცეცხლაძე. ჩაწერილია 1974 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კირიკეში მ. ფარტენაძის მიერ. ბსკიფა, ხაქმე № 191, გვ. 99.

### სენცეცხლასი

1. მთქმელი მარიამ თურბანაული. ჩაწერილია 1969 წ. ფშავეში, ღუშეთის რაიონის სოფელ გოგოლაურთაში ხ. ნიკოლეიშვილის მიერ. თსუფა № 6768.

2. მასალა მოგაწვროდა ხ. ნიკოლეიშვილმა 1966 წ. ჩაწერილია მესხეთში, ახალციხის რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში.

3. ს. შაბაღლაძის, ფშავე, გვ. 172.

## თვალის დაავადებებისა

### თვალის ტკივილისა

1. მთქმელი ნანა ჯაფარიშვილი-შიოშვილისა. ჩაწერილია 1966 წ. გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაბეში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 16987.

2. მთქმელი ზ. გზირიშვილი-შაზიაშვილისა. ჩაწერილია 1974 წ. კახეთში, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში თ. ჩხაიძის მიერ. თსუფა № 19807.

3. მთქმელი მ. კიკაძე. ჩაწერილია 1971 წ. გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში ღ. დათუკიშვილის მიერ. თსუფა № 10308.

### დაევეილისა

1. მთქმელი მემედ კახიძე. ჩაწერილია 1961 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეებში ა. ახვლედიანის მიერ. ბსკიფა, ხაქმე № 58, გვ. 18.

2. მთქმელი სოფიო მახანაშვილი-შიოშვილისა. ჩაწერილია 1967 წ. კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაბეში თ. შიოშვილის მიერ. თსუფა № 19323.

### თვალში ჩავარდნილისა

1. მთქმელი პინსტი ნიშნაიძე. ჩაწერილია 1967 წ. იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ გომში ხ. ნიკოლეიშვილის მიერ.

2. მთქმელი ქ. გუნია. ჩაწერილია 1971 წ. სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფელ ნაესკაოში დ. ელაძის მიერ. თსუფა № 9133.

3. მთქმელი ნ. თოდუა. ჩაწერილია 1968 წ. სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფელ ნოდინაში მ. ჩაგანავას მიერ. თსუფა № 7344.

4. ს. შაპალაშვილი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 343.

### ბეწვისა

1. მთქმელი ქვესერ მსუქნიშვილი-მესხიძისა. ჩაწერილია 1988 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათში თ. შიოშვილის მიერ.

2. მთქმელი გულიზარ ცეცხლაძე-ჯინჭარაძისა. ჩაწერილია 1988 წ. აჭარაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ბოხოყვათში თ. შიოშვილის მიერ.

3. მთქმელი ა. ქიქელავა. ჩაწერილია 1973 წ. სამეგრელოში, მარტვილის რაიონის სოფელ ტალურში თ. ცანავას მიერ. თსუფა № 14332.

### ლურსმანასი

1. მთქმელი თ. ტოკლიკიშვილი. ჩაწერილია 1961 წ. იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ სათივეში მ. ორბეთელაშვილის მიერ. თსუფა № 2046.

2. მთქმელი ზ. გზირიშვილი-მანიაშვილისა. ჩაწერილია 1974 წ. კახეთში, ხილნალის რაიონის სოფ. ნუკიანში თ. ჩხაიძის მიერ. თსუფა № 19806.

### ლიბრისა

1. მთქმელი ლ. სულაძე. ჩაწერილია 1970 წ. რაჭაში, ონის რაიონის სოფელ ფარაბეთში მ. ბაყრაძის მიერ. თსუფა № 6953.

2. მთქმელი ო. გუგუშაშვილი-ლობჯინიძისა. ჩაწერილია 1976 წ. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ აბარში გ. კოლატაძის მიერ. თსუფა № 21732.

3. ს. შაპალაშვილი, თსუფა, გვ. 190.

4. მთქმელი მ. ურუშაშვილი. ჩაწერილია 1971 წ. ბოლნისში ნ. ურუშაშვილის მიერ. თსუფა № 8744.

5. მთქმელი ნ. თეთრაძე. ჩაწერილია 1971 წ. თბილისში ნ. ბელოშვილის მიერ. თსუფა № 9034.

